178
1970/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

178/2

68

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1970 4

საბჭოთა სამართალი

№ 4

ივლისი — აგვისტო

1970 წელი

გამოცემის XVII წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო

ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

ევგ. ნეიძე — საბჭოთა სახელმწიფოს შრომის კანონმდებლობის საფუძვლები . . . 3

ო. კიკვიძე — კანონსაწინააღმდეგო მოქმედება და ბრალეულობის ზოგიერთი საკითხი ზიანის ანაზღაურებისას . . . 12

შ. პაპიძე, ა. ხოშტარია — პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის საკითხისათვის . 18

აკ. გობრონიძე — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები . . . 27

ბ. ბაკურაძე — სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტები . . . 35

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

ა. აბესაძე — პროკურატურის საერთო საზედამხედველო საქმიანობა ახალი ამოცანების დონეზე . . . 40

ნ. დავითაია — კიდევ მხარეთა კამათის კულტურის შესახებ . . . 47

ნ. როკეტლიშვილი — საბინაო-სამშენებლო კოოპერაციებისაგან მშენებნკის სესხის ამოღება . . . 51

ი. ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესწავლისათვის

ვ. სიდამონიძე — ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები . . . 56

ჰეგელის დაბადების 200 წლისთავისათვის

გ. ნადარეიშვილი — გ. ჰეგელის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ . . . 61

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

აკ. მენაბდე — წიგნი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ . . 68

ს. სვანიძე — საჭირო წიგნი . . . 70

ოფიციალური მასალა . . . 72

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Евг. Неидзе — Основы трудового законодательства Советского государства 3
О. Киквидзе — Противозаконное действие и некоторые вопросы вины при возмещении ущерба 12
М. Папидзе, А. Хоштариа — К вопросу о защите чести и достоинства личности 18
Ак. Гобронидзе — Постоянные комиссии местных Советов депутатов трудящихся 27
Б. Бакурадзе — Народные университеты правовых знаний . . 35

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

А. Абесадзе — Деятельность прокуратуры по общему надзору на уровне новых задач 40
И. Давитаиа — Еще раз о культуре прении сторон 47
М. Рокетлишвили — Покрытие из жилищно-строительной кооперации займов стройбанка 51

К ИЗУЧЕНИЮ НАСЛЕДИЯ И. ЧАВЧАВАДЗЕ

В. Сидамонидзе — Неизвестные письма Ильи Чавчавадзе . . . 56

К 200-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ ГЕГЕЛЯ

Г. Надареишвили — Учение Гегеля о государстве 61

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Ак. Менабде — Книга о местных Советах депутатов трудящихся . 68
С. Сванидзе — Нужная книга 70

Официальный материал 72

საredaქციო კოლეგია
ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,
ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი,
აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაიხურაძე,
ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

შეკ. № 2029
ტირაჟი 18.500
უე 10903

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—99-09-62

გადაეცა წარმოებას 29/VI-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IX-70 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სახელმწიფოს შრომის კანონმდებლობის საფუძვლები

ევგ. ნეიძე

კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის კანონმდებლობა. იგი უზრუნველყოფს კონტროლს შრომის ზომისა და მოხმარების ზომის მიმართ, აქტიურად ხელს უწყობს მოქალაქეთა კომუნისტურად აღზრდას, სრულყოფს სოციალისტური საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციას, მუშა-მოსამსახურეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

I.

ჯერ მარტო მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ურთიერთობის სფეროში მიმდინარე წელს მიღებულ იქნა ისეთი ფართო მასშტაბის საკანონმდებლო აქტი, როგორიც არის **„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები“**. მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა **„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები“**, რომლებიც საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციას აკისრებენ მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვის სფეროში (საწარმოო ხმაურის, ინფექციური და პროფესიული დაავადების ასაცილებლად და სხვ.).

ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება წარმოუდგენელია იმის გარეშე, თუ წარმოებაში არ იქნება შექმნილი შრომის უსაფრთხო, ჰიგიენურად ოპტიმალური პირობები.

აღნიშნული ნორმატული აქტიც, თავის გარკვეულ ნაწილში (კარი III, IV, V) მუშა-მოსამსახურეთა შრომის გამაჯანსაღებელ პირობებს აწესებს.

ახალი სამეურნეო რეფორმის განხორციელების პერიოდში მიღებულ იქნა მუშა-მოსამსახურეთა შრომის ურთიერთობის მომწესრიგებელი მრავალი ნორმატული აქტი.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული **დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ.**

ამ დებულების სამართლებრივი ნორმების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება შრომისა და ხელფასის მოწესრიგებას. რიგ შემთხვევაში ეს საკითხები ახლებურად არის გადაწყვეტილი.

1967 წელს მიღებული იქნა **კანონი სსრ კავშირის საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ,** რომლის მიხედვითაც სამხედრო ვალდებულ მუშა-მოსამსახურეებს შეექმნათ უფრო სრულყოფილი გარანტიები.

გარდა ამისა, არა ერთი ნორმატული აქტი იქნა მიღებული მომდევნო წლებში, რომლებიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის, დასვენების, შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიმულირების, სოციალური დაზღვევისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობებსა და მდგომარეობას.

ამავე პერიოდში მიღებულ იქნა ნორმატული აქტებიც, რომლებიც მიმართულია შრომის დისციპლინის განმტკიცებისაკენ და აძლიერებენ პასუხისმგებლობას მისი დარღვევისათვის.

შრომითი მოწყობის ამოცანების გადაჭრას ემსახურება მიმდინარე წლის მაისში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული ერთობლივი დადგენილება და მის შესაბამისად ამავე წლის 14 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოცემული ბრძანებულება **„იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“.**

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, ითვალისწინებს რა საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის ნებაყოფლობით პრინციპს, სოციალისტური წყობით გარანტირებულ შრომის უფლებას, ამავე დროს გულისხმობს თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის ვალდებულებასაც — იშრომოს და დაემორჩილოს დაწესებულ შრომის დისციპლინას (სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-12, 130-ე მუხ.).

ამგვარად, შრომის უფლება-მოვალეობა შერწყმულია და განუყოფელ მთლიანობაშია მოცემული საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციაში. ამიტომაც, ვეხებით რა მუშის ან მოსამსახურის შრომით უფლებებს, გარანტიებსა და ინტერესებს, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ამასთან უშუალოდაა დაკავშირებული მისი შრომითი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ამ მოვალეობათა შესრულებისათვის.

სამეურნეო რეფორმის განხორციელების პროცესში მიღებულმა ნორმატულმა აქტებმა განაპირობეს და იმპულსი მისცეს **1970 წლის ივლისში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის მიღებას.** სწორი იქნება იმის თქმაც, რომ ამ ფუძემდებლური აქტის შედგენისა და შექმნის საწინდარს წარმოადგენენ: 1) შრომის კანონთა კოდექსის დღემდე მოქმედი ცხოვრებით შემოწმებული, კვლავ გამოსადეგი და საჭირო ზოგიერთი ნორმები, რომლებმაც არათუ გაუძლეს დრო-ჟამს, არამედ პროგრესული, ჰუმანური და დემოკრატიული შინაარსი აქვთ თანამედროვე ეტაპზეც; 2) შრომის კანონთა კოდექსის მიღების შემდეგ გამოქვეყნებული რიგი რეფორმამდელი კანონი და ნორმატული აქტი (კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, კანონი 7-საათიანი სამუშაო დღის შესახებ, დებულებები შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ, პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ და სხვ.); 3) სამეურნეო რეფორმის დროინდელი (1965-70 წლების) შრომის კანონმდებლობა.

II.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლები ძალაში შევა 1971 წლის 1 იანვრიდან. „საფუძვლების“ ტექსტი შეიცავს პრეამბულას და თხუთმეტ კარს; მასში ასახულია წარმოების სოციალისტური წესის განვითარებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი. როგორც ეს მითითებულია სკკპ 1969 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებაში, ამჟამად და შემდგომი წლებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სახალხო მეურნეობის ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგში შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდება ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი ხაზია. შრომის ნაყოფიერების სწრაფად გადიდება, შრომის პირობების გაჯანსაღება და შემსუბუქება ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზით. ითვალისწინებენ რა ყოველივე ამას, „საფუძვლები“ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციისა და განათლების დონის ამაღლების საქმეს, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს. „საფუძვლებმა“ განამტკიცეს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისების სამართლებრივი ფორმები და ა. შ.

შრომის კანონმდებლობა ემსახურება საბჭოთა ეკონომიკის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანებს.

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სწრაფი ტემპით იზრდება ეროვნული შემოსავალი, სამრეწველო წარმოება, მოსახლეობის რეალური შემოსავალი და მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიც.

მშრომელთა კეთილდღეობისადმი ზრუნვა იწყება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე, როდესაც შეიქმნა სოციალური დაზღვევის ყველაზე მოწინავე სისტემა. აღნიშნული სახის დაზღვევის მიზანს შეადგენს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლება, სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარება.

წლითიწლობით იზრდება საბჭოთა კავშირში ასიგნებანი შრომის დაცვის ღონისძიებათა განსახორციელებლად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. თუ 1959 წელს დანახარჯები ამ მიზნით შეადგენდა 439 მილიონ მანეთს, 1969 წელს ამ ხარჯებმა 1 მილიარდ მანეთს გადააჭარბა, ე. ი. 2,5-ჯერ გადიდდა. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შრომის დაცვაზე დახარჯულია 7 მილიარდზე მეტი მანეთი.

ყოველივე ეს და აგრეთვე შრომის ურთიერთობის გამომხატველი სხვა უმნიშვნელოვანესი მხარეები და შტრიხები შესაბამის ადგილს პოულობენ „საფუძვლებში“.

„საფუძვლების“ სათანადო წესით დამტკიცებას წინ უძღოდა მისი პროექტების შედგენა და განხილვა. ადრე წარმოდგენილი პროექტი საყოველთაო განხილვის საგნად იყო ჯერ კიდევ 1959 წელს, ხოლო საბოლოო პროექტის შემუშავება დამთავრდა 1970 წლის ივლისში. მიმდინარე წლის 15 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე „საფუძვლები“ დამტკიცებულ იქნა.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლების უდიდესი პოლიტიკური და სოციალური არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში პირველ ერთიან საერთო-საკავშირო ფუძემდებლურ და მასშტაბური ხასიათის სამართლებრივ აქტს, რომლითაც ზოგადად რეგულირდება მუშა-მოსამსახურეთა როგორც შრომითი ურთიერთობა, ისე მასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა სახის ურთიერთობანი (მაგალითად, შრომითი დავების განმხილველი პროცესუალური ურთიერთობა, სახელმწიფო სოციალური სადაზღვევო ურთიერთობა და სხვ.).

III.

მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში გარკვეული ურთიერთდაქვემდებარება და თანაფარდობა არსებობს სსრ კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის კონსტიტუციას, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებსა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსებს შორის. ყველა ამ შემთხვევაში სამართლებრივ ნორმებს კანონის სახე გააჩნიათ და ერთი-მეორისაგან გამომდინარეობენ. სათავეს შრომის კანონმდებლობის საფუძვლებისთვისაც და შრომის კანონთა კოდექსებისთვისაც წარმოადგენს სსრ კავშირის კონსტიტუცია.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა მიხედვით მტკიცედაა გამიჯნული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების კომპეტენცია შრომის კანონმდებლობის საფუძვლებისა და ნორმების დადგენაში.

როგორც ეს მითითებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლში (პ. „უ"), საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას ექვემდებარება „შრომის კანონმდებლობის **საფუძვლების** დადგენა", ხოლო თუ განვიხილავთ საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-14 მუხლს (პ. „რ") და აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების ანალოგიურ მოთხოვნებს (მაგალითად, რსფსრ კონსტიტუციის მე-13 მუხლის პ. „ს"), დავინახავთ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას შეადგენს შრომის **კანონმდებლობის** დადგენა (ანუ შრომის კანონთა კოდექსებისა — ე. ნ.).

თუ თვალს გადავავლებთ შრომის კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას, შევნიშნავთ, რომ „საფუძვლები" შეიქმნა პირველად მხოლოდ სამეურნეო რეფორმის განხორციელების თანამედროვე ეტაპზე, ხოლო შრომის კანონთა რესპუბლიკური კოდექსები — მასზე გაცილებით ადრე.

ცნობილია, რომ 1918 წელს დამტკიცებულ იქნა რუსეთის სფსრ შრომის კანონთა პირველი კოდექსი, ხოლო 1922 წელს მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის პირობებში ამავე რესპუბლიკის მეორე შრომის კანონთა კოდექსი. ამ კოდექსის მოქმედებაში მიღების თაობაზე გამოქვეყნებულ დადგენილებაში მითითებული იყო, რომ მისი მოქმედება ვრცელდება არა მარტო რსფსრ-ის ტერიტორიაზე, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზეც. სპეციალური დადგენილებანი ამ კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ მიღებულ იქნა შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოთა მიერ.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ძირითადად ასახავს რა სოციალისტური შრომის ორგანიზაციის პრინციპებს განსაზღვრავს მოქალაქის შრომის უფლებას თავისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით (118-ე მუხ.); განათლების უფლებას და შრომის შეთავსებას სწავლებასთან (121-ე მუხ.); მუშაკის დასვენების უფლებით უზრუნველყოფას (119-ე მუხ.); მატერიალურ უზრუნველყოფას მოხუცებულობისა და შრომის უუნარობის შემთხვევებში (120-ე მუხ.); მშრომელთა კოლექტივების ფართო მონაწილეობას ორგანიზაციისა და წარმოების მართვაში (126-ე და სხვა მუხ.) და ა. შ.

სსრ კავშირის საკონსტიტუციო საწყისების შესაბამისად მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ურთიერთობის სამართლებრივი ურთიერთობისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა ურთიერთობების საკითხთა ფართო წრეს მოიცავენ შრომის კანონმდებლობის საფუძვლები. ამ საკითხთა რიცხვს, სახელდობრ, მიეკუთვნება: 1) კოლექტიური ხელშეკრულება; 2) შრომის ხელშეკრულება; 3) სამუშაო დრო და დასვენების დრო; 4) ხელფასი, გარანტიები და კომპენსაციები; 5) შრომის დისციპლინა; 6) შრომის დაცვა; 7) ქალთა შრომა; 8) ახალგაზრდობის შრომა; 9) შეღავათები მუშებისა და მოსამსახურეებისათ-

ვის, რომლებიც მუშაობას სწავლას უთავსებენ; 10) შრომითი დავა; 11) პროფესიული კავშირები, მუშათა და მოსამსახურეთა მონაწილეობა წარმოების მართვაში; 12) სახელმწიფო სოციალური დაზღვევა; 13) შრომის კანონმდებლობისადმი ზედამხედველობა და კონტროლი.

გარდა ამისა, „საფუძვლები", როგორც უკვე ითქვა, შედგება პრეამბულისაგან, ზოგადი და დასკვნითი დებულებებისაგან.

ქვემოთ შევჩერდებით და განვიხილავთ მხოლოდ ცალკეულ პრინციპული მნიშვნელობის დებულებას.

IV.

„საფუძვლების" პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად მოქალაქეებს უზრუნველყოფილი აქვთ შრომის თანასწორუფლებიანობა ეროვნებისა და რასის მიუხედავად; ამასთან ერთად მათ უფლებებს იცავს კანონი. შრომის უფლებების დაცვას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობა შეიცავს ამ „საფუძვლებს" და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის შრომის კანონმდებლობის სხვა აქტებს, მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსებსა და შრომის კანონმდებლობის სხვა აქტებს (კარი I). „საფუძვლების" მეორე კარში მოცემულია კოლექტიური ხელშეკრულების ცნების განსაზღვრა. ამ ხელშეკრულებაში ფიქსირებული უნდა იყოს ნორმატული ხასიათის დებულებებიც სამუშაო დროის, დასვენების დროის, შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების, შრომის დაცვის შესახებ, რომლებიც შეიმუშავეს ადმინისტრაციამ და პროფკავშირის ადგილობრივმა კომიტეტმა მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში. მესამე კარში — „შრომის ხელშეკრულება" მოცემულია ამ ორმხრივი შეთანხმების ახალი ფორმულა, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება 1922 წლის კოდექსში მოცემული შრომის ხელშეკრულების ცნების განსაზღვრებისაგან.

გაფართოებული და დაზუსტებულია მუშაკის სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანის ნორმა. „საფუძვლების" მე-14 მუხლში, კერძოდ, ნათქვამია: „ასეთი (ანუ დროებითი ხასიათის — ე. ნ.) გადაყვანა შეიძლება სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის თავიდან აცილებისა თუ ლიკვიდაციის ან მათი შედეგების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის" და ა. შ.

ახალი რედაქციითაა ფორმულირებული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებიც (მე-15 მუხ.), განსაკუთრებით კი შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები ადმინისტრაციის ინიციატივით (მე-17 მუხ.). ამ ნორმაში მოცემულია როგორც სტილისტური, ისე პრინციპული ხასიათის შესწორებანი და დამატებანი. ნაცვლად ძველი გამოთქმისა „მუშის ან მოსამსახურის გამოვლენილი უვარგისობისა", ახლა ნათქვამია: „თუ აღმოჩნდება, რომ მუშა ან მოსამსახურე არ შეეფერება ამ თანამდებობას ან შესრულებულ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის ამ სამუშაოს განგრძობას". დასახელებული ნორმის სათანადო პუნქტში მუშაკის ეს შეუფერებლობა ამომწურავი სისრულითაა მოტივირებული და აღარც რაიმე კომენტარს საჭიროებს ასეთი შეუფერებლობის გამომწვევი მიზეზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრინციპულად და სავსებით ახალი შინაარსით იკითხება შრომის ხელშეკრულების გაუქმება შრომისუუნარობის საფუძველზე, რამდენადაც ამ შემთხვევაში სამუშაოზე გამოუცხადებლობის ვადა არა 2 თვეა (როგორც ეს ადრე იყო), არამედ 4 თვეზე მეტიც კი (ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ჩაუთვლელად, თუ სსრ კავშირის კანონმდებლობით არ არის დადგენილი სამუშაო ადგილის (თანამდებობის) შენახვის უფრო ხანგრძლივი ვადა გარკვეული დაავადების დროს). „საფუძვლები“ ითვალისწინებენ აგრეთვე იმასაც, რომ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც დაკარგეს შრომის უნარი შრომითი სახიჩრობისა თუ პროფესიული დაავადების გამო, მუშაობის ადგილი ენახებათ შრომის უნარის აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე (102-ე მუხ.).

დასრულებული და გამოკვეთილი სახე მიიღო შრომის ხელშეკრულების გაუქმებამ პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით. მე-20 მუხლში პირდაპირაა ნათქვამი, რომ პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით „ადმინისტრაცია მოვალეა გააუქმოს შრომის ხელშეკრულება ხელმძღვანელ მუშაკთან ან ჩამოაყენოს იგი დაკავებული თანამდებობიდან, თუ იგი არღვევს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნას“ და ა. შ.

მეოთხე კარი, რომელიც ეძღვნება სამუშაო დროისა და დასვენების დროის სამართლებრივ რეგულირებას, აწესებს სამუშაო დროის ნორმალურ ხანგრძლივობას კვირაში 41 საათის ოდენობით. აქვე აღნიშნულია სამუშაო დღის შემდგომი შემოკლების პერსპექტივაც: „ეკონომიური და სხვა საჭირო პირობების შექმნის კვალობაზე განხორციელდება უფრო შემცირებულ სამუშაო კვირაზე გადასვლა“ (21-ე მუხ.). ამავე კარში რეგლამენტირებულია ხუთდღიანი და ექვსდღიანი სამუშაო კვირისა და ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობის, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები (საზეგანაკვეთო სამუშაოები, სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვა და ა. შ.). ფართოდაა რეგლამენტირებული დასვენების დროის სახეობანი და მათი ხანგრძლივობა. 33-ე მუხლში, გარდა იმისა, რომ მითითებულია მინიმალური ხანგრძლივობის შვებულებაზე, დასახულია აგრეთვე მისი გადიდების შემდგომი შესაძლებლობა. „მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ ყოველწლიური შვებულება არანაკლებ 15 დღის სამუშაო დღის ხანგრძლივობით, ისე რომ თანდათან მიეცეთ მეტი ხანგრძლივობის შვებულება (33-ე მუხ.).

„საფუძვლების“ მეხუთე კარში მოცემულია ძირითადი დებულებანი ხელფასის, გარანტიებისა და კომპენსაციის საკითხებზე. კონკრეტულად ეს კარი შეიცავს დიდმნიშვნელოვან დებულებას, რომ მუშა-მოსამსახურეთა თვიური ხელფასი არ შეიძლება უდრიდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლებს. ამ კარში ასახულია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ერთ-ერთი პრინციპი — მატერიალური დაინტერესების პრინციპი, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა სამეურნეო რეფორმის განხორციელების პერიოდში — დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ. მუშაკის ხელფასი უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული საწარმოს კოლექტივის მუშაობის შედეგებთან, საწარმოს მიერ მიღებული მოგების ოდენობასთან, ე. წ. მეცამეტე ხელფასის მიღების შესაძლებლობასთან (რომელიც ეძლევათ მუშებს 12 თვის შემდეგ). ეს აზრი მკაფიოდაა გამოთქმული საფუძვლების 38-ე მუხლში შემდეგნაირად: „შრომის ანაზღაურების სისტემებისადმი დამატებით შეიძლება დაწესდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების გასამრჯელო წლიური მუშაობის შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოს, ორგანიზაციის მიერ მიღებული მოგების ხარჯზე შექმნილი ფონდიდან. გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება მუშის ან მოსამსახურის შრომის შედეგებისა და საწარმოში, ორგანიზაციაში მუშაობის მისი განუწყვეტელი სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

ამ კარში მოცემულია ანაზღაურების წესები უქმე დღეებში მუშაობისათვის, ღამით მუშაობისათვის, გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობისათვის, წუნისა და მოცდენისათვის. ამასთანავე გათვალისწინებულია გარანტიები და კომპენსაციები მივლინებისა და სხვა ადგილსამყოფელზე გადასვლის შემთხვევებში და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი „საფუძვლებში“ შრომის დისციპლინის განმტკიცებას (კარი VII), რომელიც ხელს უწყობს წარმოების სწორ ორგანიზაციასა და შრომის ნაყოფიერების გადიდებას, განაპირობებს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარებასა და სრულყოფას.

ამ კარში დარწმუნებისა და იძულების მეთოდებზეა დამყარებული შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა, წახალისება — კეთილსინდისიერი შრომისათვის, ხოლო ცალკეულ არაკეთილსინდისიერ მუშაკთა მიმართ დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების გამოყენება. კონკრეტულადაა ჩამოთვლილი მუშა-მოსამსახურეთა და ადმინისტრაციის მოვალეობანი, ჩამოთვლილია შრომის დისციპლინის მომწესრიგებელი წყაროები (შრომის შინაგანაწესი, წესდებები დისციპლინის შესახებ), აგრეთვე სტიმულირების ფორმები და დისციპლინური სასჯელის სახეები.

„საფუძვლების“ (მეშვიდე, მერვე და მეცხრე კარებში) დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შრომის დაცვის გაუმჯობესების საკითხებს, მათ შორის ქალებისა და არასრულწლოვანთა (თვრამეტ წლამდე ასაკის პირთა) შრომის შეღავათიანი პირობების უზრუნველყოფას.

შრომის დაცვის ნორმები განსაზღვრავენ წესებს, რომლებიც საწარმოო სანიტარიისა და უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველყოფის მიზანს ემსახურებიან, საწარმოს (დაწესებულების) პასუხისმგებლობას მუშა-მოსამსახურეების ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო.

„შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე, — ნათქვამია ამ სამართლებრივი აქტის 64-ე მუხლში, — მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმით უფასოდ ეძლევათ რძე ან სხვა ტოლფასოვანი კვების პროდუქტი. ისეთ სამუშაოზე, სადაც შრომის განსაკუთრებით მავნე პირობებია, უფასოდ სარგებლობენ სამკურნალო-პროფილაქტიკური კვებით.

კატეგორიული ხასიათის შეღავათებზე მიუთითებენ „საფუძვლების“ ის ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა და მოზარდთა სამუშაოდან განთავისუფლების საკითხთან. „საფუძვლების“ მიხედვით, ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და ერთ წლამდე ასაკის ბავშვებიანი ქალების დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საწარმოს ლიკვიდაცია ხდება (73-ე მუხ.). რაც შეეხება არასრულწლოვანთა სამუშაოდან დათხოვნას ადმინისტრაციის ინიციატივით, შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და დაშვებულია, დათხოვნის საერთო წესის დაცვის გარდა, მხოლოდ არასრულწლოვანთა კომისიის თანხმობით, ამასთანავე საკალდებულოა მათი შრომითი მოწყობა (82-ე მუხ.).

ცალკე კარი (მეათე) ეძღვნება იმ მუშა-მოსამსახურეთა შეღავათებით სარგებლობის უფლებებს, რომლებიც მუშაობას სწავლასაც უთავსებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომითი დავების განხილვის წესების ძირითადი თავისებურებანი ასახულია „საფუძვლების“ მეთერთმეტე კარში. აქ მოცემულია მუშა-მოსამსახურეთა ფართო პროცესუალური უფლებანი ადმინისტრაციასთან შედავების შემთხვევებში. შრომითი დავის განხილვა-გადაწყვეტის წესი აგებულია რა სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპებზე, ხელს უწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, საბჭოთა სახელმწიფოსა და მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებების დაცვას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, ოომ მუშა-მოსამსახურეს „საფუძვლების“ 90-ე მუხლი უფლებას ანიჭებს შრომითი დავის კომისიას ნებისმიერ დროს მიმართოს ხანდაზმულობის რაიმე ვადით შეზღუდვის გარეშე.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის საკითხები მოწესრიგებულია „საფუძვლების“ მეცამეტე კარში. მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური უზრუნველყოფის მაღალი დონე გაპირობებულია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ყოველწლიურად მზარდი ბიუჯეტით. აღნიშნული კარის ნორმები განსაზღვრავენ სოციალური დაზღვევით უზრუნველყოფის სხვადასხვა სახეებს და რიგ დახმარებათა ზღვრულ ოდენობასაც.

მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებაში დიდი როლი აკისრიათ პროფკავშირებს. სოციალისტური დემოკრატიის გაფართოებისა და გაუმჯობესების ერთ-ერთი მაჩვენებელია პროფესიულ კავშირთა უფლებების შემდგომი გაფართოება.

სკკპ XXIII ყრილობამ დასახა პროფკავშირების როლის გაძლიერება სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების გადაჭრაში, წარმოების მართვაში და ა. შ. „საფუძვლების“ მეთორმეტე კარში შეტანილია ის ძირითადი ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ პროფკავშირების უფლებებსა და მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობას წარმოების მართვაში. ამ კარში ყურადღებას იპყრობს 98-ე მუხლი, რომელიც ეხება პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის ურთიერთობას ადმინისტრაციასთან. ეს ურთიერთობა გამოიხატება:

1) კოლექტიურ ხელშეკრულებაში, სადაც ამ ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ, ერთის მხრივ, საწარმოს ადმინისტრაცია, ხოლო, მეორეს მხრივ, პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი (მე-6 მუხ.); 2) შრომითი დავების განხილვის წესში, რომლის მიხედვითაც ადგილკომის ფუნქციას შეადგენს შრომითი დავის განხილვა-გადაწყვეტა (88-ე მუხ.); 3) საწარმოების (ორგანიზაციების) ვალდებულებაში ფულადი თანხები გადაუხადონ პროფკავშირულ ორგანოებს კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობისათვის (98-ე მუხ.); 4) ადმინისტრაციის ვალდებულებაში — შრომითი ურთიერთობის კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები შეუთანხმოს ადგილკომს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციის მოქმედებასა თუ გადაწყვეტილებას კანონიერი ძალა არ ექნება.

„საფუძვლების“ სხვადასხვა კარში მითითებულია ადმინისტრაციის ამ ვალდებულებაზე. ამის მიხედვით ადგილკომის თანხმობის მიღება ეკისრება ადმინისტრაციას: ა) თავისი ინიციატივით შრომის ხელშეკრულების გაუქმებისას (მე-18 მუხ.); ბ) საზეგანაკვეთო სამუშაოების გამოყენებაზე (27-ე მუხ.); გ) შვებულებათა რიგისობის განრიგზე (32-ე მუხ.); დ) მუშებისათვის საკვალიფიკაციო თანრიგის მინიჭებისას (37-ე მუხ.); ე) პრემიების გაცემის დებულების ღამტკიცებისას (38-ე მუხ.); ვ) წახალისების ზომების გამოყენებისას (55-ე მუხ.); ზ) განსაკუთრებულ შემთხვევებში 15 წლის მოზარდის მიღებისას (74-ე მუხ.) და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოთხმეტე კარი დათმობილი აქვს კონტროლს შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი. ამ კარში ფიქსირებული ნორმები (104-ე, 105-ე მუხ.) ზედამხედველობასა და კონტროლს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებისადმი აკისრებენ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და ინსპექციებს, აგრეთვე პროფესიულ კავშირებსა და მათ გამგებლობაში მყოფ ტექნიკურ და სამართლებრივ ინსპექციებს. კონტროლი შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი ასევე უნდა განახორციელონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა და განმკარგულებელმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე პროკურატურის ორგანოებმა.

უკანასკნელ კარში მოცემულია დასკვნითი დებულებანი, რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა (უკიდურესი ჩრდილოეთისა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა, სეზონურ სამუშაოებზე, ხე-ტყის მრეწველობასა და სატყეო მეურნეობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციებში დასაქმებულ მუშაკთა, დროებით მუშა-მოსამსახურეთა და სხვ.) შრომის თავისებურებანი და ა. შ. (106-ე მუხ.).

ამგვარად, „საფუძვლები" შეიცავენ საბჭოთა კავშირში შრომითი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების უმთავრეს და საკვანძო დებულებებს და მტკიცე იურიდიულ ფუნდამენტს ქმნიან შრომის კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისათვის; მასში გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი ძირითადი ნორმები.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მიღება დამაჯერებლად ადასტურებს საბჭოთა დემოკრატიზმის განვითარებას, მუშა-მოსამსახურეთა შრომითი გარანტიების ზრდას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას სამეურნეო რეფორმის განხორციელების თანამედროვე ეტაპზე.

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონსაწინააღმდეგო მოქმედება და ბრალეულობის ზოგიერთი საკითხი ზიანის ანაზღაურებისას

ო. კიკვიძე

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ზიანის მიყენების მოქმედების კანონსაწინააღმდეგობა და ზიანის მიმყენებლის მოქმედებაში ბრალეულობის საკითხის დადგენა.

ყოველი მოქმედება მიმართული სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევისაკენ წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას. ზიანის მიმყენებლის მოქმედება კი შეიძლება ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ მაშინ, თუ იგი არღვევს კანონს და მოქალაქეთა იმ უფლებებს, რომლებიც კანონით არის დაცული. სწორედ ასეთ მოქმედებას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც ზიანის მიმყენებელი არღვევს კონსტიტუციით მინიჭებულ მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებებს.[1] ამ მომენტიდან წარმოიშობა დაზარალებულისათვის უფლება — მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ამრიგად, ზიანის მიმყენებლის მიერ დაზარალებულის უფლების დარღვევის შედეგად წარმოიშობა ვალდებულება მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

კანონსაწინააღმდეგოს წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის მოქმედება მაშინ, როდესაც დაზარალებულს მიყენებული ზიანი მომეტებული საფრთხის წყაროთი მოუვიდა (ავტომანქანით, რკინიგზის ტრანსპორტითა და სხვა საშუალებებით), იმის მიუხედავად მიუძღვის თუ არა მასში ბრალი მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს.

კანონსაწინააღმდეგოდ ითვლება, აგრეთვე ზიანის მიმყენებლის მოქმედება დაზარალებულის მიმართ საწარმოში, ან დაწესებულებაში მომხდარი უბედური შემთხვევის დროს, როდესაც სხეულის დაზიანება გამოიწვია საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ტექნიკური უშიშროების წესების დარღვევამ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საფუძვლების 88-ე მუხლი და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის 457-ე მუხლის III ნაწილით ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლად მიჩნეულია მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი. ამ დროს მიყენებული ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასეთ შემთხვევებს აქვს ადგილი მაშინ, როდესაც ზიანი მიყენებულია აუცილებელი მოგერიებისა ან უკიდურესი აუცილებლობის დროს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საქართველოს სსრ სსკ მე-15 მუხლის თანახმად დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მო-

---

[1] იხ. სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხ. მე-10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერიების მდგომარეობაში, ესე იგი საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, სა-ზოგადოებრივი ინტერესების, მომგერიებელის ან სხვა პირის პიროვნებისა თუ უფლებების დაცვისას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან, ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან გადაცილებული არ არის აუცილებელი მოგერიების ფარგალი. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 461 მუხლის მოთხოვნა კატეგორიულად მიუთითებს, რომ ზიანი არ ანაზღაურდება თუ კი აუცილებელი მოგერიების საზღვარი გადაცილებული არ იქნება.

ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი უკიდურესი აუცილებლობის დროს. საქართველოს სსრ სსკ მე-16 მუხლით დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმეღობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი იმ საფრთხის თავიდან ასაცდენად, რომელიც ემუქრება საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, საზოგადოებრივ ინტერესებს, ამ პირის თუ სხვა მოქალაქეთა პიროვნებას ან უფლებებს, თუ ეს საფრთხე მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებებით და თუ მიყენებული ზიანი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე თავიდან აცდენილი ზიანი. ამასთან ერთად ცნება უკიდურესი აუცილებლობის მსგავსების შესახებ სისხლისა და სამოქალაქო სამართალში, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ არ განვსხვავოთ ისინი და არ მივცეთ სათანადო შეფასება უკიდურესი აუცილებლობის სამართლებრივ შედეგებს სისხლისა და სამოქალაქო სამართალში. ამ მხრივ სრულიად საფუძვლიანია პროფ. ს. ჯორბენაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „უკიდურესი აუცილებლობა სამოქალაქო სამართალში განსაზღვრავს თუ რა პირობებში ხდება ადამიანი უფლება-მოსილი საშიშროების მუქარის შედეგად ხელყოს მესამე პირთა კუთვნილი სამართლებრივი დოვლათი, მაშინ როდესაც სისხლის სამართალში იგი უპირველეს ყოვლისად მიუთითებს იმის შესახებ, თუ როდის უნდა დარჩეს ასეთი ხელყოფა დაუსჯელი“.[2]

მაგალითად მილიციის თანამშრომელი, რომელმაც ძალის გამოყენების შედეგად გატეხა საცხოვრებელი ბინის კარები, და ამის შედეგად დააზიანა კარებთან ახლოს დაკიდებული მეზობლის კუთვნილი ძვირფასი ნივთი, აღმოჩნდა უკიდურესი აუცილებლობის წინაშე, ვინაიდან ბინაში მყოფ მარტოხელა ქალს გარდუვალი სიკვდილი ემუქრებოდა ბოროტმოქმედისაგან, რომელიც პირადი საოჯახო ქონების გაძარცვის მიზნით იყო შესული სახლში და არავითარი სხვა საშუალება არ არსებობდა ქალის შველისა და ბოროტმოქმედის შეპყრობისათვის გარდა სახლის კარების გატეხვისა, რომელმაც გამოიწვია მეზობლის კუთვნილი ძვირფასი ნივთის დაზიანება. ამ შემთხვევაში „საფუძვლების“ 88-ე მუხლისა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 462-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე საკითხი ისმის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. მოცემულ კონკრეტულ გარემოებაში მიუხედავად იმისა, რომ ზიანის მიმყენებლის მოქმედება მართლზომიერია, იგი მაინც არ შეიძლება გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურებისაგან. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ზიანის

---

[2] **С. М. Джорбенадзе,** Крайняя необходимость в советском гражданском законодательстве, «Советское государство и право», 1960 г., № 10, стр. 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისაგან, რომელსაც თავის მხრივ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ პირისაგან, რომლის ინტერესების გამოც მიყენებული იქნა ზიანი.[3] ამავე დროს, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 462-ე მუხლით უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა, მაგრამ იმ ფაქტიური გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი, სასამართლოს შეუძლია დააკისროს მისი ანაზღაურება მესამე პირს, რომლის ინტერესებისათვისაც ზიანის მიმყინებელი მოქმედებდა, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ანაზღაურებისაგან როგორც ეს მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც.

კონკრეტულ შემთხვევაში კანონის მოთხოვნის შესაბამისად ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს ოთახის პატრონს ე. ი. მესამე პირს, რომლის გადარჩენის მიზნითაც იძულებული გახდა ზიანის მიმყენებელი გაეტეხა სახლის კარები და ოთახში არსებული მეზობლის კუთვნილი ძვირფასი ნივთი. ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან, როგორც დასახელებული ქალი (მესამე პირი), ისე ზიანის მიმყენებელიც ე. ი. მილიციის თანამშრომელი. ცხადია ასეთ ვითარებაში ის პირი (მეზობელი მობინადრე) რომლის საკუთრებასაც წარმოადგენდა დაზარალებულ ქალის (მესამე პირის) ბინაში მიბარებული ძვირფასი ნივთი, რომელიც გაუვარგისდა შემთხვევასთან დაკავშირებით თავის მხრივ უფლებამოსილია სარჩელი აღძრას ზარალის ასანაზღაურებლად როგორც მესამე პირის (ქალის) მიმართ, ასევე ზიანის მიმყენებელ მილიციის თანამშრომლის მიმართ.

ჩვენი შეხედულებით მოცემულ შემთხვევაში, თუ კი სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან გაათავისუფლოს მესამე პირი და ზიანის მიმყენებელი (მილიციის თანამშრომელი) მაშინ მთლიანი ზარალის ანაზღაურება უნდა დააკისროს იმ ბოროტმოქმედ დამნაშავე პირს, რომელიც დაკავებული იქნა ბინაზე მილიციის თანამშრომლის მიერ.

კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასთან ერთად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია ბრალეულობის საკითხის დადგენა. ზიანის მიმყენებელი ასეთ პირობებში პასუხს აგებს დაზარალებული პირის წინაშე როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი მოქმედებისათვის, რამაც გამოიწვია მიყენებული ზიანი. აღნიშნული დებულება გამოხატულებას პოულობს „საფუძვლების“ 37-ე მუხლით, სადაც გარკვევით არის ნათქვამი, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, პიროვნებას ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ბრალის არსებობის დროს. ამ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას და ვიხილავთ საკითხს პიროვნების ამ მოქმედებაში ბრალის არსებობის შესახებ, მხედველობაში გვაქვს, როგორც ზემოთ აღინიშნა ცნება—განზრახვა და გაუფრთხილებლობა, რის გამოც მეტად საყურადღებო და სერიოზული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა დებულების მიხედვით უნდა ვიხელმძღვანელოთ ხსენებულ ცნებათა (განზრახვა და გაუფრთხილებლობის) განსაზღვრისათვის. წამოჭრილი საკითხის გადაწყვეტა ბრალეულობის დადგენასთან დაკავშირებით წარმოადგენს მეტად რთულ პრობლემას იმისათვის, რომ პირდაპირი მითითება არ არის დღემდის მოცემული სამოქალაქო კანონმდებლობაში იმის შესახებ, თუ რა შე-

[3] **ს. ჯორბენაძე.** დასახელებული წერილი, გვ. 74.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება ვიგულისხმოთ განზრახვასა და გაუფრთხილებლობაში. სამწუხაროდ, არც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1963 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება იძლევა რაიმე განმარტებას ამ საკითხში. ასეთ პირობებში საკითხი ისმის ზემოთ დასახელებული ცნების განმარტებისათვის—შესაძლებელია თუ არა გამოყენებული იქნეს ის განსაზღვრა, რომელსაც შეიცავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ამ კითხვაზე დადებითად უპასუხებენ მთელი რიგი ავტორები. კერძოდ, კ. კ. იაიჩკოვი შესაძლებლად სთვლის, რომ ზიანით წარმოშობილ ვალდებულებებში გამოყენებულ იქნას განზრახვის განმარტების ის ფორმულირება, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში, კერძოდ, ასეთი განმარტება არის მოცემული სსკ-ის მე-9 მუხლში.

ასევე დგას საკითხი გაუფრთხილებლობის ცნების განმარტებისას. ამასთან დაკავშირებით კ. კ. იაიჩკოვი სავსებით გასაგებად აღნიშნავს, რომ როდესაც საკითხი ეხება გაუფრთხილებლობას, არ არსებობს დაბრკოლება რათა გამოვიყენოთ მასზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში მოცემული განმარტება[4].

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ამ საკითხის ირგვლივ გ. კ. მატვეევი, რომელიც აღნიშნავს, იმის გამო რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში არ არის მოცემული განზრახვის ცნების ნორმატიული განმარტება, შეიძლება მას საფუძვლად დაედოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განმარტება.[5]

ამრიგად, აღნიშნულ კანონმდებლობაში მოცემული პრინციპიალური დებულების საფუძველზე ზიანის მიმყენებელს ბრალი დაედება და ჩაითვლება სამართალდამრღვევად, თუ მას კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ან უმოქმედობის ჩადენისას შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგს და სურდა ეს შედეგი ან შეგნებულად უშვებდა მის დადგომას, ან მეორე მხრივ, გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ქარაფშუტულად ვარაუდობდა მის თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც გაეთვალისწინებინა იგი.

ეყრდნობა რა არსებულ დებულებას, სასამართლო პრაქტიკა სახელმძღვანელოდ იყენებს მას ზიანით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ ბრალეულობის საკითხის დადგენის შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით ყოველმხრივ საფუძვლიანად და დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს სამგორის რაიონის სახალხო სასამართლოს 1962 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც, დაკმაყოფილდა მთლიანი პასუხისმგებლობის პრინციპით ზ. ა. კოდელაშვილის სარჩელი სოფელ ტაბახმელის სახელმწიფო ბიოკომბინატის დამხმარე მეურნეობასთან ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ[6].

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქმეში არსებული მასალებით, ობიექტურად შეაფასა წარმოშობილი ხანძრის მიზეზი, რომელიც გამოწვეული იქნა მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხე ორგანიზაციის ბრალით, კერძოდ ამ ორგანი-

---

[4] **К. К. Яичков,** Права возникающие в связи с потерей здоровья. Издательство «Наука», 1964 г., стр. 74.

[5] **Г. К. Матвеев,** Вина в советском гражданском праве. Изд-во Киевского го-го Университета, 1955, стр. 250—251.

[6] იხ. სამგორის რაიონის სახ. სასამართლოს 1962 წ. საქმე № 2/63 — 1962 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციაში მომუშავე ბრიგადირის ვ. ა. მოისეევის მიერ სახანძრო უშიშროების წესების დარღვევით. მან თამბაქოს მოწევის მიზნით აანთო ასანთი სატრაქტორო ბრიგადის საწვავ-საცხებ საწყობში, რის შედეგადაც ერთდროულად აფეთქდა საწვავ-საცხები სითხეების საწყობი. ორგანიზაციამ განიცადა 149 მანეთის ზარალი, ხოლო ხანძრის შედეგად მოსარჩელე კოდელაშვილმა მიიღო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება და დაკარგა პროფესიული და საერთო შრომის უნარი 100%-ით. ასეთ პირობებში სასამართლომ სავსებით სწორად სცნო ბრალი მოპასუხე ორგანიზაციის მოქმედებაში და კანონიერად დააკისრა მას მოსარჩელე კოდელაშვილის სასარგებლოდ ზარალის ანაზღაურება. დაკმაყოფილა რა კოდელაშვილის სარჩელი, სასამართლომ ერთ-ერთ სერიოზულ დამადასტურებელ საფუძვლად გამოიყენა საქმეში არსებული იმავე სახალხო სასამართლის 1961 წლის 19 სექტემბრის განაჩენი ვ. ი. მოისეევის მიმართ, რომელსაც შეფარდებული ჰქონდა სსკ-ის 247 მუხლის II ნაწილი. ამასთან ერთად სასამართლომ ბრალის საკითხი დაასაბუთა თვით მოსარჩელის (დაზარალებულის) ჩვენებით და სასამართლო-სამედიცინო შემოწმების დასკვნით.

1962 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის I მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ უარი უთხრა სარჩელში მოსარჩელე გ. შ. თაბუაშვილს მოპასუხე ქ. თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს და თანამოპასუხე — ქ. თბილისის ელმავალშემკეთებელ ქარხანასთან დასახიჩრებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ იმ მოტივით, რომ მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციებს არავითარი ბრალი არ მიუძღვოდათ მოსარჩელე თაბუაშვილის დაზიანებაში[7]. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელე თაბუაშვილი მუშაობდა რა თანამოპასუხე ორგანიზაციაში როგორც ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ წევრი 1960 წლის 16 მაისს მონაწილეობდა სხვა სპორტსმენებთან ერთად ქ. თბილისის პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში. ჭიდაობის დამთავრების შემდეგ შეიქმნა ცუდად და სასამართლო-სამედიცინო შემოწმებით მას აღმოაჩნდა თავის არეში დაზიანება, რის შედეგადაც, როგორც საერთო ისე პროფესიული შრომის უნარი დაკარგა ორი თვის განმავლობაში 100%-ით, შემდგომში საერთო შრომის უნარი 45%-ით, ხოლო პროფესიული 90%-ით. თვლიდა რა მოსარჩელე, რომ დაზიანება მიიღო მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციების ბრალით, მოითხოვდა სრული პასუხისმგებლობის პრინციპით სარჩელის დაკმაყოფილებას.

დაასაბუთა რა სწორად მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციების მოქმედებაში არაბრალეულობა, სასამართლომ გადაწყვიტა:

ქ. თბილისის პირადი გუნდური შეჯიბრი თბილისის პირველობაზე, სადაც მონაწილეობას ღებულობდა მაძიებელი ორგანიზებულად იყო მოწყობილი შეჯიბრის ღონისძიებათა ჩატარების ყველა პირობის დაცვით. როგორც საქმეზე დაკითხული მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობის ჩვენებებიდან დასტურდება, ჭიდაობის პროცესში არავითარი წესი არ ყოფილა დარღვეული.

მოსარჩელე თაბუაშვილის მწვრთნელ ტლაშაძის განმარტებიდან ირკვევა, რომ შეჯიბრი დამთავრდა მაძიებელ თაბუაშვილის გამარჯვებით

[7] იხ. თბილისის I მაისის რაიონის სახ. სასამართლოს 1962 წ. საქმე № 2/69 — 62 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იგი ცუდად შეიქნა საჭიდაო ხალიჩიდან გასვლის შემდეგ. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში თაბუაშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ იგი ცუდად შეიქნა ხალიჩაზე, და მიუხედავად ამისა, მაინც აჭიდავეს, მოკლებულია სინამდვილეს, ვინაიდან მსაჯთა კოლეგია რამდენიმე პირისაგან შედგებოდა და თაბუაშვილს, როგორც გამოცდილ სპორტსმენს, ვერავინ აიძულებდა ეჭიდავა მისი სურვილის გარეშე. შექმნილ ვითარებაში ცხადია, რომ ყოველმხრივ უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა მის სასარგებლოდ მოპასუხესა და თანამოპასუხეზედ ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ, მითუმეტეს, რომ აღნიშნული შეჯიბრი ჩატარდა საზოგადოების ფართო მასების თანდასწრებით და თაბუაშვილი რომ მართლაც საჭიდაო ხალიჩაზე დავარდნილიყო უგრძნობ მდგომარეობაში და მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობისათვის გაეცხადებინა იმის შესახებ, რომ ჭიდაობა არ შემიძლიაო, მას ვერავინ აიძულებდა ჭიდაობას და ვერც გამარჯვებას მიანიჭებდნენ.

11.706

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის საკითხისათვის

შ. პაპიძე,
საქართველოს კპ ცკ საერთო განყოფილების წერილების სექტორის გამგე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი
ა. ხოშტარია,
საქართველოს კპ ცკ საერთო განყოფილების შტატგარეშე ინსტრუქტორი, იურისტი

კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე ქცევის მორალური ნორმები თანდათანობით საბჭოთა ადამიანების ურღვევი ცხოვრებისეული წესი ხდება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ისეთი მახინჯი მოვლენის აღმოფხვრას, როგორიც პიროვნების პატივისა და ღირსების ხელყოფაა. კომუნისტური საზოგადოების აშენების, კომუნისტური მორალის პრინციპების დამკვიდრების პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ზრუნვას ადამიანის პიროვნების, პატივისა და ღირსების დაცვისათვის, რასაც ჩვენი სახელმწიფო იჩენს და რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, სადაც ხაზგასმულია, რომ „თვითეული მოქალაქის პირად ღირსებას საზოგადოება იცავს“[1].

საბჭოთა ადამიანების კულტურული აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია საკუთარი ღირსების და განსაკუთრებით სხვისი ღირსების პატივისცემის გრძნობის განვითარება, რათა აღმოიფხვრას ადამიანთა ღირსების დანაშაულებრივი ხელყოფა, რომელიც უცხოა ჩვენი საზოგადოების მორალისათვის.

მაგრამ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, გაზეთების რედაქციები, ადგილობრივი დაწესებულებები და ორგანიზაციები არაიშვიათად იღებენ წერილებსა და განცხადებებს, რომლებშიც მოქალაქენი სთხოვენ მათ დაიფარონ ცილისწამებისაგან, პასუხი აგებინონ შეურაცხყოფის მიმყენებელ პიროვნებებს.

მოდის ისეთი წერილებიც, რომლებიც თვითონ შეიცავენ ცილისმწამებლურ მონაჭორებს.

ზოგჯერ წერილების ავტორები აღნიშნავენ, რომ კონფლიქტის გამოსარკვევად მუშაობდა რამდენიმე კომისია, რომლებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაზარალებულის წინააღმდეგ შეტანილი განცხადების შინაარსი ცილისმწამებლურია, მაგრამ დამნაშავის მიმართ არავითარი რეალური ზომები არ არის მიღებული და იგი დაუსჯელი რჩება.

მოქალაქენი ჩივიან, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გრძელდება, რომ ძველს ახალი ცილისწამება ემატება, და არა ჩანს არავინ, ვინც ბოლოს მოუღებდა ამას, თუმცა დაზარალებულნი სხვადასხვა ინსტანციებს მიმართავენ.

რით არის ეს გამოწვეული? იმით, რომ დაწესებულებებს ან ორგანიზაციებს, რომლებსაც განმცხადებლებმა დახმარებისათვის მიმართეს, არა სურთ

---

[1] „სკკპ პროგრამა“, სკკპ XXII ყრილობის მასალები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 510.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკისრონ არბიტრის ფუნქციები ცილისწამების საქმეებზე, თუ იმით, რომ ისინი არ არიან კომპეტენტური ამ საკითხებში?

საქმე ის არის, რომ ცილისწამება ისეთი ქმედობაა, რომელიც სისხლის სამართლის წესით ისჯება, და ამიტომ არც ერთ დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ შეუძლია კანონის საწინააღმდეგოდ გადაჭრას საკითხები, რომლებიც სასამართლოს პრეროგატივას შეადგენენ ან ექვემდებარებიან პროკურატურის ორგანოებს, როცა ცილისწამების ფაქტი საზოგადოებრივ მნიშვნელობას იღებს.

იბადება კითხვა, რატომ უგზავნიან მაინც მოქალაქენი ზემოაღნიშნული შინაარსის წერილებსა და განცხადებებს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, რომლებიც უფლებამოსილნი არ არიან გადაჭრან მსგავსი საჩივრები?

მიღებული საჩივრების ანალიზს მივყევართ დასკვნამდე, რომ ზოგიერთი მოქალაქე, რომელსაც ცილი დასწამეს, ამას აკეთებს იმიტომ, რომ არ იცის ვის კომპეტენციაში შედის და რა წესით ხდება ამ კატეგორიის საქმეთა განხილვა.

სხვა მოქალაქენი კი, რომლებიც სისტემატურად გზავნიან ცილისმწამებლური მონაჭორის შემცველ „სიგნალებს", ყოველთვის როდი ითვალისწინებენ, რომ ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება საბჭოთა კანონით.

ზოგიერთი დაწესებულება, მიიღებს რა წერილს, რომელიც შეიცავს თხოვნას ცილისწამებისაგან დაცვის შესახებ, ნაცვლად იმისა, რომ მიუთითოს, თუ ვის უნდა მიმართოს, თვითონ იწყებს წერილში მოყვანილ გარემოებათა შემოწმებას ან შინაარსის მიხედვით წერილს უგზავნის სხვა უწყებას, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილი არ არის გნიხილოს და გადაჭრას ეს საკითხი.

ასე წარმოიშობა ზედმეტი მიწერ-მოწერა, შემოწმებაში მონაწილეობისათვის გამოიყოფიან ახალი და ახალი მუშაკები, რომლებიც ჰკიდებენ ხელს ამ საქმეს, მაშინ როცა უფლება არა აქვთ მისცენ ცილისმწამებელი პასუხისგებაში, განმცხადებელი კი საბოლოოდ დაუკმაყოფილებელი რჩება. დგება მომენტი, როცა ცილისწამება, რომლის საზოგადოებრივი საშიშროება საყოველთაოდ ცნობილია, როგორც სწორად აღნიშნავს ა. ნიკოლაევი, „ზიანს აყენებს არა მარტო ცალკეულ პირებს, არამედ აგრეთვე ხელს უშლის საბჭოთა დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას"[2].

განა ცოტაა მაგალითები, როცა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ვერ ახერხებენ ზოგიერთი ცილისმწამებლისა და გაუსწორებელი დავაქრის მოთვინიერებას, ტყუილ-უბრალოდ კარგავენ მისთვის დროს, არ იციან ზემოქმედების რა ხერხებით და ზომებით იხელმძღვანელონ, რათა ნამდვილად აგებინონ მას პასუხი.

რა ზომები უნდა იქნას მიღებული, როცა პარტიული და საბჭოთა ორგანოები იღებენ სიგნალებს, რომლებიც ამა თუ იმ პიროვნების სახელისგამტეხ ცნობებს შეიცავენ? რასაკვირველია, ასეთი სიგნალები უნდა შემოწმდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ თუ გამოირკვევა სიგნალის ცილისმწამებლური ხასიათი, მისი შინაარსი უნდა გავაცნოთ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ამგვარად ამუა-

---

[2] ა. ნიკოლაევი „პასუხისმგებლობა ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის", ჟურნალი „სოვეტსკაია იუსტიცია", 1963, № 20, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება მიეცემა ისარგებლოს კანონით მინიჭებული უფლებით და აღძრას სასამართლოს წინაშე საჩივარი ცილისმწამებლის წინააღმდეგ.

საზოგადოებრივი კომისიის მონაწილეობა რომელიმე პიროვნების სახელისგამტეხი ცნობების შემცველი წერილის შემოწმებაში და შემოწმების შედეგების მიხედვით ამ კომისიის მიერ წინასწარი დასკვნის გამოტანა სავსებით დასაშვებია, ასე ვთქვათ, პირველ ეტაპზე, მაგრამ ცილისწამების როგორც დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტის შესახებ საბოლოო აზრის გამოტანა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს — მართლმსაჯულების ყველაზე ავტორიტეტულ და კვალიფიციურ ორგანოს, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს დადგენილება დანაშაულის ჩადენაში ბრალის შესახებ და სათანადოდ დასაჯოს დამნაშავე.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-7 მუხლში მითითებულია, რომ „მართლმსაჯულებას სისხლის სამართლის საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო. არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნას დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში და დაისაჯოს, თუ არა სასამართლოს განაჩენით...“

ამ მომენტამდე კი ძალაშია საკანონმდებლო წესით განმტკიცებული პრინციპი უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ და დასკვნა სისხლის სამართლის წესით დასასჯელი დანაშაულის ჩადენის შესახებ შეიძლება გამოიტანოს მხოლოდ სასამართლომ, რომელიც საქმეს არჩევს.

აქედან ცხადია, რომ არავითარი ბრალდება სხვა პიროვნებისათვის ცილის დაწამების შესახებ ან თხოვნა ცილისწამებისაგან დაცვის შესახებ არ უნდა გადაწყდეს სასამართლოს გარეშე საზოგადოებრივი კომისიის დასკვნის ან დაწესებულების და ორგანიზაციის მიერ ჩატარებული შემოწმების საფუძველზე. საიდუმლოებას როდი შეადგენს, რომ ასეთი შემოწმებისათვის გამოყოფილი კომისის წევრები იძულებული არიან გადასდონ უფრო საჭირო და უფრო სასარგებლო საქმე, თანაც კომისიის წევრებს ყოველთვის არ გააჩნიათ სპეციალური კვალიფიკაცია გამოსარკვევ ფაქტში ცილისწამების შედგენილობის დასადგენად. მთავარი კი ის არის, რომ მათ მიერ გამოტანილ დასკვნას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე სამართლებრივი შედეგი.

მშრომელთა წერილებზე მუშაობის პრაქტიკა, რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში შემოსული ფოსტის ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ საჭიროა სამართლის პროპაგანდის დროს განვმარტოთ მოქმედი კანონმდებლობა ცილისწამების დასჯადობის შესახებ.

მშრომელთა მასებმა უნდა იცოდნენ, რომ პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვა საბჭოთა სახელმწიფოში უზრუნველყოფილია არა მარტო სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი სისტემით, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის ნორმებით. მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმ ნორმების სისტემატურ პროპაგანდას, რომლებიც ითვალისწინებენ ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას.

ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ და აქტიურად ვამოვიყენოთ პროპაგანდის ყველაზე მასობრივი საშუალებები — პრესა, რადიო და ტელევიზია.

ამასთანავე თუ ჩვენი სასამართლოები თანმიმდევრულად განახორციელებენ რეკომენდაციებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 25 თებერვლის დადგენილებაში „სასამართლო პროცესების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მათი ჩატარების კულტურის ამაღლების და სასამართლო საქმიანობის აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“, მაშინ ადამიანთა ფართო წრის მიერ სასამართლოს განაჩენისა და გადაწყვეტილების გაცნობა (განაჩენების იმ კოლექტივებისათვის შეტყობინებით, სადაც მსჯავრდადებულნი მუშაობენ ან ცხოვრობენ) ან სასამართლოს ღია პროცესების ჩატარება და განაჩენის პრესაში გამოქვეყნება გამაფრთხილებელ და აღმზრდელობითს ზემოქმედებას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც ცილისწამებისადმი მიდრეკილებას ამჟღავნებენ.

საბჭოთა საზოგადოებაში პიროვნების სახელისა და ღირსების ხელყოფის დაუშვებლობის და ცილისწამების დასჯადობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება წარმოადგენს მთელი საზოგადოებრიობის საქმეს, მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანას, რომელიც კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს ემსახურება.

ვინაიდან პრაქტიკაში მეტწილად თავს იჩენენ ყველაზე გავრცელებული ე. წ. „მარტივი“ სახის ცილისწამების გამოვლინებანი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის 1-ლი ნაწილით, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება დავუთმოთ ცილისწამების სწორედ ამ სახეს.

ცილისწამება, ე. ი. გავრცელება შეგნებულად შეთხზული მონაჭორისა, რომელიც სახელს უტეხს სხვა პიროვნებას და გამოხატულია ზეპირი ან წერილობითი ფორმით, განეკუთვნება კერძო ბრალდების საქმეთა კატეგორიას, რომლებიც შეიძლება აღიძრას სასამართლოში მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე შემთხვევებში პროკურორის ინიციატივით, თუნდაც დაზარალებული თვითონ არ ჩიოდეს.

სამწუხაროდ, კერძო ბრალდების საქმეების (მათ შორის ცილისწამების საქმეების) აღძვრის წესის ამ მნიშვნელოვანი თავისებურების შესახებ არ იციან, ან ზოგჯერ ივიწყებენ თანამდებობის პირნი, რომლებიც იღებენ განცხადებებს ცილისმწამებელთა ალაგმვის შესახებ.

უფრო მეტიც, არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ცალკეული დაწესებულებები და უწყებები კანონით განსაზღვრული წესის საწინააღმდეგოდ კისრულობენ საბოლოო დასკვნის გაკეთებას ცილისმწამებლური მონაჭორის შემცველი წერილების შემოწმების შემდეგ.

ამა თუ იმ სიტყვიერ თუ წერილობითს განცხადებაში ცილისწამების ნიშნების არსებობის შეფასების ერთადერთ სწორ კრიტერიუმს წარმოადგენს სასამართლო პროცესი, რომლის დროს დაცული უნდა იყოს ცილისწამების საქმეთა აღძვრის და განხილვის კანონით დადგენილი ყველა წესი.

ამ წესის ყოველგვარი დარღვევა, განსაკუთრებით კი ისეთი შემთხვევა, როცა დაზარალებულს საჩივარი შეტანილი არა აქვს, გამოიწვევს საქმის მოსპობას პროცესის ყოველ სტადიაში.

ჩვენ დაწვრილებით არ ვეხებით ამ სტატიაში ცილისწამების საქმეთა აღძვრის და განხილვის პროცესუალურ თავისებურებებს, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი.

საერთო წესისაგან განსხვავებით ამ კატეგორიის საქმეებს უშუალოდ იღებს სასამართლო და მათ გარშემო არ წარმოებს წინასწარი გამოძიება, მაგრამ მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლე ვალდებულია სასამართლოს სხდომამდე საქმის მომზადების პროცესში შეამოწმოს, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი საქმის აღძვრისათვის.

ამ შემოწმების პროცესში მოსამართლეს შეუძლია დაამტკიცოს საჭირო ცნობები დაზარალებულის და ცილისმწამებლის შესახებ, მიიღოს მონაცემები, რომლებიც დაადასტურებენ საჩივრის საფუძვლიანობას, ან პირიქით. ეს საშუალებას აძლევს მოსამართლეს გამოიტანოს სწორი გადაწყვეტილება მხარეთა შერიგების მიზანშეწონილობის, სასამართლოში საქმის აღძვრაზე უარის თქმის, ან საქმის განხილვის აუცილებლობის შესახებ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ როცა აღძრულია საქმე ცილისწამების შესახებ, მოსამართლე განსაკუთრებული სიფრთხილით და გულისყურით უნდა მიუდგეს მხარეთა შერიგების საკითხს, აწონ-დაწონოს საქმეში არსებული ყველა მასალა, მოაწყოს სასამართლოს სხდომამდე წინასწარი საუბარი, გაარკვიოს დაზარალებულის და ბრალდებულის ურთიერთობის შემდგომი პერსპექტივები.

მაგრამ ეს წყდება თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენ კი გვინდოდა მხოლოდ აღგვენიშნა მხარეთა შერიგების შესაძლებლობა როგორც სასამართლოს სხდომამდე საქმის მომზადების პერიოდში, ისე სასამართლოს მიერ საქმის გარჩევის დროს, რასაც შედეგად მოჰყვება საქმის წარმოებით მოსპობა.

ვუბრუნდებით რა ცილისწამებისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის საკითხს, საჭიროა ხაზი გავუსვათ, რომ ამ სახის დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანია წინასწარი განზრახვა, როცა ცილისმწამებელმა იცის, რომ ავრცელებს თავისივე გამოგონილ ან სხვისგან მოსმენილ განზრახ შეთხზულ აშკარა მონაჭორს, რომელიც სახელს უტეხს დაზარალებულს, როცა ცილისმწამებელი ვარაუდობს და მოელის თავისი ნამოქმედარისაგან ისეთ შედეგს, რომელიც დაამცირებს დაზარალებულის პატივსა და ღირსებას, შელახავს მის რეპუტაციას იმ კოლექტივის თვალში, სადაც ის ცხოვრობს ან ეწევა საქმიანობას.

ამიტომ სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს და შემამსუბუქებელ გარემოებად არ უნდა იყოს მიღებული მხედველობაში ცილისმწამებლის მტკიცება, რომ რაც მოხდა, შემთხვევას უნდა მიეწეროს, და რომ წინასწარი განზრახვით არ ჩაუდენია დანაშაულებრივი ქმედობა-ცილისწამება. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის შემსუბუქების ასეთ ცდას ცილისმწამებლები მთელ რიგ შემთხვევებში მიმართავდნენ. ამას ადასტურებს ცილისწამების შესახებ აღძრული საჩივრების სასამართლოსგარეშე შემოწმების ზოგიერთი მასალა.

ცნობილია, რომ ცილისწამება განეკუთვნება ე. წ. „ფორმალურ“ დანაშაულთა კატეგორიას და დასრულებულად ითვლება მისი გავრცელების მომენტიდან, იმის განურჩევლად, მოჰყვა თუ არა ამას რაიმე შედეგი იმ პიროვნებისათვის, რომელსაც ცილი დასწამეს, ან დაიჯერა თუ არა ცილისწამება ვინმემ.

ცილისმწამებლის ქმედობაში დანაშაულის ნიშნის დასადგენად და ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სავსებით საკმარისია აშკარად ყალბი და სახელის გამტეხი მონაჭორის გავრცელების ფაქტი, როცა მისი შინაარსი გაგებული აქვთ სხვა პირებს, თუნდაც ერთ გარეშე პიროვნებას.

როცა ვეცნობით ცილისწამების შესახებ აღძრული ზოგიერთი საქმის მასალას და ვესაუბრებით ადამიანებს, რომლებსაც ცილი დასწამეს, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ეს დანაშაულებრივი ქმედობა ზოგჯერ მორალურ ტრამვას აყენებს დაზარალებულს. გარკვეულ შემთხვევებში იგი უარყოფითს გავლენას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე და იწვევს არა მარტო მის დროებით გაუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესებას, არამედ ხშირად გულისა და ნერვული სისტემის მყარ, ხანგრძლივ დაავადებას.

თუმცა ცილისწამების გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ხსენებულ შედეგებს მნიშვნელობა არა აქვს და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლით ისინი გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ცილისწამებით გამოწვეული ისეთი შედეგი, როგორიც არის სამედიცინო კომისიის მიერ დადასტურებული სერიოზული გართულება დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისა, მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს სასამართლოს, როცა ცილისწამების კონკრეტულ საქმეს არჩევს, და ეს გართულება უნდა მიიჩნიოს დამამძიმებელ გარემოებად სასჯელის ზომის შეფარდებისას.

ცილისწამების მარტივი სახისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის 1 ნაწილით სასჯელის ზომად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ვადით, ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა 100 მანეთამდე, ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების შეფარდება.

განსახილველი საქმის მასალებისა და ბრალდებულის ვინაობის მიხედვით სასამართლოს შეუძლია აირჩიოს მოცემული შემთხვევისათვის სასჯელის ყველაზე შესაფერი ზომა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლში არაფერი არ არის ნათქვამი უსახელო წერილის სახით ჩადენილი ცილისწამების შესახებ, რაც, როგორც ჩანს, უსახელო წერილის დამწერის და ავტორის გამომჟღავნების სირთულით არის გამოწვეული.

ხსენებული ფორმის ცილისწამებაზე ამ მუხლში რომ არაფერია ნათქვამი, ეს გარემოება ზოგიერთ მოქალაქეს უქმნის მცდარ შთაბეჭდილებას თითქოს უსახელო წერილისათვის პასუხისმგებლობა არ იყოს.

ჩვენ საშუალება არა გვაქვს ამ სტატიაში სპეციალურად განვიხილოთ საკითხი ცილისწამების შემცველი უსახელო წერილების შესახებ, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ უსახელო წერილების საშუალებით პიროვნების პატივისა და ღირსების დანაშაულებრივი ხელყოფა გაძლიერებულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, და ამიტომ მიზანშეწონილია შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ნორმის სახით ზოგიერთი დამატება უსახელო წერილის შეთხზვით ჩადენილი ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, როგორც ეს დაკანონებულია, მაგალითად, ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში (118 მუხლის I ნაწილი).

როცა ესა თუ ის დაწესებულება ან ორგანიზაცია იღებს უსახელო წერილს, რომლის ავტორი სახელს უტეხს ვინმეს ცილისმწამებლური მონაჭორით, უკეთეს შემთხვევაში ამ უსახელო წერილს უყურადღებოდ ტოვებენ, ზოგჯერ კი ცილდაწამებულისათვის იწყება ნერვების აწეწვა, რაც დაკავშირებულია შემოსული უსახელო „სიგნალის“ შემოწმების პროცესში მის მიერ ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებების მიცემასთან.

ამ დროს კი უსახელო წერილის ავტორი, რომელსაც პასუხისმგებლობისა არ ეშინია, იმკის თავისი ცილისმწამებლური „მოღვაწეობის“ ნაყოფს.

ფ. ე. ძერჟინსკი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რა ცილისმწამებლებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლას, ერთ-ერთ თავის ბარათში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სახელზე 1920 წლის 13 ნოემბერს მოითხოვდა, რომ გამოცემულიყო ცირკულარი, სადაც ჩაწერილი იქნებოდა: „თუ ვისიმე განცხადებით ან ჩვენებით მსვლელობა ეძლევა ან ისპობა საქმე, საჭიროა უწინარეს ყოვლისა ზედმიწევნით გამოირკვეს განმცხადებლის ვინაობა მისი პარტიულობის და პატიოსნების მხრივ, ვინაიდან ძალიან ხშირად განმცხადებლები აღმოჩნდებიან ხოლმე უსახელო წერილების შემთხზველნი ან პირები, რომლებიც არავითარი ნდობის ღირსი არ არიან, და როცა მსვლელობა ეძლევა ასეთ ძალიან ხშირად ცილისმწამებლურ განცხადებებს, ამის შედეგად ილახება პატიოსანი ამხანაგებისა და ადამიანების ღირსება...“[3].

ჩვენი აზრით, დიდი ხანია მომწიფდა იმის საჭიროება, რომ შემუშავდეს შესაბამისი განმარტებანი, რომლებითაც იხელმძღვანელებენ დაწესებულებები და ორგანიზაციები, როცა თავიანთ ფოსტაში შეხვდებიან უსახელო წერილებს, რომელთა ავტორები ცილს სწამებენ ამა თუ იმ პიროვნებას ან ჩირქს სცხებენ რომელიმე მუშაკის შრომითს საქმიანობას.

ჩვენ შევეხეთ ცილისწამების მარტივი სახისათვის პასუხისმგებლობის საკითხის მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს, რომლებიც ნაკარნახევია რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში უკანასკნელი წლების მანძილზე შემოსული კორესპონდენციის ანალიზით. ცილისწამებისაგან დაცვის შესაძლებლობანი არ ამოიწურება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმებით. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიღებისა და სამოქალაქო კოდექსებში სახელისა და ღირსების დაცვის შესახებ მუხლების შეტანის შემდეგ გაცილებით გაუფართოვდათ სახელისგამტეხი ცნობებისაგან დაცვის შესაძლებლობანი არა მარტო მოქალაქეებს, არამედ ორგანიზაციებსაც.

საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად „მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს წესით მათი სახელისა და ღირსების შეურაცხმყოფელი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამება“.

დაუმტკიცებელი სახელისგამტეხი ცნობების უარყოფის წესს ადგენს სასამართლო, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მსგავსი ცნობები გავრცელებული იყო პრესაში, მათი უარყოფა პრესაშივე უნდა გამოქვეყნდეს, თუ, რასაკვირველია, ისინი სინამდვილეს არ შეესაბამებიან.

საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლი ითვალისწინებს, რომ სასამართლოს უფლება აქვს, თუ მისი გადაწყვეტილება შესრულებული არ არის, დაადოს დამრღვევს ჯარიმა, მაგრამ ამ ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევს სასამართლოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულების ვალდებულებისაგან.

ასეთია პატივისა და ღირსების დაცვის რეალური გარანტიები, რომლებსაც საბჭოთა კანონმდებლობა სამოქალაქო სამართლის საშუალებით ანიჭებს

---

[3] „სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ისტორიიდან 1917-1921 წწ.“, დოკუმენტების კრებული, პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა, მოსკოვი, 1958 წ., გვ. 411.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეებს, გარდა სისხლის სამართლის იმ ნორმებისა, რომლებიც ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ.

აქ საჭიროა განვმარტოთ სხვაობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლისა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის, და საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლისა, რომელიც აწესებს პატივისა და ღირსების სახელისგამტეხი ცნობებისაგან დაცვის საშუალებებსა და მიზნებს.

სხვაობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ცილისწამებისათვის პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა, რომ ამ ქმედობაში დამნაშავე პირმა იცოდეს, რომ აშკარად ყალბია სახელგამტეხი ცნობები, რომლებიც მან გაავრცელა, იმ დროს როცა ეს პირობა სრულიადაც არ არის სავალდებულო საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლით პასუხისგებაში მისაცემად.

მეორე მნიშვნელოვანი სხვაობა ის არის, რომ ცილისწამების გამავრცელებელი ისჯება სისხლის სამართლის წესით, თუ არსებობს ბრალის გარკვეული ფორმა — დანაშაულის წინასწარი განზრახვით ჩადენა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის მე-7 მუხლით კი ღირსების დაცვისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, სახელგამტეხი ცნობები გავრცელებულია წინასწარ მოფიქრებული ქმედობით, თუ ეს მოხდა კეთილსინდისიერი გადაცდომით, ვინაიდან იმ პირისათვის, რომლის მიმართ გავრცელდა ეს ცნობები, მნიშვნელოვანია მათი უარყოფის ფაქტი და ამიტომ მას უფლება ენიჭება სასამართლოს წესით მოითხოვოს სახელგამტეხი ცნობების უარყოფა.

ამ უფლებით დაზარალებულს შეუძლია ისარგებლოს იმ შემთხვევაშიც, როცა არ არსებობს სახელგამტეხი ცნობების გამავრცელებელი პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძველი.

სამოქალაქო სამართლის წესით პატივისა და ღირსების დაცვა იძლევა დიდ შესაძლებლობებს, რაც თავის გამოხატულებას პოულობს შემდეგ გარანტიებში.

უკეთუ სისხლის სამართლის საქმის გარჩევისას არ დადასტურდა გავრცელებული სახელგამტეხი მონაჭორის აშკარა ყალბი ხასიათი და, საშასადამე, სასამართლომ გამოიტანა ბრალდებულის გამამართლებელი განაჩენი, დაზარალებულს მაინც აქვს უფლება წარადგინოს სარჩელი პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით და მოითხოვოს სახელგამტეხი ცნობების უარყოფა.

უფრო მეტიც. თუ ცილისწამებაში დამნაშავე პირს მსჯავრი დაედება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის თანახმად, ეს არ გამორიცხავს დაზარალებულის უფლებას, რომ თავისი რეპუტაციის რეაბილიტაციის მიზნით წარადგინოს სარჩელი სახელისა და ღირსების დაცვის შესახებ საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლითაც.

როგორც ვხედავთ, ჩვენი კანონმდებლობა შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მოქალაქეებს მიიღონ საჭირო შემთხვევებში ზომები თავიანთი პატივისა და ღირსების დასაცავად.

ვფიქრობთ, რომ თუ კანონმდებლობის ეს ნორმები ეცნობინებათ მშრომელთა ფართო მასებს და თუ სამართლის პროპაგანდა მათ გვერდს არ აუხვევს, მაშინ განცხადებები და საჩივრები პატივისა და ღირსების დამამცირებელი ცნობების გავრცელების შესახებ ზუსტი მისამართით გაიგზავნება და ბევრი დაწესებულება და ორგანიზაცია მშრომელთა მსგავს წერილებს აღარ მიიღებს. ფართო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა, ყველა მოქალაქის მიერ საბჭოთა კანონების ცოდნა და განუხრელი შესრულება პიროვნების პატივისა და ღირსების დანაშაულებრივი ხელყოფის უსწრაფესი ლიკვიდაციის საწინდარია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIII ყრილობისადმი ნათქვამია: „საბჭოთა კანონები, რომლებიც სოციალისტური მართლწესრიგის ცხოვრებით შემოწმებული ნორმების განსახიერებაა, გამოხატავენ ყველა მშრომელთა ნებას. ეს კანონები გამსჭვალულია ხალხისათვის ზრუნვით და საიმედოდ იცავენ ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებას, საბჭოთა მოქალაქეების ინტერესებსა და უფლებებს“[4].

კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების განხორციელება წარმოუდგენელია ისე, თუ არ ვაწარმოებთ გადამწყვეტ ბრძოლას იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ სხვადასხვა საზოგადოებრივად საშიში მოვლენები, კერძოდ პიროვნების პატივისა და ღირსების დამამცირებელი ცილისწამება, რომელიც არღვევს ზნეობრივი ურთიერთობის ჰარმონიულ ერთიანობას კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში.

სოციალისტური კანონიერების და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის მშრომელთა ფართო მასებში მართლშეგნების ჩამოყალიბებას სამართლის აქტიური პროპაგანდის გზით, რაც, უეჭველია, გავლენას მოახდენს აგრეთვე ცილისწამების — ადამიანთა პატივისა და ღირსების ხელყოფის ამ საშიში სახეობის — გამოვლინებათა რიცხვის შემცირებაზე.

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს სრული საფუძველი აქვთ, როცა მიიღებენ ცილისწამებლური ხასიათის წერილებს ან საჩივრებს ცილისწამების შესახებ, იმოქმედონ არსებული კანონმდებლობის სათანადო ნორმების შესაბამისად, ამასთან ხსენებულმა ორგანოებმა არ უნდა მიიღონ ასეთ საქმეებზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებანი, ვინაიდან ეს საბჭოთა კანონის გადახვევა იქნებოდა.

---

[4] სკკპ XXIII ყრილობის მასალები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966, გვ. 94-95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები

აკ. გოგბრონიძე,
მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

მუდმივი კომისიები თავიანთი მოქმედების სფეროში განასახიერებენ საბჭოებისა და მასების მჭიდრო კავშირს. ერთის მხრივ მუდმივ კომისიებში ერთიანდებიან დეპუტატები, ხოლო მეორეს მხრივ — აქტივი, რომელიც კომპეტენტურია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამა თუ იმ დარგში. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს წარმომადგენლობითი ხელისუფლების საზოგადოებრივთან შეერთებას. საკმარისია ვთქვათ, რომ მუდმივი კომისიების, ისე როგორც სესიების გადაწყვეტილებათა განხორციელება დეპუტატების და ამომრჩევლების გაერთიანებული ძალებით ხდება.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, როგორც წესი, პერიოდულად იკრიბებიან თავიანთ სესიებზე, ხოლო სესიიდან სესიამდე საბჭოების საქმიანობას განაგრძობენ მუდმივი კომისიები. საბჭოების ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა სწორედ მუდმივი კომისიების საქმიანობაში ვლინდება.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივმა კომისიებმა თავიანთი წარმოშობისა და განვითარების დიდი და ხანგრძლივი გზა განვლეს. მათი მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები სრულყოფილი ხდებოდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების განვითარებასთან ერთად; მათი წარმოქმნა თავიდანვე განპირობებული იყო ჩვენი საზოგადოების განვითარების აუცილებლობით.

წარმოიშვნენ რა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შესაბამისად, მუდმივმა კომისიებმა საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტების სისტემაში მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი, ისინი სულ უფრო და უფრო იქცევიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვის საქმეში მშრომელთა ჩაბმისა და აქტიური მონაწილეობის იმ მისაღებ ფორმად, რომელმაც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოქმედების სხვა ფორმებთან ერთად უნდა მიგვიყვანოს კომუნისტური თვითმმართველობის დამკვიდრებამდე.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როგორც ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოების წარმატებით მუშაობა ყოველთვის იყო განპირობებული მშრომელთა აქტიური მონაწილეობის აუცილებლობით. ამიტომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან თავიდანვე შეიქმნა სექციები, რომლებშიც დეპუტატებთან ერთად ერთიანდებოდნენ მშრომელი მოსახლეობის წარმომადგენლები.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიები მასობრივად შეიქმნენ და მოქმედებენ ახალი (1936 წლის) კონსტიტუციის მიღების შემდეგ. კერძოდ კი 1937 წლის ივლისში მეშვიდე მოწვევის ცენტრალურ-აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მშრომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სექციები შეეცვალათ მუდმივი კომისიებით და მათი არჩევა ეწარმოებინათ სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი დარგების მიხედვით. კომისიებს უფლება მიეცათ კონტროლი დაეწესებინათ განყოფილებათა მთელი საქმიანობისადმი[1]

საბჭოთა სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მუდმივი კომისიები სექციებთან შედარებით წარმოადგენენ წინ გადადგმულ ნაბიჯს. ისინი განსაკუთრებით ამაღლებენ წარმომადგენლობითს ინსტიტუტებს. ამიტომ შემთხვევითად არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ თუ სექციების შემადგენლობაში თანაბარი უფლებებით დაშვებული იყო არა დეპუტატების არჩევა, ამჟამად საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების ღებულებით მუდმივი კომისიების შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ დეპუტატები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ პრაქტიკით მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ემიჯნებოდნენ მოსახლეობას, პირიქით, ეს გამოხატავს წარმომადგენლობითი ინსტიტუტების უპირატეს როლს და კომისიების გარშემო აქტივისტების შემოერთებით ადასტურებს მათს განუყოფლობას მშრომელთა საზოგადოებრიობისაგან.

როგორც საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების დებულების პირველ მუხლშია ნათქვამი, „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ქმნიან მუდმივ კომისიებს, რომლებიც ითვლებიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოებად“.

მუდმივი კომისიები წარმოადგენენ საბჭოების შემადგენელ ორგანულ ნაწილს, რომელშიც გაერთიანებული არიან საბჭოს დეპუტატები და რომლებსაც საბჭო ანდობს აწარმოონ მუშაობა ადამიანთა მოღვაწეობისა და შემოქმედების განსაზღვრულ სფეროში. სხვანაირად მუდმივ კომისიებს საბჭოების მასობრივ ორგანოებს უწოდებენ, და ეს განსაზღვრა ზუსტად გამოხატავს მუდმივი კომისიების შინაარს, იმ თავისებურ ხასიათს, რომ მუდმივი კომისიები იქმნება ყველა რგოლის საბჭოებთან, მათში ერთიანდებიან დეპუტატები, მათს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის ფართო ფენები. ამ თვალსაზრისით, მუდმივი კომისიები წარმოადგენენ მოსახლეობასთან საბჭოების სისტემატური და მუდმივი კავშირის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან, როგორც წესი, მუდმივი კომისიების არჩევა აქამდის ხდებოდა საწარმოო-დარგობრივი პრინციპის მიხედვით, რაც იურიდიულ ლიტერატურაში შეფასებულია როგორც დადებითი ფაქტი და იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მეტი მჭიდრო და საქმიანი კავშირი იყოს აღმასრულებელი ორგანოების შესაბამის სამმართველოებთან და განყოფილებებთან. მაგრამ ცხოვრებამ შეავსო ეს პრაქტიკა, და უკანასკნელ წლებში შეიქმნა სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის (მახარაძის რაიონული საბჭო) და ახალგაზრდობის საქმეთა და სხვა მუდმივი კომისიები.

განასახიერებენ რა საბჭოების უმჭიდროვეს კავშირს მშრომელ მასებთან წარმომადგენლობითი ორგანოების საზოგადოებრივთან შერწყმის საუკეთესო ძაგალითს, მუდმივი კომისიები დიდ და მრავალმხრივ მუშაობას ეწევიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით

[1] იხ. გაზ. „იზვესტია“, 1937 წ. 10 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტისათვის. ამ მხრივ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობის მრავალი მაგალითი ყოველმხრივი ყურადღებისა და განზოგადების ღირსია. მაგალითად, მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ 1968 წლის 12 ივლისს მეთერთმეტე მოწვევის რაიონული საბჭოს მეცხრე სესიაზე განსახილველად შეიტანა ისეთი აქტუალური საკითხი, როგორიც არის „რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაგეგმვის ახალი წესის, ეკონომიური სტიმულირებისა და შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვის მიმდინარეობისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სესიისათვის ამ საკითხის მომზადების მიზნით კომისიამ გამოჰყო 15 ქვეკომისია, რომლებშიც დეპუტატებთან ერთად შედიოდნენ ეკონომისტები, აგრონომები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები. მასობრივ შემოწმებაში, რომელიც თითქმის 20 დღე გაგრძელდა, მონაწილეობდა 60-ზე მეტი კაცი, რის შედეგადაც კომისია საბჭოს სესიაზე წარსდგა კარგად მომზადებული, შინაარსიანი და კრიტიკული მოხსენებით, რომელშიც მთლიანად იყო მხილებული ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც მაშინ ჰქონდათ დაგეგმვის ახალი წესის, ეკონომიური სტიმულირებისა და შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვის საქმეში. მაგრამ რაც მთავარი და საყურადღებოა, კომისია სესიისათვის მარტო მოხსენების მომზადებას კი არ დასჯერდა, არამედ შეიმუშავა და სესიას წარუდგინა თავისი რეკომენდაციები და წინადადებანი, რომლებიც ძირითადად მოწონებულ იქნა და საფუძვლად დაედო საბჭოს სესიის მიერ ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ამის შემდეგ კომისიამ დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწია საბჭოს სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებისათვის.

აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებამ ხელი შეუწყო რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი მეურნეობის სამეურნეო-ეკონომიურ განმტკიცებას.

არსებითი ნიშანი საბჭოებისა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომელიც თავისთავში ორგანულად აერთიანებს ორ საწყისს-სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივს, ნათლად ვლინდება იმით, რომ მათი საქმიანობის დაგეგმვა ხდება უშუალოდ მშრომელების მიერ.

როგორც ცნობილია, წინასაარჩევნო კრებაზე ამომრჩევლები დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს აძლევენ განაწესებს, ხოლო შემდეგ დეპუტატებთან ყოველი შეხვედრის დროს აყენებენ წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს. თუ გადავხედავთ ამომრჩეველთა განაწესებს, მათს წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს, დავინახავთ, რომ ისინი ძირითადად ასახავენ იმ ამოცანებს, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე საბჭოების წინაშე დგას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სფეროში.

იმისათვის, რომ ამომრჩეველთა განაწესების განხორციელება საარჩევნო კამპანიიდანვე იყოს განმტკიცებული, იგი ამომრჩეველთა კრებებზე საარჩევნო ოლქების მიხედვით უნდა ქვეყნდებოდეს. პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ამომრჩეველთა მონაწილეობით შემუშავებული განაწე-

[1] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები. 4. 1969 წ. გვ. 240.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სების პროექტები განხილვისა და მიღების შემდეგ უნდა ეგზავნებოდეს მოცემული საბჭოს აღმასკომებს იმ დეპუტატებისათვის ამომრჩევლებთან გადასაცემად, რომლებიც არჩეულ იქნენ, ხოლო ამომრჩევლებთან დეპუტატების ყოველი შეხვედრის დროს უნდა ხდებოდეს ამ განაწესების სრულყოფა. სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოს პირველ სესიებზე, ხოლო რაიონული საბჭოს მეორე სესიებზე ყოველთვის უნდა განიხილებოდეს საკითხი ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა შესახებ, რაც მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაიონული, სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების მუშაობაში მტკიცედ არის დამკვიდრებული.

განაწესების განხორციელება წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში, საბჭოთა წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამომრჩეველთა განაწესების, წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების განხორციელება საბჭოების მოქმედების პროგრამას წარმოადგენს მთელი მოწვევის პერიოდისათვის, ამიტომ საჭიროა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მთელი მუშაობის დაგეგმვა ხდებოდეს ამომრჩეველთა განაწესების, წაყენებული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინების საფუძველზე. ამ მხრივ მუშაობის კარგი პრაქტიკა აქვთ მახარაძის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოსა და მის მუდმივ კომისიებს, რომლებიც მთელ თავიანთ მუშაობას გეგმავენ იმის გათვალისწინებით, რომ ამომრჩეველთა არც ერთი განაწესი, არც ერთი საქმიანი წინადადება და კრიტიკული შენიშვნა არ დარჩეს განხორციელებისა და რეაგირების გარეშე, თითოეული კომისია თვალყურს ადევნებს თავისი მოქმედების სფეროში შემავალი განაწესების შესრულების მდგომარეობასა და სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს მათი აუცილებელი განხორციელებისათვის. მაგალითად, მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მუდმივმა კომისიამ 1968 წლის 12 მარტს, მეთერთმეტე მოწვევის რაისაბჭოს მე-7 სესიაზე განსახილველად შეიტანა საკითხი „ამომრჩეველთა მიერ რაისაბჭოს დეპუტატებისადმი მიცემული განაწესების თაობაზე მეთერთმეტე მოწვევის რაიონული საბჭოს 1967 წლის 2 ივნისის მეორე სესიის გადწყვეტილების შესრულების მდგომარეობის შესახებ“. სესიაზე აღინიშნა, რომ მოწვევის პერიოდში ამომრჩეველთა მიერ რაიონული საბჭოს დეპუტატებისათვის მიცემული 180 განაწესიდან შესრულებულ იქნა 126. კომისიამ აღნიშნულ საკითხზე სესიის განსახილველად შეიტანა თავისი წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც რაისაბჭოს სესიამ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება, რის განხორციელებამ უზრუნველყო ამომრჩეველთა განაწესების აბსოლუტური უმრავლესობის განხორციელება საბჭოს მოწვევის პერიოდისათვის.

იმასთან ერთად, რომ მუდმივი კომისიები დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან ადგილობრივი საბჭოებისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებისა და სახელმძღვანელო დირექტივების განხორციელებისათვის, სულ უფრო მეტად გამოდიან ისინი საქმიანი წამოწყებების ინიციატორებად, კარგი საქმის ორგანიზატორებად. მაგალითად, ამჟამად ქ. მახარაძეში რაისაბჭოს ჯანმრთელობის მუდმივი კომისიის წინადადებით შენდება საავადმყოფოს ახალი კომპლექსი, რომელიც რაიონის მშრომელების ძვირფასი შენაძენი იქნება.

სოციალისტური სახელმწიფოების განვითარების თანმედროვე ეტაპზე მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარეობს საბჭოების, როგორც სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოების შემდგომი დემოკრატიზაცია, იზრდება მათი როლი კომუნისტური მშენებლობის ყველა სფეროში.

თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო იზრდება მუდმივი კომისიების, როგორც სახელმწიფოებრივი საქმიანობის ერთ-ერთი ქმედითი ფორმის როლი.

მუდმივი კომისიების როლის შემდგომი ამაღლება და მათი საქმიანობის გაძლიერება წარმოადგენს სოციალისტური დემოკრატიისა და საბჭოების მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას თანმედროვე ეტაპზე.

პრაქტიკულად ახორციელებს რა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, კომუნისტური პარტია დიდ და თანმიმდევრულ მუშაობას ეწევა საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მშრომელი მასების ფართო და აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის.

თავის 1967 წლის მარტის დადგენილებაში „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე დასახა ამოცანა — განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება საბჭოების მუშაობის შემდგომი აქტივიზაციისათვის. ამასთან ერთად, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღება მიაპყრო მუდმივი კომისიების, როგორც დეპუტატების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმის, მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობას.

როგორც სკკპ პროგრამაშია მითითებული, კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში განსორციელდება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მთელი რიგი სახელმწიფოებრივი ფუნქციების გადაცემა და შესაბამისად მოხდება საბჭოების იმ დაწესებულებების უფლებათა და რწმუნებათა გაფართოება, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებენ. რაც შეეხება საბჭოების მუდმივი კომისიების უფლებათა გაფართოების პერსპექტივას, ის ზუსტად არის განსაზღვრული. კერძოდ, ამის შესახებ სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს გადასაწყვეტად თანდათანობით უნდა გადაეცეს სულ უფრო მეტი საკითხი,რომლებიც აღმასრულებელი ორგანოების სამმართველოების და განყოფილებების კომპეტენციას შეადგენენ“.[2]

პარტიის პროგრამის ეს მითითება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მუდმივი კომისიები, რომლებიც ამჟამად საბჭოების დამხმარე საკონტროლო საათბირო ორგანოები არიან, კომუნისტური მშენებლობის პროცესში თანდათანობთ გადაიქცევიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილების პრაქტიკულ შემსრულებლებად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რადიკალურად შეიცვლება მუდმივი კომისიების საქმიანობის ფორმები. საბჭოების დამხმარე ორგანოებიდან ისინი თანდათანობით გარდაიქმნებიან ადგილობრივი საბჭოებისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ-

[2] სკკპ პროგრამა, 1967 წ., გვ. 117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად განხორციელებისათვის მებრძოლ მუშა ორგანოებად, მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება ორგანიზატორული მუშაობა.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით მუდმივი კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სავალდებულო იურიდიული ძალა არა აქვს. ისინი ასრულებენ მხოლოდ საკონტროლო ფუნქციებს, აღჭურვილი არ არიან ხელისუფლების რწმუნებებით და არ შეუძლიათ გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სფეროზე. მათს აქტებს სავალდებულო ხასიათი არა აქვს მმართველობის ორგანოების დარგებისათვის, აგრეთვე, მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიმართ.

საბჭოთა სახელმწიფოებრიობისათვის შემდგომი განვითარების ამოცანები და პერსპექტივები კი მოითხოვს, რომ საბჭოების მუდმივი კომისიების გადაწყვეტილებებს სავალდებულო იურიდიული ძალა ჰქონდეს, რისთვისაც საჭიროა მათი აღჭურვა მმართველობის ორგანოების ფუნქციებით, რის შედეგადაც გაიზრდება მათი უფლება-მოვალეობანი და მათს გადაწყვეტილებებს ექნება დამავალდებულებელი ხასიათი როგორც აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოებისადმი, ისე საბჭოებისადმი დაქვემდებარებული საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის. ეს კიდევ უფრო აამაღლებს მუდმივი კომისიების ავტორიტეტს და თუ ახლა ისინი მხოლოდ მრჩეველის როლში გამოდიან, მმართველობის ორგანოების უფლებებით აღჭურვის შემდეგ ნამდვილად იქცევიან კონტროლისა და მმართველობის ორგანოებად, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობაში მასების მონაწილეობისა და მათი აღზრდის სკოლად. სესიებს შორის დეპუტატებს მეტი შესაძლებლობა და უფლებები ექნებათ იმისათვის, რომ ეფექტურად შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი, ზემოქმედება და გავლენა მოახდინონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგების მდგომარეობაზე, მიაღწიონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას საწარმო-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საქმიანობაში და ა. შ.

ამ თვალსაზრისით, სავსებით გასაგებია პატრიის პროგრამის მოთხოვნა მუდმივი კომისიებისათვის აღმასრულებელი ორგანოების სამმართველოებისა და განყოფილებების ფუნქციების გადაცემის შესახებ. და, მართლაც, როგორც მოძმე რესპუბლიკების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, მუდმივი კომისიები აქტიურად ახდენენ ყველა რგოლის განყოფილებათა და სამმართველოთა ფუნქციების ათვისებას. ამ მხრივ საყურადღებოა გორკის ოლქის მუდმივი კომისიებისათვის საბჭოს აღმასრულებელი ორგანოების ზოგიერთი ფუნქციის გადაცემის გამოცდილება, ყურადღების ღირსია აგრეთვე მოსკოვის საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაობის გამოცდილება.[3]

ყოველივე ეს მიგვითითებს იმაზე, რომ საბჭოების მუდმივი კომისიების როლი და მნიშვნელობა განუხრელად იზრდება, რომ მათ ახლა უნარი შესწევთ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ მეურნეობისა და კულტურის განვითარების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

სანიმუშო დებულება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ, რომელიც 1968 წლის აპრილში გამოქვეყნდა, სახავს ზოგად

---

[3] იხ. შ. პაპიძე — საბჭოების როლის ამაღლება და მათი საქმიანობის საზოგადოებრივი საწყისების შემდგომი განვითარება თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, 1967 წ., გვ. 29—31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრინციპებს თანმედროვე ეტაპზე საბჭოების მრავალმხრივი ამოცანების შესახებ და განსაკუთრებით უსვამს ხაზს საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის საკითხს. უფრო მეტიც, სანიმუშო დებულების ერთ-ერთი თავი სპეციალურად არის მიძღვნილი მუდმივი კომისიებისადმი. მაგრამ მუდმივი კომისიების ამჟამად არსებული დებულება სრულყოფილად ვერ ასახავს იმ ცვლილებებს, რაც უკანასკნელ პერიოდში მუდმივმა კომისიებმა განიცადეს.

ჩვენის აზრით, დადგა დრო სახელმწიფოებრივი აქტის გამოცემისა, რომელიც დააკანონებს ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილებას მუდმივი კომისიებისათვის აღმასრულებელი ორგანოების, სამმართველოებისა და განყოფილებების ფუნქციების გადაცემის საკითხებში.

მუდმივი კომისიების უფლებათა გაფართოებასთან და მათთვის ახალი ფუნქციების გადაცემასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოიცეს მუდმივი კომისიების ახალი დებულება ახალი პირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

ამასთან ერთად, ვფიქრობთ, საკმარისი არ არის საბჭოს მუდმივი კომისიებისათვის რესპუბლიკაში ერთი საერთო დებულების არსებობა. უკეთესი იქნება დებულება შემუშავებულ იქნას ცალკე სოფლისა და დაბის, ქალაქისათვის, რაიონისათვის და ა. შ. ეს მეტ შესაძლებლობას მოგვცემს ავსახოთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა საბჭოების მუშაობის სპეციფიკა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დებულებაში არაფერია ნათქვამი რაისაბჭოსა და მისი აღმასკომის კომისიების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

როგორც ცნობილია მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან და მათს აღმასკომებთან მოქმედებენ სხვადასხვა სახის კომისიები. ზოგჯერ ამ კომისიათა მოქმედების სფერო მონათესავეა და ისინი მუშაობენ ერთ და იმავე საკითხებზე. მაგრამ მათ შორის არ არის მჭიდრო, საქმიანი კავშირურთიერთობა. ისინი მოქმედებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, რის გამო კომისიათა მუშაობაში ადგილი აქვს პარალელიზმსა და დუბლირებას. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მუდმივი კომისიის ახალ დებულებაში განისაზღვროს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუდმივი კომისიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

როცა მუდმივი კომისიების უფლებათა გაფართოებაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ აღმასრულებელი ორგანოების სამმართველოებთან და განყოფილებებთან შედარებით მუდმივი კომისიების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მოიცავენ უზარმაზარ უხელფასო აპარატს, რომელიც საბჭოებს აკავშირებს მთელ საზოგადოებასთან, რომ ეს აპარატი მასობრივია და მოქმედებს საზოგადოებრივ საწყისებზე. მაგრამ არ შეიძლება ბოდაჭარბებით შევაფასოთ საზოგადოებრივი საწყისის მნიშვნელობა და ხელოვნურად დავაჩქაროთ მისი განვითარება. არის შემთხვევები, როცა რეალური პირობების გაუთვალისწინებლად ზოგჯერ სახელმწიფო ფასიანი აპარატის ნაცვლად ქმნიან შტატგარეშე განყოფილებებს და სხვა ინსტიტუტებს, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებენ, მაგრამ რამდენადაც ასეთი ღონისძიებანი ხორციელდება ობიექტური პირობების გაუთვალისწინებლად, ისინი არ იძლევიან სასურველ შედეგებს. სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი განვითარებისათვის გარკვეული დონის შესაბამისი საჭირო წანამძღვარების შეუქმნელად სახელმწიფო ფასიანი აპარატის შეკვეცისა და საზოგადოებრივი საწყისების ხელოვნურად წინა პლანზე დაყენების პრაქტიკა, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ადგილი ჰქონდა 1959-1962 წლებში, დაგმობილ იქნა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკაში დაშვებული სერიოზული შეცდომების ლიკვიდაციისათვის. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ საზოგადოებრივი საწყისის განვითარებისათვის ზრუნვაზე და არ მივიღოთ ენერგიული ზომები მათი ყოველმხრივ ხელისშეწყობისა და განმტკიცებისათვის. მუდმივი კომისიების ფუნქციების გაფართოება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობაში გადაზრდის ერთიანი პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს. სკკპ პროგრამაში ზუსტად არის მითითებული, რომ სამმართველოებისა და განყოფილებების კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაცემა არაერთდროული, არამედ თანდათანობითი პროცესია.

მუდმივი კომისიების აღჭურვა იურიდიული აქტების მიღების უფლებით. ასახავს განვითარების იმ კანონზომიერ პროცესს, რომელიც ამჟამად საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარეობს, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში არსებითად ფართოვდება საზოგადოებრიობის დემოკრატიული საწყისები, რომლებიც საბოლოოდ უზრუნველყოფენ კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობის დამკვიდრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტები

გ. ბაკურაძე

საქართველოს სსრ სახალხო უნივერსიტეტის საბჭოს სწავლული მდივანი

ჩვენი პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა ადამიანების კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ამ ამოცანათა გადაწყვეტაში დიდ როლს ასრულებენ სახალხო უნივერსიტეტები.

სახალხო უნივერსიტეტების განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 8 ოქტომბრის დადგენილების „სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ მიღების შემდეგ. ამ დადგენილებით სახალხო უნივერსიტეტები მიჩნეულ იქნა მასებთან იდეოლოგიური მუშაობის, მარქსიზმ-ლენინიზმის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის პროპაგანდის, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გავრცელების, განათლების და კულტურის ამაღლების, მშრომელთა თავისუფალი დროის ეფექტური გამოყენების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ადმინისტრაციული ორგანოები, მათი მუშაკები კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ და მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება.

მისი პრაქტიკულად განხორციელების მიზნით სასამართლო-პროკურატურისა და შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ ორგანოებს, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებს 1969 წლის 18 ივნისს ერთობლივი წერილით მიმართეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. გორკინმა, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რ. რუდენკომ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. შელოკოვმა, საკავშირო საზოგადოება „ზნანიეს“ გამგეობის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ი. არტობოლევსკიმ.

საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივ ორგანიზაციებს და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს ანალოგიური წერილი ეგზავნებათ საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის, აკადემიკოს გ. ძოწენიძის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ვ. მაისურაძის, რესპუბლიკის პროკურორის ა. ტაკიძის და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ე. შევარდნაძის ხელმოწერით.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების ქსელი.

ამჟამად რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კულტურის დაწესებულებებსა, სკოლებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს 310-ზე მეტი სახალხო უნივერსიტეტი, მათ შორის 13 სამართალმცოდნეობისაა, 31 ათასზე მეტი მსმენელი ეუფლება ცოდნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების, მედიცინის, სახელმწიფოსა და სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობის და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

მოსახლეობის სამართლებრივი კულტურისა და სოციალისტური მართლშეგნების ამაღლებაში, შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვევების დამკვიდრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლის პროპაგანდა, რასაც წარმატებით ეწევიან სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტები.

სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტებში მსმენელები სწავლობენ: საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, სოციალისტური კანონმდებლობის ამოცანებს, სამოქალაქო, შრომის და საოჯახო სამართლის აქტუალურ პრობლემებს. უნივერსიტეტში სწავლობენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, სახალხო მსაჯულები, ამხანაგური სასამართლოების, სახლმმართველობათა ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აქტივისტები.

ნაყოფიერად მუშაობენ სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტები ქ. თბილისში. საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციის ინიციატივით ასეთი უნივერსიტეტები შექმნილია თბილისის ყველა რაიონში.

წლების მანძილზე ფრიად საინტერესო მუშაობას ეწეოდა სამართლისმცოდნეობის თბილისის საქალაქო უნივერსიტეტი (რექტორი პროფ. ბ. ფურცხვანიძე), რომელიც 3000-მდე მსმენელს აერთიანებდა. აქ სწავლობდნენ საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, სოციალისტური კანონმდებლობის საფუძვლებს.

საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ დედაქალაქის ამ უნივერსიტეტის ბაზაზე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და ყველა რაიონში დამოუკიდებელი სახალხო უნივერსიტეტები შექმნა.

კალინინის რაიონის სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტში გაერთიანებული არიან საწარმო-დაწესებულებათა ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები და წევრები, საზოგადოებრივი კონტროლიორები, სახლმმართველობის პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სახლებისა და ქუჩების კომიტეტების თავმჯდომარეები. უნივერსიტეტის საქმიანობას ნაყოფიერად წარმართავს მისი რექტორი, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე. მსმენელთა წინაშე ლექციებით გამოდიან რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, ეწყობა სპეციალური მეცადინეობები დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა გაცნობის მიზნით.

საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციისა და პარტიის კიროვის რაიონული კომიტეტის ინიციატივით 1967 წლის ნოემბერში ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ოპერატიულ პოლკთან შეიქმნა სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი ვ. ხმალაძე. უნივერსიტეტის პროორექტორად დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ზ. მესენგისერი.

სახალხო უნივერსიტეტში 300-მდე მსმენელი ჩაირიცხა. 1969 წლიდან ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტში გაერთიანდნენ ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს ცალკე ოპერატიული მოტომექანიზებული დივიზიონის მუშაკებიც. ამჟამად უნივერსიტეტში 400 მსმენელი სწავლობს. მათ ძირითად კონტინგენტს მილიციის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა შეადგენს.

სახალხო უნივერსიტეტებში მეცადინეობა რეგულარულად ეწყობა. მსმენელთა დასწრების ორგანიზაციას ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების დაცვის საუწყებო მილიციის პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტაღმზრდელობით დარგში ყ. ზირაქაშვილი.

ადმინისტრაციული ორგანოების ოპერატიულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება ფრიად სერიოზული საქმეა. სწორედ ამ მიზანს ისახავდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა და სახალხო უნივერსიტეტის დაარსების თაოსნები, როდესაც ასეთი საზოგადოებრივი სასწავლებლის შექმნა გადაწყვიტეს. აქ მეცადინეობის ჩასატარებლად იწვევენ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს და იურიდიული დარგის გამოცდილ პრაქტიკულ მუშაკებს.

ჩატარებული საქმიანობის ანალიზი მოწმობს, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობა მაღალ იდეურ-მეცნიერულ დონეზეა დაყენებული. მსმენელებმა მოისმინეს საინტერესო ლექციები: „ვ. ი. ლენინი სოციალისტური კანონიერების დაცვის შესახებ“ (ვ. ხმალაძე), „საბჭოთა ადამიანის მორალური სახე“ (პროფ. გ. ბანძელაძე), „ვ. ი. ლენინი კომუნისტური მორალის შესახებ“ (დოც. ი. მაჩაიძე), „საბჭოთა ჩეკისტის მორალური სახე“ (პოლკოვნიკი გ. ნადირაძე), „საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები“ (დოც. ა. ციციაშვილი) და სხვ. კარგად მოეწყო მეცადინეობანი თემებზე: „სასჯელის არსი და მიზანი“ (იურიდიულ მეცნერებათა კანდიდატი მ. ვეფხვაძე), „საბჭოთა შრომის კანონმდებლობა და სოციალური უზრუნველყოფა“ (საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი მ. თოფურიძე); „ნარკომანიის მავნებლობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯაია), „ბურჟუაზიული კულტურა დამნაშავეობის წყაროა“ (საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ზ. მესენგისერი), „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები“ (პროფ. ნ. ლომსაძე).

ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩეოდა გასულ სასწავლო წელს თბილისის ოქტომბრის რაიონის (რექტორი დოც. შ. ფაფიაშვილი) სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა. უნივერსიტეტის მსმენელთა წინაშე საინტერესო ლექციებით გამოდიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები. მსმენელებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საქართველოს სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ბ. კაციტაძის ლექცია თანამედროვე ეტაპზე რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ.

აფხაზეთის პროფსაბჭოს შრომის კანონმდებლობის ცოდნის უნივერსიტეტს მთელი მუშაობა აგებული აქვს ლექტორთა და მსმენელთა ინიციატივასა და აქტივობაზე. მსმენელთა დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის განვითარებისათვის ლექტორები ცდილობენ ჩაუნერგონ მათ წიგნზე მუშაობის ჩვევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაითვალისწინა რა უნივერსიტეტის მსმენელთა მოთხოვნილება, აფხაზეთის პროფსაბჭომ ცენტრალური გამომცემლობის საშუალებით შეიძინა სათანადო რაოდენობა საცნობარო და დამხმარე ლიტერატურისა, რითაც საშუალება მისცა მსმენელებს ესარგებლათ მათთვის საჭირო ლიტერატურით. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მსმენელთა დასახმარებლად შეიმუშავა და გამოსცა შრომის დაცვის ღონისძიებათა ტიპიური ნომენკლატურა.

უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებსა და მოხსენებებში, სემინარულ მეცადინეობებზე და საუბრებში ფართოდ არის გამოყენებული რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობის მაგალითები. უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად იწვევდნენ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების სპეციალისტებს, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს. ქალაქის მთელი რიგი სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციების მუშაობაში ცოტა როდი იყო შრომის დაცვისა და შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები, რომელთა შესახებ იმართებოდა ვრცელი საუბრები სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობაზე. მსმენელებს იქვე ეძლეოდათ კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ გადაწყვეტილიყო შრომის კანონმდებლობის ყველაზე მტკივნეული საკითხები. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების ანალიზმა და აფხაზპროფსაბჭოს მუშაობის პრაქტიკამ თვალსაჩინო გახადა, რომ შრომის დაცვის, ტექნიკური უშიშროებისა და შრომის კანონმდებლობის დარღვევის ხშირ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა იმიტომ, რომ წარმოებისა და ორგანიზაციის ბევრი ხელმძღვანელი და პროფკავშირული მუშაკი კარგად არ იცნობდა შრომის კანონმდებლობას.

10 წელია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სამართლისმცოდნეობის ქუთაისის საქალაქო სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი ქალაქის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ალ. ჟღენტი). სახალხო უნივერსიტეტის თემატიკა და სამუშაო გეგმა მრავალფეროვანია. იკითხება ლექციები: საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალურ საკითხებზე; სიახლეებზე ქორწინებისა და საოჯახო კანონმდებლობაში, ამხანაგური სასამართლოს ფუნქციებსა და შინაარსზე, მშრომელთა სამუშაოზე მიღება-დათხოვნის კანონმდებლობაზე და სხვ.

ლექციებს კითხულობენ სასამართლო-პოკურატურისა და მილიციის პასუხისმგებელი მუშაკები: ა. ჟღენტი, ბ. ჩეჩელაშვილი, შ. გვეტაძე, მოსამართლეები: ბ. სტურუა, შ. ჯაფარიძე, ბ. ცხელაშვილი, მილიციის სამმართველოს უფროსი კ. შავიშვილი, სამმართველოს უფროსის მოადგილე დ. კუხიანიძე და სხვ.

უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ეხმარება მსმენელებს პრაქტიკულ საქმიანობაში. უნივერსიტეტი კვალიფიკაციას უმაღლებს ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებს, სახალხო რაზმელებს, გარდა ლექციებისა ეწყობა სემინარული, პრაქტიკული მეცადინეობანი. ხშირად მსმენელები წინასწარ მოფიქრებულ, მათთვის საინტერესო საკითხებს აყენებენ ლექტორ-მასწავლებელთა წინაშე და იღებენ ამომწურავ პასუხს. მსმენელები ესწრებიან სასამართლო პროცესებს, ეცნობიან ამხანაგური სასამართლოების მუშაობის დადებით გამოცდილებას.

კარგად მუშაობს წყალტუბოს რაიონის სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც შექმნილია რაიონის პროკურატურასთან (რექტ. ჯ. ვაშაკიძე). უნივერსიტეტი მეოთხე წელია არსებობს. მსმენელები რეგულარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად იკრიბებიან თვეში ორჯერ და ორი-სამი საათის განმავლობაში ისმენენ ლექციებს.

ცნობა მეცადინეობის შესახებ, როგორც წესი, ყოველთვის ქვეყნდება რაიონულ პრესაში.

უნივერსიტეტში ლექციებით გამოდის 12 ლექტორი. ისინი შეადგენენ ლექტორ-მასწავლებელთა მუდმივ კონტინგენტს. დიდი ინტერესი გამოიწვია ლექციებმა თემებზე: „ვ. ი. ლენინი სოციალისტური კანონმდებლობის შესახებ“, „საზოგადოების როლი წინასწარი გამოძიების პროცესში“, „შრომითი კანონმდებლობის საკითხები“, „საზოგადოებრიობის როლი დამნაშავეობასთან ბრძოლაში“ და სხვ.

უნივერსიტეტის საქმიანობას უნარიანად წარმართავს სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია 9 კაცი. ისინი სისტემატურად იკრიბებიან თავიანთ სხდომებზე, გულდასმით განიხილავენ უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებს და აძლევენ ლექტორებს მეთოდურ მითითებებს.

სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის პრაქტიკა მოწმობს, რომ მოსახლეობის ფართო ფენებში იურიდიული ცოდნის პროპაგანდის ამ ფორმამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის განვითარებისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ადმინისტრაციულ დაწესებულებებს დიდი შესაძლებლობა აქვთ სახალხო უნივერსიტეტების ხალხმრავალ აუდიტორიებში ფართო პროპაგანდა გაუწიონ საბჭოთა კანონმდებლობას, მიიზიდონ აქ ჩვენი საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი აქტივი, რომელსაც დაეყრდნობიან საბჭოთა კანონების განხორციელებაში, მისცენ სისტემატური ცოდნა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილებისა და სამართლის შესახებ, აამაღლონ მუშაკთა კვალიფიკაცია, სრულყონ მათი ცოდნა, განაზოგადონ და ფართოდ გაავრცელონ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის დადებითი გამოცდილება.

საბჭოთა ადამიანების სამართლებრივი აღზრდა კომუნიზმის იდეოლოგიური მუშაობის განუყრელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულნი იქნებიან სოციალისტური კანონმდებლობის არა მარტო აქტიური პროპაგანდისტები, არამედ მტკიცე მებრძოლნიც საბჭოთა კანონების გატარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურატურის საერთო საზედამხედველო საქმიანობა ახალი ამოცანების ფონზე

ა. აბესაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

თანამედროვე პირობებში სამართალდარღვევებთან ბრძოლაში მთავარია დანაშაულის წარმომშობი მიზეზების დადგენა, მისი თავიდან აცილება და აღკვეთა. ამ ბრძოლის ავანგარდში უნდა იდგას პროკურატურა, რომელიც მოწოდებულია საერთო საზედამხედველო საქმიანობით განახორციელოს უმაღლესი მეთვალყურეობა იმაზე, თუ როგორ იცავენ კანონებს სამინისტროები, უწყებები და მათდამი დაქვემდებარებული საწარმო-დაწესებულებები, თანამდებობის პირები. ეს არის პროკურატურის ძირითადი კონსტიტუციური მოვალეობა და მის უნარიან გამოყენებაზე ბევრად არის დამოკიდებული სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მოპოვება.

პროკურატურა ცენტრალიზებული სახელმწიფო ორგანოა, რომლის აგებისა და საქმიანობის ლენინური პრინციპები, მათი დამოუკიდებლობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან, გამორიცხავს მათ ე. წ. „ორმაგ დაქვემდებარებას". „ყოველგვარი ადმინისტრაციული ხელისუფლებისაგან განსხვავებით, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — საპროკურორო ზედამხედველობას არავითარი ადმინისტრაციული ძალაუფლება არა აქვს და არც ერთ ადმინისტრაციულ საკითხში არავითარი გადამწყვეტი ხმით არ სარგებლობს".[1] მას ევალება მხოლოდ კანონების ერთნაირად შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება, რათა არც ერთი ადგილობრივი ხელისუფლების არც ერთი გადაწყვეტილება არ უხვევდეს კანონს.

დამნაშავეობასთან ბრძოლის ამოცანები ჩვენი საზოგადოების თანამედროვე ეტაპზე პროკურატურის მუშაკებისაგან მოითხოვს მეტ ინიციატივას, მათი საქმიანობის ყველა ფორმისა და საშუალების ოპტიმალურ გამოყენებას, სოციალისტური კანონიერების დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში მშრომელთა ფართო ფენების ჩაბმას. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმმა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ორგანოებისაგან გადაჭრით მოითხოვა მექრთამეობის, სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-გატაცებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლაში ყოველი კომუნისტის მიერ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის მკაცრად დაცვა, ამ საქმეში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება. ამოცანები, რაც აღნიშნულ პლენუმზე ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებაშია განსაზღვრული, პროკურატურის ორგანოებისაგან მოითხოვს საერთო საზედამხედველო საქმიანობის გააქტიურებას, პროკურატურის საქმიანობის ამ უბნისადმი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ მეტი ყურადღების მიქცევას.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 429.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით პროკურატურა საერთო ზედამხედველობის ხაზით გარკვეულ მუშაობას ეწევა სოციალისტური საკუთრების განუხრელად დაცვის, სახელმწიფოს მოტყუებისა და თვალის აბვევის, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისა, მინაწერებისა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ. სახელმწიფო მმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანოების სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებასთან ერთად, გარკვეული მუშაობაა ჩატარებული შრომის კანონმდებლობის დაცვის, მშრომელთა საჩივრების და განცხადებების განხილვისა და სხვა საკითხებზე. ცალკეული პროკურატურის ორგანოები გამოვლენილ დარღვევების შესახებ დროულად აცნობებენ პარტიულ ორგანოებს, შეაქვთ წარდგინებები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მარტო 1968 წელს რესპუბლიკაში საერთო საზედამხედველო საქმიანობის ხაზით სამინისტროებსა და სხვა შესაბამის უწყებებში და დაწესებულებებში პროკურატურის მიერ შეტანილ იქნა 369 პროტესტი და 613 წარდგინება, რამაც გარკვეული როლი შეასრულა სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში.

მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საერთო ზედამხედველობის ხაზით კანონიერების დარღვევის გამოვლენისა და აღმოჩენილ დარღვევებზე რეაგირების ფორმები მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმ დიდ მოთხოვნებს, რასაც პარტია უყენებს პროკურატურის ორგანოებს.

როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმზე იყო აღნიშნული, ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში რამდენადმე გაძლიერდა ბრძოლა სახალხო დოვლათის გამტაცებლების, მექრთამეებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ. მაგრამ ის, რაც გაკეთდა, სულაც არ კმარა. ამ დარგში ჯერ მეტად არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. ეს ხდება იმიტომ, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ამ ბრძოლას კიდევ არ ანიჭებს სათანადო მნიშვნელობას, ხოლო ზოგგან კომუნისტებმა დაკარგეს პასუხისმგებლობის გრძნობა და, როგორც ჩანს, დაივიწყეს თავიანთი ავანგარდული როლი.

სუსტი კონტროლის შედეგად ზოგიერთ იმ სამინისტროსა და უწყების მუშაობაში, რომლებიც განაგებენ ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების, საქალაქო ტრანსპორტის, საზოგადოებრივი კვების საკითხებს გვაქვს არა „ცალკეული“, როგორც ჩვენში ჩვეულებრივ ამბობენ, არამედ უაღრესად სერიოზული ნაკლოვანებანი. რესპუბლიკის რიგ საწარმოებში, სამეურნეო ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში კვლავინდებურად ცუდად არის დაცული სახალხო დოვლათი. სუსტად მუშაობს მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საკონტროლო-სარევიზიო აპარატი. ზოგიერთი ორგანოს ხელმძღვანელი საკმარისად არ ეწევა მუშაობას იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უწყობენ სახალხო დოვლათის გატაცებას. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის საკითხები ჯერ კიდევ არ დგას მათი ყურადღების ცენტრში. შეინიშნება, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ იჩენს საჭირო პოლიტიკურ სიფხიზლეს სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებისა და გაფლანგვის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ საქმეს ხელს კიდებს შემთხვევიდან შემთხვევამდე. ჯეროვანი ყურადღება არ ეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობა აგრეთვე მატერიალურ ფასეულობასთან დაკავშირებულ კადრების შერჩევასა და აღზრდას. ზოგჯერ შემრიგებლურად ეკიდებიან და ყურს იყრუებენ იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც მატერიალურ პასუხსაგებ, მომარაგება-გასაღებისა და სარევიზიო სამუშაოზე ნიშნავენ პირებს, რომლებიც წინათ სამართალში იყვნენ მიცემულნი ანგარებითი დანაშაულისათვის.

სამართალდარღვევების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა დღეისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ყველა სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის. პარტია მოგვიწოდებს, რომ დამნაშავენი დაისაჯონ საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით. ეს მოთხოვნა ბევრს ავალებს პროკურატურის, სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს.

სამწუხაროდ, პროკურატურის ორგანოები საერთო საზედამხედველო საქმიანობის ხაზით ჯერ კიდევ საკმაოდ აქტიურად არ იბრძვიან სოციალისტური საკუთრების გამტაცებელთა და ხელმყოფთა წინააღმდეგ. არ არის უზრუნველყოფილი აგრეთვე სახელმწიფოს მოტყუების, თვალის ახვევის, მინაწერებისა და სხვა მსგავსი დანაშაულების გამომზეურება და დამნაშავე პირების მიმართ კანონით გათვალისწინებული ეფექტური საშუალებების გამოყენება. ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების მნიშვნელოვან სამეურნეო და სამრეწველო ობიექტები რჩება შესაბამისი ყურადღების გარეშე იმიტომ, რომ ასეთი შემოწმებები არ იგეგმება სტატისტიკური მასალის ანალიზის გათვალისწინებით. ამის შედეგად ღამნაშავენი ახერხებენ ხანგრძლივი დროით ფლანგონ სახალხო ქონება. არის შემთხვევები, როცა ცალკეული პროკურორები დროულად არ ამოწმებენ შემოსულ წერილებსა და განცხადებებს ამა თუ იმ უწყებაში გაფლანგვა-გატაცებებისა და სხვა დარღვევათა შესახებ, უყურადღებოდ ტოვებენ პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალებს. საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ მოქმედი დებულებით კი ყველა პროკურორს ეკისრება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაატაროს კანონის შესრულების შემოწმება ყველა იმ განცხადების, საჩივრისა და სხვა შეტყობინებათა საფუძველზე, რომლებიც კანონის დარღვევას ეხებიან.

სოციალისტური საკუთრების განუხრელად დაცვა ყველა პროკურორს ავალებს კარგად იცნობდეს მოქმედ კანონმდებლობას, თვალყურს ადევნებდეს იმ გარემოებას, რომ წარმოებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ქვემდებარე პირის საქმიანობაში დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლინებისას მასალები 5 დღის ვადაში გადასცენ საგამოძიებო ორგანოებს. არ უნდა მოხდეს ისეთი სამართალდამრღვევი პირების თავდებში გადაცემა, რომლებიც ადრე უკვე გასამართლებულნი იყვნენ განზრახი დანაშაულისათვის ან გადაცემულნი იყვნენ თავდებში. თავდებში არ შეიძლება აგრეთვე იმ პირების გადაცემა, რომლებიც არ ცნობენ თავს ბრალეულად ან მოითხოვენ საქმის სასამართლოში განხილვას.

სოციალისტური საკუთრების განუხრელად დაცვის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე კადრების სწორად შერჩევასა და გამოყენებას. ამ უბანზე კადრების შერჩევის კანონიერებაზე მეთვალყურეობა პროკურატურის ორგანოების საერთო საზედამხედველო საქმიანობის ერთ-ერთი მოვალეობაა. თუ პროკურორს გააჩნია მონაცემები, რომ კონკრეტული თანამდებობის პირი არ იმსახურებს ნდობას, იგი მოვალეა გაიცნოს ამ უბანზე კადრების შერჩევის მდგომარეობა. კანონი კრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავს მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე ისეთი პირების დაშვებას, რომლებიც ადრე გასამართლებულნი იყვნენ გაფლანგვა-გატაცების, მექრთამეობისა და სხვა ანგარებითი დანაშაულის ჩადენისათვის და რომლებსაც კანონის საფუძველზე არ მოხსნიათ ნასამართლობა. მატერიალურ პასუხსაგებ თანამდებობაზე არ დაიშვებიან აგრეთვე ის პირები, რომლებიც სამსახურში მოწყობისას არ წარადგენენ შრომის წიგნაკს ან სხვა დოკუმენტს, რომლითაც დგინდება მათი შრომითი საქმიანობა. ადმინისტრაციას უფლება აქვს, ხოლო რიგ შემთხვევებში მოვალეც არის უარი უთხრას ნდობაზე ისეთ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, რომელსაც რამდენჯერმე აღმოაჩნდა დანაკლისი (დაფარვის მიუხედავად) და გაითვალისწინოს ეს გარემოება როგორც მისი სამსახურში მიღების, ისე სამსახურში დატოვების მიზანშეწონილობის გარკვევის დროს.

საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზედამხედველობის განხორციელებას მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიების საქმიანობაზე. პროკურორებს ევალებათ აგრეთვე ზედამხედველობის განხორციელება შრომითი დავების განმხილველი კომისიების აქტების კანონიერებაზე, იმ პირთა შრომითი მოწყობის წესების დაცვაზე, რომლებიც გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდის ადგილებიდან და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამინისტროების, უწყებებისა და მათი ქვემდებარე წარმოება-დაწესებულებების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტების კანონიერების შემოწმებას. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. პროკურატურის საერთო საზედამხედველო საქმიანობა არ მოიცავს ყველა სახის კანონქვემდებარე აქტების შესწავლას. კანონში სპეციალურად არის მითითებული, რომ აღნიშნულ ზედამხედველობას არ ექვემბარება ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის აქტების კანონიერების შემოწმება, როგორიც არის დაწესებულებებს შორის დადებული ხელშეკრულებანი, მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანოს შორის დადებული სამოქალაქო ხელშეკრულება და ა. შ.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოციალისტური საკუთრების უზრუნველყოფის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის, საკოლმეურნეო დემოკრატიის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და დებულებით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულებასთან ერთად, აუცილებელია სისტემატური კონტროლი მილიციის ორგანოების ადმინისტრაციულ საქმიანობაზე. მილიციის ორგანოების მუშაობის სახელმწიფო-ხელისუფლებრივი ხასიათი განაპირობებს მათ ხშირ კონტაქტს მოქალაქეებთან. ამიტომ ისეთი საკითხები, როგორიც არის მილიციის ორგანოს მუშაკის მიერ გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელების კანონიერება, საპასპორტო სისტემის დაცვა, ზედამხედველობა იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლაზე, რომლებიც ეწევიან ლოთობას, მაწანწალობასა და სხვა, პროკურატურის საერთო საზედამხედველო საქმიანობის მიღმაა დარჩენილი. პროკურორები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ აგრეთვე იმ თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენენ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი.

დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა ენიჭება საერთო საზედამხედველო საქმიანობის სამართლებრივ აქტებს — პროტესტსა და წარდგინებას. საპროკურორო ზედამხედველობის დებულებით სამინისტროს ან სხვა უწყებაში შეტანილი პროკურორის პროტესტი განხილული უნდა იქნეს 10 დღის, ხოლო წარდგინება არა უმეტეს ერთი თვის ვადაში. პროტესტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს პროკურორს. პროტესტის შეჩერების ან მის განხილვაზე უსაფუძვლოდ უარის შემთხვევაში, პროკურორს შეაქვს წარდგინება ზემდგომ პროკურორთან და აცნობს მას ყველა იმ მასალას, რის საფუძველზეც არის გამოტანილი პროტესტი. ეს უკანასკნელი თუ საფუძვლიანად მიიჩნევს პროტესტს, წარადგენს მას განსახილველად სახელმწიფოს ზემდგომ ორგანოში.

პროტესტისაგან განსხვავებით, წადგინება წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოსადმი, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პროკურორის ოფიციალურ შეტყობინებას, რომელიც მიუთითებს კანონიერების დარღვევებზე და აყენებს საკითხს ამ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ. სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან არა უგვიანეს ერთი თვისა, განიხილონ პროკურორის წარდგინება და მიიღონ აუცილებელი ღონისძიებანი კანონის დარღვევათა და ყველა იმ მიზეზების აღსაკვეთად, რომლებიც ამ დარღვევებს წარმოშობენ.

სამწუხაროდ ჩვენი პროკურატურის ორგანოები ხშირად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პროტესტისა და წარდგინების იურიდიული რეკვიზიტების დაცვას. პროკურორები კმაყოფილდებიან მარტოოდენ პროტესტებისა და წარდგინებების შეტანით და აღარ ამოწმებენ ამ აქტების განხილვის შედეგებს, თავს არიდებენ მათ განხილვას წარმოება-დაწესებულებების საერთო კრებებზე და კმაყოფილდებიან მარტოოდენ უწყებათა ხელმძღვანელების შეტყობინებით.

ზოგიერთ პროტესტსა და წარდგინებას აკლია იურიდიული დასაბუთებულობა; არაა გადაწყვეტილი დამნაშავე პირების სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ და მატერიალურ პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი, რითაც მცირდება ამ აქტების ქმედითობა.

საერთო საზედამხედველო საქმიანობის ხაზით აღძრული სისხლის სამართლის საქმეების უმნიშვნელო რაოდენობა იმის ერთ-ერთი მაჩვენებელია, რომ საპროკურორო საქმიანობის ეს უბანი ჯერ კიდევ ვერ პასუხობს ამ დიდ ამოცანებს, რაც დღეს ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოების წინაშეა დასახული. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ 1968—1969 წ. წ. რესპუბლიკის პროკურატურამ საერთო საზედამხედველო საქმიანობის ხაზით აღძრა მხოლოდ 8 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა გამოძიება უსაფუძვლოდ ჭიანურდება. ქ.თბილისის რაიონების პროკურორების ხაზით 1969 წ. პირველ ნახევარში ამ ხაზით აღძრული არ ყოფილა არც ერთი სისხლის სამართლის საქმე. იგივე შეიძლება ითქვას რესპუბლიკის რიგი რაიონების პროკურატურებზეც, სადაც უკანასკნელ ხანს გამოვლინდა სერიოზული დარღვევები და დამახინჯებანი.

გაუმჯობესებას და დახვეწას მოითხოვს აგრეთვე პროკურორების რეაგირება და ოპერატიულობა იმ ობიექტების შემოწმებისას, რომელთა შესახებაც შემოსულია სიგნალები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამინისტროებისა და უწყებების ისეთი მასალების შესწავლას, რომლებიც ეხებიან სისტემის შიგნით სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-გატაცების ფაქტებს, დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც შეწყდა ან არ აღიძრა სისხლის სამართლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე. ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გადამოწმებული და შესწავლილი იქნეს აგრეთვე საუწყებო რევიზიის მასალები. დეკემბრის პლენუმზე ხაზგასმით იყო აღნიშნული ის ფაქტი, რომ დამნაშავე ელემენტების ნებაზე მიშვებას ხელს უწყობს მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საკონტროლო-სარევიზიო აპარატების ცუდი მუშაობა. მაგალითად, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის № 4 ხე-ტყის დამმუშავებელ კომბინატში ექვსი წლის მანძილზე მოეწყო 20-მდე საფინანსო შემოწმება და რევიზია, მაგრამ რაიმე ბოროტმოქმედება არ აღმოუჩენიათ, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოების ჩარევის შემდეგ გამოირკვა, რომ მიტაცებული იყო საკმაოდ დიდი თანხა. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მანავის ღვინის ქარხანასა და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში. გამომდინარე აქედან კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს პროკურორების ზედამხედველობა საკონტროლო-სარევიზიო კადრების შერჩევასა და გამოყენებაზე. გაიზარდოს მომთხოვნელობა იმ პირებისა, რომლებიც არღვევენ კანონის მოთხოვნებს.

პროკურატურის ორგანოების საერთო საზედამხედველო საქმიანობის ეფექტურობა უფრო ამაღლდება, თუ ამ საქმიანობაში ფართოდ იქნება ჩაბმული საზოგადოებრიობა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ მუშაობა სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება, რომლის გამოსწორება დღეისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პროკურატურის ორგანოების მუშაკებისათვის. სერიოზულ მოფიქრებას და გადაწყვეტას მოითხოვს პროკურატურის ორგანოების საერთო ზედამხედველობითი საქმიანობის კოორდინაცია სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებთან. უფრო მეტი კონტაქტის დამყარებაა საჭირო აგრეთვე სახალხო კონტროლის ორგანოებთან. ამ მხრივ მიზანშეწონილია განხორციელდეს ერთობლივი ეფექტური ღონისძიებანი სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად და სოციალისტური საკუთრების გამტაცებელთა წინააღმდეგ. დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში წარმატებების მოპოვება შეუძლებელია აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების — პროფკავშირის, კომკავშირის და სხვების დახმარების გარეშე, რომელთანაც კავშირის უქონლობა გავლენას ახდენს პროკურატურის საზედამხედველო საქმიანობაზე.

პროკურატურის საერთო საზედამხედველო მუშაობის გაუმჯობესება რესპუბლიკის პროკურატურისაგან მოითხოვს აგრეთვე ქვემდგომი პროკურორების პროტესტებისა და წარდგინებების განზოგადოებასა და გაანალიზებას, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებისა და აღმასკომის სხდომებზე პროკურორების აქტიურ მონაწილეობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივი აქტების გაპროტესტებას. ამ გარემოებაზე იმიტომ მივუთითებთ, რომ ზოგიერთი პროკურორების საქმიანობაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა აქტების კანონიერების შემოწმება არა დგას სათანადო სიმაღლეზე. მაგალითად, გორის რაიონის პროკურატურამ 1969 წლის ათი თვის განმავლობაში არცერთხელ არ შეამოწმა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული აქტების კანონიერება და არ მოახდინა ამ მხრივ სათანადო რეაგირება. მსგავს დარღვევებს ვხვდებით სხვა რაიონების პროკურორების საქმიანობაშიც.

ნაკლოვანებანი, რასაც პროკურატურის საერთო საზედამხედველო საქმიანობაში ვხვდებით, იმაზე მიუთითებს, რომ საქმიანობის ამ სფეროს დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადღება. ამის გამომხატველია ერთ-ერთი ის გარემოებაც, რომ პროკურატურის ორგანოების პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე იშვიათად იხილება საკითხები საერთო საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, არადამაკმაყოფილებელი ყურადღება ექცევა ამ დარგში მომუშავე კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას.

პროკურატურის ორგანოების საერთო საზედამხედველო ხაზით მუშაობის დღევანდელი დონე მოითხოვს აღნიშნული საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების კიდევ უფრო სრულყოფას, ამ საქმეში პროკურორების უსაფუძვლო ინერტულობისა და ცალმხრივობის დაძლევას. დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში წარმატებების მოპოვებისათვის პარტიულ-საბჭოთა აქტივიდან საერთო ზედამხედველობით საქმიანობაში უფრო ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული კვალიფიციური და ენერგიული მუშაკები.

პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ამ უბანზე წარმატებების მოპოვება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების მიერ უნარიან ხელმძღვანელობის განხორციელებაზე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს ამ ხაზით მომუშავე პროკურორებისადმი დახმარების გაძლიერება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება. საერთო ზედამხედველობით საქმიანობაში მომუშავე კადრების შერჩევის საკითხი და საერთოდ პროკურორების საქმიანობის ეს უბანი რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს სისტემატურ ყურადღებასა და დახმარებას.

მექრთამეობის, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-გატაცებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლაში პარტიული ორგანოების როლის გაძლიერება დღის წესრიგში აყენებს პროკურატურის საერთო საზედამხედველო საქმიანობისადმი ყურადღების გამახვილებასაც. დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში სხვა ღონისძიებებთან ერთად პარტიული კომიტეტების ბიუროებზე, პლენუმებზე, თათბირებსა და პარტიული აქტივის კრებებზე უნდა იხილებოდეს პროკურატურის საერთო საზედამხედველო საქმიანობის საკითხები. პარტიულმა ორგანოებმა პროკურატურის ამ საქმიანობის მიმართ უნდა გამოიჩინონ მეტი მომთხოვნელობა, იცნობდნენ პროკურორების მუშაობის გეგმებს, ისმენდნენ მათ ანგარიშებს საერთო საზედამხედველო ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ, თვალყურს ადევნებდნენ წარმოება-დაწესებულებებში შეტანილი პროტესტებისა და წარდგინებების ეფექტურობას. პარტიული ორგანოების მიერ ასეთი ხელმძღვანელობის განხორციელება იმის გარანტია იქნება, რომ პროკურატურის ორგანოების საერთო საზედამხედველო საქმიანობა ეფექტური საშუალება გახდება დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ მხარეთა კამათის კულტურის შესახებ

სასამართლო პროცესზე მხარეთა კამათის კულტურის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ეს თემა თავისი შინაარსით იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მოითხოვს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას.

სასამართლო პროცესს ბევრი დამსწრე ჰყავს. მათ უმრავლესობას სასამართლოსთან უშუალოდ არავითარი საქმიანობა არ აკავშირებს. ისინი მხოლოდ თვალს ადევნებენ, როგორ ახორციელებს სასამართლო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლას.

ყველა იმ პირს, ვინც სასამართლო პროცესს ესწრება, არ მოეთხოვება ღრმა ანალიზი გაუკეთოს სამართალში მიცემულის ბრალდებისა თუ სასჯელის ღონისძიების შეფარდების საფუძვლიანობას ან სამოქალაქო საქმეზე დავის გადაწყვეტის სისწორეს, მაგრამ სამაგიეროდ მათ შესაძლებლობა აქვთ გარკვეული წარმოდგენა იქონიონ, როგორც პროცესის ჩატარების საერთო დონეზე, აგრეთვე იმ ადამიანების ცოდნასა და კულტურაზე, რომლებიც საბჭოთა მართლმსაჯულებას ემსახურებიან.

ამ წერილში შესაძლებლობა არა გვაქვს შევეხოთ მხარეთა კამათის კულტურის ყველა მხარეს, გვინდა მხოლოდ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება კამათის დროს ზომიერებისა და ტაქტის დაცვის საკითხებზე.

მხარეთა კამათის დროს სასამართლო ტრიბუნიდან ნათქვამი სიტყვა ეფექტურ გავლენას მსმენელებზე მხოლოდ მაშინ ახდენს, როდესაც ის საქმის მასალების საფუძვლიან ანალიზსა და ობიექტურ დასკვნაზეა აგებული და როდესაც ორატორი არ უშვებს რაიმე შეუფერებელ და უტაქტო გამოთქმებს.

ჩვენს სინამდვილეში ბევრნი არიან ისეთი კვალიფიციური და ნიჭიერი სასამართლო ორატორები, რომელთა სიტყვა თავისი შინაარსისა და ფორმების მიხედვით სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მსმენელზე.

მაგრამ სამწუხაროდ არც ის არის დასამალი, რომ ჯერ კიდევ ვხვდებით სქემატურ და მაღალფარდოვანი ფრაზებით შეფერადებულ სიტყვებს. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ორატორი, მათ შორის, როგორც ადვოკატი, ისე პროკურორი, — ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას თუ როგორ გამოხმაურებას იწვევს მისი სიტყვა სასამართლოში. როდესაც ის სცილდება ზომიერების საზღვარს და თავის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს უხეშად იხსენიებს. ამასთან არ ითვალისწინებს, რომ მისი სიტყვების მოსმენის შედეგად მიღებული შთაბეჭდილება მსჯელობის საგნად ხდება სასამართლოს გარეთაც.

ასეთი არაჯანსაღი გამოვლინება შეიძლება სხვადასხვა გარემოებით აიხსნას: როდესაც სასამართლო ტრიბუნაზე ასული ორატორი საფუძვლიანად არ იცნობს საქმის მასალებს და უჭირს ამა თუ იმ იურიდიული ფაქტის უარყოფა ან დადასტურება, იძულებულია ეძებოს ზერელე და არადამაჯერებელი არგუმენტები. ამასთან ცდილობს ეს ხარვეზი მყვირალა ფრაზებითა და გამომწვევი, უტაქტო მოქმედებით შეავსოს.

ან კიდევ შესაძლოა ორატორს სურდეს რომელიმე პიროვნებაში დაიმსახუროს ერთგვარი იაფფასიანი „ავტორიტეტი“.

ზოგჯერ დაცვის სიტყვაში ადვოკატი გაზვიადებულად წარმოადგენს წინასწარ გამოძიების დროს დაშვებულ ცალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეულ ნაკლოვანებებსა და საამისო საფუძვლის არსებობის გარეშე ცდილობს თავდაყირა დააყენოს საქმის მასალები, რისთვისაც მიმართავს დაცვის მიუღებელ ხერხებს და გამომძიებლისა და სახელმწიფო ბრალმდებლის მიმართ არ ერიდება უხეშ გამოთქმებს.

მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინათ ადვოკატი გ. იცავდა სამართალში მიცემულის ინტერესებს, რომელსაც ბრალად ედებოდა მკვლელობაში თანამონაწილეობა.

როგორც ეტყობოდა ადვოკატი ამ პროცესისათვის „საგანგებოდ იყო მომზადებული", მაგრამ ვაი ასეთ მომზადებას! შეუძლებელი იყო მისი აზრების გაგება. ჯერ იყო და თავის სიტყვის შესავალ ნაწილში ყოველგვარ საჭიროების გარეშე სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელი შეაქო, მაგრამ მოაგონდა რა სასჯელის შეფარდების ნაწილში მისი მოთხოვნა, აშკარა აღელვება დაეტყო და ყველაფერი ერთმანეთში აურია. პროკურორთან ერთად გამომძიებელსაც საყვედურობდა, თავშეუკავებლად იქცეოდა, წონასწორობიდან გამოდიოდა და ხშირად ფანჯარი და ქაღალდის ფურცლები ხელიდან უვარდებოდა.

წარმოსადგენია ასეთი სიტყვის მოსმენის შემდეგ იქ დამსწრე ხალხი როგორი კმაყოფილი დატოვებდა დარბაზს!

ადვოკატები თავიანთ დაცვით სიტყვას მხოლოდ საქმის მასალებზე უნდა აგებდნენ, ხოლო თუ პროცესზე ადვოკატი შეამჩნევს გამომძიებლისა და პროკურორის არასწორ მოქმედებას, ამ შემთხვევაში მათ უკანონო მოქმედებაზე უნდა მიუთითონ და უხეშობა არ გამოიჩინონ.

ჩვენი მუშაობის პრაქტიკიდან შეიძლება უამრავი მაგალითების მოტანა, როდესაც ადვოკატების თანმიმდევრული და პრინციპული საქმიანობით რეაბილიტირებული იქნენ ცალკეული მოქალაქეები, რომლებსაც არასწორად ედებოდათ ბრალი დანაშაულის ჩადენაში და მოეხსნათ წინასწარი გამოძიების მიერ უსწოროდ წარდგენილი ბრალდება.

ვხვდებით ისეთ ფაქტსაც, როცა სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელი უსწორო რეპლიკის მიცემით ხელს უშლის **ადვოკატს დაცვითი სიტყვის** წარმოთქმაში ან კიდევ სასამართლოს ნებართვის გარეშე აწყვეტინებს სიტყვას და უშუალოდ შენიშვნას აძლევს, ზოგჯერ ემუქრება კიდეც და ა. შ.

პროცესზე მხარეთა კამათის კულტურის სანიმუშოდ დაცვის უზრუნველყოფა მოსამართლეზეც დიდად არის დამოკიდებული.

სიტყვის კულტურა თავის მნიშვნელობას მაშინ კარგავს, როდესაც მოსამართლე მას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. რამდენად დასაშვებია თუნდ ისეთი ფაქტიც, როდესაც მოსამართლე სრულებით არ უსმენს ადვოკატის დაცვით სიტყვას. ცხადია, ასეთი საქციელი აღიზიანებს არა მარტო ადვოკატს, არამედ დარბაზში მყოფ სხვა პირებსაც და მათ შორის, პირველ რიგში, სამართალში მიცემულს, რომლის ინტერესებსაც ადვოკატი იცავს.

ხანდახან მოსამართლე აშკარა უპატივცემულობას იჩენს ადვოკატის მიმართ და სანამ სიტყვას მისცემდეს წინასწარ ხალისს უკარგავს უხეში მიმართვით—„რა გინდათ რომ ვთქვათ", „ილაპარაკეთ", და სხვა მსგავსი სიტყვებით.

ამიტომ ხშირად გვესმის ხოლმე საყვედური, მოსამართლეები უგულველყოფენ მხარეთა კამათის მნიშვნელობასო.

საქართველოს სსრ სსსკ 298-ე მუხლის საფუძველზე მოსამართლეს უფლება აქვს შეაჩეროს კამათში მონაწილე თუ იგი თავის სიტყვაში ეხება ისეთ გარემოებებს, რომლებიც განსახილველ საქმესთან დაკავშირებული არ არის, მაგრამ არა იმ სახალხო მოსამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლის მსგავსად, რომელმაც ჯერ ყოველგვარი საჭიროების გარეშე შეაწყვეტინა სიტყვა ადვოკატს, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა მიუთითა მას უსწორო მოქმედებაზე, მაშინ გადავიდა პირად შეურაცხყოფაზე. ამის შემდეგ არც ადვოკატი დარჩა „ვალში“ და ყველაფერი ისე აირდაირია, რომ ძნელი შეიქმნა იმის გარკვევა თუ ვინ უფრო მეტი დამნაშავე იყო. აღნიშნული პროცესის მსვლელობას კომენტარები აღარ სჭირდება!

ცალკეულ შემთხვევაში ზოგიერთ მოსამართლეს რატომღაც საჭიროდ მიაჩნია პროცესის დროს ადვოკატი იყოლიოს დაძაბულ ვითარებაში და ლაპარაკობდეს მასთან ქედმაღლურად ან ტუქსავდეს, როგორც ჭირვეულ ბავშვს.

ადვოკატისადმი ასეთი არაჯანსაღი დამოკიდებულება საქმისათვის უდავოდ საზიანოა.

რასაკვირველია, არავინ აყენებს საკითხს ადვოკატების მიმართ რაღაც განსაკუთრებული მიდგომისა და ყურადღების გამოჩენის წესების შემოღების შესახებ, მაგრამ მათდამი თავაზიანობის ელემენტარული წესების დაცვა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს პროცესის მაღალ დონეზე ჩატარებას, აუცილებელია.

ქალაქ ლენინგრადის სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ა. ერმაკოვი ასეთ შემთხვევას ჰყვება:

ერთ-ერთი რაიონის პროკურორის თანაშემწემ საბრალდებო სიტყვის წარმოთქმის დროს სასამართლოს შემდეგი სიტყვებით მიმართა — ამხანაგო მოსამართლენო! მტკიცების ნაწილში არა მგონია რაიმე საგულისხმო თქვას ხანდაზმულმა და თმაგადათეთრებულმა ჩემმა მოწინააღმდეგემ; ვერც მის დაცვის ქვეშ მყოფს, რომელსაც თავზე არავითარი მცენარეულობა არა აქვს, შეუძლია უარყოს წარდგენილი ბრალდება. ხოლო ადვოკატმა დაცვითი სიტყვა ასე დაიწყო — მოქალაქე მოსამართლენო! არა მარტო თქვენ და ამ დარბაზში მყოფმა პირებმა, არამედ ყველამ და მათ შორის ბავშვმაც კარგად იცის, რომ საქმე იმაში კი არ არის აქვს თუ არა თმა თავზე ადამიანს, არამედ მთავარი ის არის, თუ რა აქვს მას მოთავსებული თავის ქალაში (ამასთან ადვოკატმა თითი შუბლზე მიიდო და მერე პროკურორს მიანიშნა).

სასამართლომ პროკურორისა და ადვოკატის მიმართ კერძო განჩინება გამოიტანა, სადაც აღნიშნა პროცესზე მათი უტაქტო მოქმედება.[1]

მხარეთა კამათის კულტურის დაცვა და სანიმუშო პროცესის ჩატარება, ცხადია, დიდად ამაღლებს სასამართლო ორგანოების ავტორიტეტს.

ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხი დარაზმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად — საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და მშრომელთა აქტივობის განვითარებისათვის, მოსახლეობაში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მხარეთა კამათის კულტურის ამაღლების საკითხს.

ჩვენ მოკლედ შევჩერდით იმ მიზეზებზე, რომელიც ხელს უშლის მხარეთა კამათის კულტურის მაღალ დონეზე გაყენებას. საჭიროა მივიღოთ ჩვენზე დამოკიდებული ყველა ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა უახლოეს ხანში აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ პროკურატურამ,

[1] «Человек перед судом», Лениздат, 1965 г., стр. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლეს სასამართლომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა 1966 წლის მაისის თვეში განახორციელეს ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება — ჩაატარეს თეორიული კონფერენცია სასამართლო წარმოების კულტურის საკითხებზე.

ეს უდავოდ კარგი დასაწყისია, მაგრამ ამ მიმართებით მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად საჭირო იქნება სხვა დამატებითი ღონისძიებების გატარება.

მაგალითად, სასურველი იქნება აღგილზე ჩავატაროთ მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების გაერთიანებული ზონალური თათბირი ან სემინარი მხარეთა კამათის კულტურის შესახებ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პრესის ფურცლებზე იშვიათად ქვეყნდება წერილები მხარეთა კამათის კულტურაზე. ეს კი ფრიად საჭიროა.

ნ. დავითაია,
საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე,
რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინაო-სამშენებლო კოოპერაციებისაგან მშენებანკის სესხის ამოღება

მ. როკეტლიშვილი,
სსრკ მშენებანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ქალაქის სამმართველოს
კოოპერატიულ და ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის დაკრედიტების
განყოფილების უფროსი

ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა საბინაო პრობლემის გადაჭრის საკითხმა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული მშენებანკის დაწესებულებების წინაშეც, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ განახორციელონ სათანადო კონტროლი კოოპერაციული სახლების მშენებლობის მიმდინარეობაზე. ბანკის კონტროლი მიმართულია იქით, რომ საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მიმდინარეობდეს შეუფერხებლად, შედარებით ნაკლებ ფასებში და ჩაბარდეს სახლები ექსპლოატაციაში დაწესებულ ვადებში.

მშენებანკის დაწესებულებები სისტემატურ კონტროლს აწარმოებენ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესრულებასა და მშენებლობის გრაფიკის დაცვაზე, ამასთანავე ფულადი სახსრების, მასალებისა და მოწყობილობის ეკონომიურ და მიზნობრივ ხარჯვაზე.

ფინანსირებისა და დაკრედიტების პროცესში მშენებანკის დაწესებულებები თვალყურს ადევნებენ, რომ ასაშენებელი ობიექტები უზრუნველყოფილ იქნან სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და ჩართული იქნენ საიჯარო სამუშაოთა გეგმაში.

შემოწმების მასალების საფუძველზე მშენებანკის დაწესებულებები საკითხს სვამენ და კონკრეტული წინადადებებით შედიან ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, რათა აღმოფხვრილ იქნას მშენებლობაში დაშვებული ნაკლოვანებები და მათი გამომწვევი მიზეზები.

მშენებანკის დაწესებულებათა მუშაობაში საბინაო-სამშენებლო კოოპერაციების სახლების დაფინანსება-დაკრედიტებისას ერთ-ერთ ძნელს და შრომატევად უბანს წარმოადგენს გაცემული კრედიტის ამოღების საკითხი. არანაკლებ საყურადღებო და მნიშვნელოვანია გაცემული კრედიტის უკან დაბრუნების საკითხი, ე. ი. კრედიტის დაფარვის გეგმის შესრულება.

საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა მიერ დამტკიცებულ მოქმედ სამართლებრივ ნორმებში და ამასთან დაკრედიტების წესებსა თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის სანიმუშო წესდებაში მკაფიო ასახვა ჰპოვა შესაბამისმა ღონისძიებებმა, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო სახსრების (ამ შემთხვევაში კრედიტის) იძულებითი წესით ამოღებასთან. ასე მაგ. „სესხით სარგებლობისათვის საბინაო სამშენებლო კოოპერატივი დამატებით იხდის 0,5%-ს წლიურს, ხოლო ვადაგადაცილებულ გადასახადზე კი ამ თანხის 3%-ს“.[1]

თავის მხრივ „კოოპერაციის წევრიც ვალდებულია სესხის გადასახადთან ერთად დაფაროს სესხით სარგებლობის პროცენტი წლიური 0.5-ის დარიცხვით, ხოლო სესხის გადასახადის ვადაგადაცილების შემთხვევაში წლიური 3%“.[2] ეს იმას ნიშნავს, რომ თუ წევრმა გადააცილა დაწესებულ ვადას სესხის კვარტალური გადასახადის შეტანა, მას ზემოქმედ დაერიცხება ვადაგადაცილებულ თანხაზე 3%, რაც ერთგვარ სანქციას წარმოადგენს დავალიანების წარმოშობის თავიდან ასაცილებლად.

---

[1] «Правила кредитования кооперативного жилищного строительства», стр. 8, пункт. 14. Утвержденное в соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 19/XI-1964 г.

[2] То же самое правило, стр. 13, приложение № 2 «Обязательства».

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ დაკრედიტების მოქმედ წესებში გათვალისწინებულია ისიც, რომ „დაწესებულ ვადაში სესხის გადასახადის შემოუტანლობის შემთხვევაში, მშენბანკის შესაბამის დაწესებულებებს უფლება აქვთ თავის განკარგულებით უდავო წესით მოახდინონ კოოპერაციის ანგარიშიდან ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერა. იმ შემთხვევაში, თუ 3 თვის განმავლობაში კოოპერაცია არ გადაიხდის ვადაგადაცილებულ დავალიანებას, მშენბანკის დაწესებულება ატყობინებს აღნიშნულზე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამის აღმასკომს თხოვნით, რათა დანიშნოს რევიზია კოოპერაციის საქმიანობაზე და მიიღოს მის მიმართ საჭირო ზომები“.[3]

თვით კოოპერაცია კი, როდესაც მისი წევრები არ გადაიხდიან სესხის კვარტალურ გადასახადს დაწესებულ ვადაში, ვალდებულია იძულებითი წესით გადაახდევინოს დავალიანება.

მნიშვნელოვან აქტად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27/V-ს № 318 დადგენილება, რომლითაც უფლება მიეცათ კოოპერაციებს სანოტარო ორგანოებიდან მიიღონ სააღსრულებო წარწერები კოოპერაციის ურჩ წევრებზე მშენბანკის სესხის ვადაგადაცილებული დავალიანების იძულებითი წესით გადასახდევინებლად.

ისმება კითხვა: საკმარისია თუ არა ზემოჩამოთვლილი უფლებანი? როგორ იყენებენ მას, როგორც მშენბანკის დაწესებულებები, ასევე საბინაო სამშენებლო კოოპერაციათა გამგეობანი და რა დაბრკოლებები არსებობს სახელმწიფო სესხის ამოღების საქმეში?

ეს საკითხები განვიხილოთ თბილისის მშენბანკის დაწესებულებათა მაგალითზე. ყოველი კვარტალის ბოლოს მშენბანკი აზუსტებს და ადგენს სიას იმ კოოპერაციებისას, რომლებზეც ირიცხება ვადაგადაცილებული დავალიანება; თვითეულ კოოპერაციის თავმჯდომარეს უგზავნის წერილობით გაფრთხილებას ვადაგადაცილებული დავალიანების დაუყოვნებლივ დაფარვის შესახებ.

ამასთანავე, სახბანკის შესაბამის განყოფილებებში აგზავნის განკარგულებებს კოოპერაციის მიმდინარე ანგარიშიდან დავალიანების თანხის იძულებითი წესით ჩამოწერის შესახებ; მიმართავს შესაბამის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს რევიზიის ჩატარების მიზნით და საჭირო ზომების მისაღებად; რიგ შემთხვევებში საკითხს აყენებს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების წინაშე იმ კოოპერაციათა თავმჯდომარეების მიმართ ზომების მისაღებად, რომლებიც უმოქმედობას და გულგრილობას იჩენენ და არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს ურჩი წევრებიდან სახელმწიფო სახსრების ამოღების საქმეში.

„უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გასულ, 1969 წლის განმავლობაში ჩატარებულ ყველა ამ ღონისძიებებისა მხოლოდ თბილისში ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 1970 წლის 1/I მდგომარეობით შეადგინა 106,7 ათასი მანეთი. ეს დავალიანება ირიცხებოდა 33 საბინაო-სამშენებლო კოოპერაციაზე; საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მათ შორის 16 საბინაო კოოპერატივზე ირიცხება დიდი დავალიანება — 89,5 ათასი მანეთი, ე. ი. საერთო დავალიანების თანხის 84% (დღეისათვის ქ. თბილისში ექსპლოატაციაშია შესული და კრედიტის გადამხდელ კოოპერაციათა საერთო რაოდენობა — 166)“.[4]

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ ღონისძიებათა სისტემატურად გატარების მიუხედავად მშენბანკის დაწესებულებები მაინც ვერ აღწევენ დადებით შედეგს და არ ძალუძთ ვადაგადაცილებული დავალიანების არა თუ ლიკვიდაცია, არამედ მისი მინიმუმამდე დაყვანაც კი. როგორც მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახვა, ჩვენი აზრით, ყოველივე ეს გამოწვეულია შემდეგ გარემოებათა გამო: კოოპერაციის თავმჯდომარეთა უმრავლესობა ვერ უწევს სათანადო ინსტრუქტაჟს და ვერ

---

[3] «Правила кредитования кооперативного жилищного строительства», стр. 8, 9, пункт 16, утвержденное в соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 19/XI-1964 г.

[4] სსრკ მშენბანკის საქართველოს ქალაქის სამმართველოს 1969 წლის მუშაობის ანგარიში. 1970 წ. 13 თებერვალი № 29/4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმარტავს თავიანთ უფლება-მოვალეობას კოოპერაციის წევრებს როგორც მოქმედ სანიმუშო წესდების, ასევე დაკრედიტების წესების შესწავლის საქმეში. რაც მთავარია, რიგ შემთხვევებში შეგნებულად არ იყენებენ უფლებებს წევრების მიმართ სესხის დავალიანების იძულებითი წესით ამოღების საქმეში და არ ხელიან კრების მსჯელობის საგნად იმ წევრების საკითხს, რომლებიც თავს არიდებენ სახელმწიფოს ვალის დაწესებულ ვადებში დაფარვის საქმეს.

უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მშენბანკის ინიციატივით საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ გაათავისუფლა საბინაო კოოპერაციები სასამართლოში სარჩელების აღძვრისას სახბაჟის წინასწარი გადასახადისაგან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომაც თავის 1966 წლის 27 მაისის № 318 დადგენილებით უფლება მისცა მათ სანოტარო ორგანოებიდან სააღსრულებო წარწერების მიღებისა სახელმწიფო სესხის იძულებითი წესით გადახდევინებაზე, ისინი მაინც არ იყენებენ ამ უფლებებს. დაბრკოლებად ითვლება ისიც, რომ გააჩნიათ რა ერთი ანგარიში კოოპერაციებს, მშენბანკის დაწესებულებათა განკარგულებები მათ მიმდინარე ანგარიშებიდან სახსრების იძულებით ჩამოწერაზე მოქმედი სახბანკის 1961 წლის 28 დეკემბრის № 35 ინსტრუქციით მეოთხე რიგით ნაღდდება და მასზე წინ საწარმოებს კომუნალური მომსახურების ორგანოების საგადასახადო მოთხოვნების განაღდება. ეს გარემოება კი ხშირ შემთხვევაში იწვევს იმას, რომ მშენბანკის სესხის დასაფარავად შესული თანხები კოოპერაციების მიმდინარე ანგარიშებიდან ჩამოიწერება და ჩაერიცხება თბომეურნეობისა და სხვათა სამმართველოებს. ამ ნიადაგზე კოოპერაციების თავმჯდომარენი და მათი წევრებიც უკმაყოფილებას გამოსთქვამენ, რადგან ურთულდებათ აღრიცხვიანობა და უძნელდებათ თანხების გადანაწილება. ხშირ შემთხვევაში აცხადებენ, რომ გათბობა და ცხელი წყალი არ ჰქონიათ, მაგრამ თანხები წინასწარ ჩამოაწერეს დავალიანებაში. ამასთანავე თბომეურნეობის სამმართველოდან როდესაც წარმომადგენელს ითხოვენ ადგილზე ფაქტის დასადასტურებლად, მათ თხოვნას არ აკმაყოფილებენ და უსაფუძვლო უარით ისტუმრებენ. ხდება ისიც, რომ ზოგიერთი კოოპერაცია ცხელი წყლით და გათბობით სარგებლობის მხოლოდ გარკვეულ პერიოდს ადასტურებს, მაგრამ თბომეურნეობის სამმართველო არ იზიარებს მათ პრეტენზიას და იძულებით ჩამოსწერს მათ ანგარიშიდან იმ თანხას, რომელიც მშენბანკის სესხის დასაფარავად იყო განკუთვნილი. მშენბანკის დაწესებულებები ამ შემთხვევაშიც სწორად განუმარტავენ კოოპერაციებს, რომ ისინი ყოველივე ვალის გადახდას დაწესებულ ვადაში რომ ახდენდნენ, მაშინ თანხების იძულებით ჩამოწერა არ მოხდებოდა და აღრიცხვა-ანგარიშგებაც სათანადო სიმაღლეზე იქნებოდა.

სესხის დაფარვის საკითხში დაბრკოლებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ კოოპერაციის თავმჯდომარეთა მიმართ არავითარი სასჯელი არ არის გათვალისწინებული არც მოქმედ დაკრედიტების წესებში და არც სანიმუშო წესდებაში იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი უმოქმედობას გამოიჩენენ და არ გამოიყენებენ კანონით მათზე მინიჭებულ უფლებებს წევრების მიმართ იძულებითი წესით სესხის დაფარვის საქმეში. ასეთი წესის შემოღება კი მათ უდავოდ აიძულებდათ საჭიროების შემთხვევაში განეხორციელებინათ მსგავსი ღონისძიებანი და დაწესებულ ვადებში უზრუნველეყოთ წევრებიდან სახელმწიფო სახსრების ამოღება.

სესხის გადახდის შემაფერხებელ გარემოებად ითვლება აგრეთვე ისიც, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღძასკოაის ყოფილი კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, რომელიც დამ-
კვეთის ფუნქციას ასრულებდა დიდი დაგვიანებით ახდენდა მოიჯარადრესთან
შესრულებულ სამუშაოთა საბოლოო დაანგარიშებას და ექსპლოატაციაში გა-
დაცემული სახლის ფაქტიური ღირებულების დადგენას. ასეთ გარემოებას ამ-
ჟამადაც აქვს ადგილი და ეს იწვევს კოოპერაციების თავმჯდომარეთა უკმაყო-
ფილებას, რადგან მათ არ იციან რა სახლის ფაქტიური ღირებულება, არ შეუძ-
ლიათ სწორად განუსაზღვრონ თავიანთ წევრებს გადასახდელი კრედიტის ოდე-
ნობა და მოახდინონ მათგან სესხის დაფარვა.

დაკრედიტების წესების მე-15 მუხლის საფუძველზე სესხის გადახდა შესა-
ბამისი პროცენტებით იწყება სახლის ექსპლოატაციაში გადაცემის მომდევნო
კვარტალიდან და მათ უფლება არა აქვთ შეწყვიტონ დაფარვა იმ მოტივით, რომ
არ იციან სახლის ფაქტიური ღირებულება. მიუხედავად ამისა კოოპერაციის თავ-
მჯდომარენი არ მიმართავენ წევრების წინააღმდეგ იძულებით ღონისძიებებს,
და განმარტავენ რომ ეს უკანასკნელნი მასიურად აცხადებენ პრეტენზიას ხსენე-
ბული მოტივით სესხის გადახდაზე და ამდენად მოკლებული არიან ფიზიკურ
საშუალებას ყველას მიმართ საქმის აღძვრაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად სახელმ-
წიფო სესხების ამოღების საქმეში, ჩვენი აზრით, საჭიროდ და მიზანშეწონილად
მიგვაჩნია, რათა სათანადო ორგანოებმა არსებითად შეისწავლონ ამ დაბრკო-
ლებათა გამომწვევი მიზეზები და მოახდინონ საბინაო-სამშენებლო კოოპერა-
ციის მოქმედ დაკრედიტების წესებსა და სანიმუშო წესდებაში შემდეგი სა-
ხის ცვლილებები:

1. კოოპერაციის გამგეობას მიეცეს უფლება იმ შემთხვევაში უკეთუ მისი
წევრი 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ დაფარავს სავალდებულო კვარტა-
ლურ გადასახადს, აიღოს საალსრულებო წარწერა სანოტარო ორგანოდან ან
აღძრას სამოქალაქო სარჩელი სასამართლოში სესხის იძულებითი წესით გადა-
სახდევინებლად არა მარტო ვადაგადაცილებულ, არამედ სესხის მთლიან თანხა-
ზე, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაამთავროს დავა ასეთ ურჩ წევრთან და ყო-
ველ კვარტალში არ უხდებოდეს მის მიმართ სანოტარო თუ სასამართლო ორგა-
ნოებში საქმეების აღძვრა.

კოოპერაციის გამგეობა ერთიანად თუ ვერ შესძლებდა სესხის ამოღებას მო-
პასუხის სახლზე ან სხვა რამ ქონებაზე გადახდევინების მიქცევით, ყოველ შემ-
თხვევაში მისი ხელფასის დაყადაღებით სისტემატურად აწარმოებდა ყოველ თვი-
ურად სესხის დასაფარავი თანხის დაკავებას.

2. დაწესდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ კოოპერა-
ციის თავმჯდომარე გულგრილობასა და სრულ უმოქმედობას იჩენს და არ იყე-
ნებს კანონით მინიჭებულ უფლებებს წევრებისაგან სახელმწიფო სესხის ამო-
ღების საქმეში.

3. ნება დაერთოთ საბინაო სამშენებლო კოოპერაციებს გამონაკლისის სა-
ხით გახსნან დამატებითი სასესხო ანგარიში სახბანკის განყოფილებებში, სადაც
იწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ მშენბანკის სესხის დასაფარავად შემოსული
თანხების ჩარიცხვა და არცერთ სხვა ორგანიზაციას, გარდა მშენბანკისა, უფლე-
ბა არ ექნება დაყადაღებისა და თანხების იძულებითი წესით ჩამოწერისა. ამით
დაზღვეული იქნებიან როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერაციები, ასევე
მშენბანკის დაწესებულებები რომ სესხის დასაფარავად შემოსული კვარტალუ-
რი გადასახადები დანიშნულებისამებრ ჩაირიცხებიან და მას ვერ შეეხებიან სხვა
ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებთან არსებულ საათანადო სამმართველოებს და განყოფილებებს კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების ექსპლოატაციაში გადაცემისთანავე დაადგინონ ამ სახლების ფაქტიური ღირებულება, რათა მშენბანკის დაწესებულებებს და კოოპერაციათა გამგეობებს საშუალება მიეცეთ ზუსტად განსაზღვრონ როგორც სახელმწიფოს კრედიტის, ასევე კოოპერაციების საკუთარი სახსრების ოდენობა და ამ მხრივ ადგილი აღარ ექნება სესხის დაფარვის შეფერხებას.

5. დაწესდეს სახელმწიფოს სესხის ურჩ გადამხდელთა გარიცხვა კოოპერაციის წევრობიდან მშენბანკის ან აღმასკომის მოთხოვნით, უკეთუ კოოპერატივის გამგეობა ასეთს თავს არიდებს.

ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები

როგორც უკანასკნელ დროს გამოირკვა, ილია ჭავჭავაძეს გაზეთ „ივერიაში“ მუშაობის დროს ერთი განსაკუთრებული წესი ჰქონია დადგენილი. გაზეთის მოწინავე წერილებს და მეთაურებს თუ მისი რომელიმე თანამშრომელი (ასეთი კი მას საგრძნობლად ჰყავდა) ანდა სხვა დაწერდა, შეეძლო გვარი ან ფსევდონიმი მოეწერა. მართლაც, „ივერიის“ მოწინავე წერილებს ხშირად წერდნენ: ვლ. მიქელაძე, ალ. ნანეიშვილი, ალ. ყიფშიძე, არტ. ახნაზაროვი და სხვები. ისინი ამ წერილებს ხან გვარებს აწერდნენ, ხან კიდევ ფსევდონიმებს: მეველე (მიქელაძე), ნალი (ნანეიშვილი), ჩიორა (ახნაზაროვი) და სხვ.

დადგენილი წესის თანახმად ხელმოუწერელი წერილები თითქმის ყველა ილია ჭავჭავაძისა იყო. ამის თაობაზე საგანგებოდ აღნიშნავდა ილიას ერთი თანამოსაუბრეთაგანი იონა მეუნარგია. 1886 წლის 10 ივნისს იგი პეტერბურგში ნიკო ნიკოლაძეს სწერდა: „ნიკოჯან! შენ წარმოიდგინე, რაც „ივერია“ გამოდის ორ-სამ მოწინავე სტატიებს გარდა, რაც რამ პოლიტიკური და სხვა არაპოლიტიკური სტატიებია, სულ ილიასი არის. „ბიჭო რაზე იკლავ თავს, ამის მაგიერ არ გირჩევნია ერთი ლექსი დაწერო, ერთი მოთხრობა. მოწინავე სტატიას ვინ კითხულობს, ვისთვის გინდა?“ — მეთქი. მე შენ გეტყვი ვერ ჩამამუჩა: ხალხის აღზრდა... ახლის გაშუქება, ბოლო დროა... და სხვა და სხვა“.[1]

ხანგრძლივი მუშაობის დროს მკვლევარებმა დაადგინეს, რომ „ივერიის“ მეთაური წერილების ავტორი ილია ჭავჭავაძეა. გამოვლინებული იქნა რამდენიმე ათეული ასეთი წერილი, რომლებიც ილიას თხზულებათა სრულ კრებულში შეტანილი არ ყოფილა. ილიასეული წერის სტილი თავისებურია, იგი აშკარად გაირჩევა სხვებისაგან. თუმცა ბევრმა მისმა მიმდევარმა კარგადაც შეითვისა წერის ილიასეული სტილი, მაგრამ ილია მაინც თავისთავადი დარჩა. აზრთა სიღრმე, სიტყვათა ხმარებისა და განლაგების ეგრეთწოდებული პიროვნული წესი ილიასი სრულიად სხვაა. ამის საუკეთესო მაგალითია აქ წარმოდგენილი წერილები.

ვახტანგ სიდამონიძე

კანონი და სამართალი

თავისუფლება იგი ყოფა-მდგომარეობაა ადამიანისა, — ამბობს ბოსუეტი თავის მსოფლიო ისტორიაში. საცა ყოველი ემორჩილება მარტო კანონსა და საცა კანონი უძლიერესია ყოველ ცალკე კაცზედაო; ასეთის თვალით უყურებდა თავისუფლებას ძველი რომაელი და ბერძენიო.

ეს ჭეშმარიტი და ზედ-მიწევნილი მნიშვნელობა თავისუფლებისა ეხლაც ცნობილია და აღიარებული ეხლანდელ მეცნიერთა და სახელმწიფოთაგან. ჭეშმარიტი, რიგიანი აგებულება და წყობილება კაცთა საზოგადოებისა, სწორედ ამ ქვა-კუთხეზე უნდა იყოს ამოყვანილი. საცა ეგ არ არის, იქ კაცთა საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც ერთმანეთზე დამოუკიდებლად და გადაუბმელად შეუძლებელია, მარტო ძალ-მომრეობაა, ერთმანეთის თელვაა, ერთმანეთის ჩაგვრა და ძარცვა-გლეჯა. მაშინ ყოფა ადამიანისა ნადირთ-ყოფაა და ადამიანი ეგ კერძო ღვთისა, ნადირად გადაქცეულია, იმიტომ, რომ — თვითეულს სვე-ბედი ხმლით საგერი და სატევია და არა საერთო მფარვე-

[1] ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. 3, 1963 წ. თ. მაჭავარიანის წინასიტყვაობა, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობისა და შემწეობისაგან ნათავდები და დაკუთვნებული. ამ ყოფით ცხოვრება ცნობიერისა და ჭკუათა-მყოფელს სულიერს არ შეუძლიან და თვით იმ კრებულს ჭკუათმყოფელ სულიერთა, რომელსაც ჩვენ კაცთა საზოგადოებას ვეძახით, მიზეზი არსებობისა და ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება და უბათილდება, ხოლო კაცმა რომ იმისთანა პატივ-საცემი და მართალი, ადამიანისათვის თავ-მოსაწონი თავისუფლება იქონიოს, როგორსაც ბოსუეტი ამბობს, საკმაო არ არის მარტო არსებობა კანონიერებისა. კანონი სჯულია ცხოვრებისა და ამიტომაც იგი სამართლისაგან ამოწვდილი ხმალიც არის. ურჩთათვის და ფარიც არის საგერად და სასხნელად ჩაგრულთათვის. თუ ხმლობაში კანონს უსამართლოდ ჰხმარობს ვინმე, მაშინ ფარობამ კანონისამან თავი უნდა იჩინოს საგერად. კანონი მაშინ არის კაცთათვის მადლის მიმნიჭებელი, როცა ამ ორნაირს უწმინდესს მნიშვნელობას მისას ჰპატრონობს თვითონ საზოგადოება, თვითეული წევრი, თვითეული კაცი, როცა კანონის სახელით მისევა თუ მოგერება ჰბღალავს, ჰლამავს გრძნობას მადლიერებისას, მაშინ მე ვიჩაგრები ამისაგან, თუ სხვა, — მაინც მოვალე ვარ თავი გამოვიდო, კანონის სახელი ძირს კი არ დავცე და არ გავაქელვინო, იმიტომ, რომ კანონი ყველასი ფარ-ხმალია და, მაშასადამე ჩემიცა. აქ სიდიდე საქმისა არაფერს შუაშია. შეიძლება საქმე ჩალის ფასადაც არ ჰღირდეს, მაგრამ გალახული გაუპატიურებული გრძნობა სიმართლისა კი — მაინც ალაპარაკდეს და კანონს გამოესარჩლოს. ეს მარტო მაშინ არის შესაძლებელი, როცა გრძნობა სიმართლისა — ეგ ერთად-ერთი თავდები კაცთა-საზოგადოების ბედნიერებისა — ყველას გაღვიძებული აქვს და ყარაულად უდგა თვით კანონსა.

სწორედ ესეც არის ყველგან, საცა — კი ერი ამ მხრით საზოგადო ცხოვრებაში წარმატებულია. აი, თუნდა ამის მაგალითი, რომელიც ჩვენებურ კაცს იქნება სასაცილოდაც არ ეყოს და რომელსაც ჩვენის აზრით, დიდ-ძალი მნიშვნელობა აქვს, იმოდენად დიდ-ძალი, რომ უამისოდ ყოველივე კანონი რაც უნდა კარგი იყოს, უქმი თამასუქია.

ბრესლავში (პრუსიის ქალაქია) ერთი მდიდარი სოვდაგარია თურმე. ამას ეხლახან ჯვარი დაუწერია, პატარძალი შინ მოუყვანია და პოლიციისათვის კი არ შეუტყობინებია, რომ სახლში ახალი ადამიანი დაუბინავებია. პრუსიის კანონებით — კი ყოველი პატრონი სახლისა მოვალეა აცნობს პოლიციას სამი დღის განმავლობაში, თუ ვინმე უცხო კაცი თავის სახლში დააბინავა. პოლიციამ ამ კანონის დარღვევისათვის მანეთზე ცოტა მეტი ჯარიმა დაწერა სოვდაგარსა. სოვდაგარმა ჯარიმის გადახადევინება ამ შემთხვევაში უსამართლოდ იცნო და პოლიციას სამართალში უჩივლა.

სასამართლოში სოვდაგარი ამტკიცებდა, რომ პოლიციას ამ შემთხვევაში ხელი არ ჰქონდა. ჯარიმა გადაეხდევინებინა ჩემთვისაო, იმიტომ, რომ კანონში მოხსენებულია, რომ, თუ უცხო კაცი დავაბინავე ჩემს სახლში და პოლიციას არ შევატყობინე, მაშინ უნდა გადამხდეს ჯარიმაო, ცოლი — კი არც კანონით და არც საღმთო-წერილის ძალით უცხო კაცად არ ჩაითვლება ქმრისათვისო. არც სასამართლომ, არც სასამართლოს პალატამ არ შეიწყნარა სოვდაგრის საბუთი და ზემოხსენებული ჯარიმა, სულ მანეთი და ერთი შაური მსჯავრად გაუჩინა. სოვდაგარმა მაინც თავისი არ დაიშალა და გადიტანა საჩივარი დიდს სახელმწიფო სამართალში, რომელსაც რეიჰსგერსტი ჰქვიან.

სასაცილოა, განა მკითხველო, ასეთი დავიდარაბა ერთის მანეთის გულისთვის, მერე ვისგან? მდიდარის სოვდაგრისაგან. ჩვენებური კაცი მაშინვე ამოიღებდა ქისიდან ერთს მანეთს და დაამწყურალებდა პოლიციას. მაგრამ აქ საქმე მარტო ერთ მანეთზეა, რა არის ერთი მანეთი მდიდარი სოვდაგრისათვის? ხელის ბუჟყია, მტვერია და სხვა არაფერი. მაგრამ აბა ახლა შიგ ჩაიხედეთ ამ საქმეში, გუნება და ბუნება გაუგეთ, — მაშინ სიცილის მაგიერ გრძნობა, პატივის-ცემისა მიგახედებთ ამ სოვდაგარზედ. ცხადია, მდიდარ სოვდაგარს ის კი არ ანაღვლებს, რომ ერთი მანეთი ერთმევა, არამედ ის, რომ მისი აზრით, კანონი და სამართალი ირღვევა და კანონი და სამართალი კიდევ მისი თავისუფლების ციხე-სიმაგრეა, და ეს ციხე-სიმაგრე იმოდენად ძვირფასია, რომ განურჩევლად, განუკითხველად ხელს არავის ახლებინებს. აი, ნამდვილი, ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი თავგამოდება, აი, ჭეშმარიტი ქველობა კაცთა საზოგადოების წევრისა. ამოდენა დავიდარაბაში სამს სამართალში საქმის გატარებაში, ერთი მანეთი კი არა, იქნება ასი მანეთიც დაეხარჯოს, მაგრამ იგი რისთვისაც იღწვის, მისთვის ყოველ ქონებაზედ უფრო ძვირფასია. კაცმა მისი აზრით, უსამართლოდ ამოაწვდინა მასზედ კანონის ხმალი და იგი ამავ კანონსა თავის კაცურის კაცობის ფარად წინ უყენებს და განკითხვას სამართლისაგან ელის. კაცური, ადამიანური ცხოვრებაც ამასა ჰქვიან; ამისთანა კაცთა შორის ყველა შეკრულია ბოროტისათვის და ყველა გზა გახსნილია სიკეთისათვის.

თავისუფლება ადამიანისა სხვა არა არის-რა, რომ ბოროტისათვის სრულად შეკრული იყოს და სიკეთისათვის უხვად გზა გახსნილი.

(„ივერია“, 1887 წ., № 129)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ზღვის ნაპირების დასახლების საკითხისათვის

ამიერ-კავკასიისათვის ერთი მეტის-მეტად ფრიად საყურადღებო საქმეა, რომელიც დიდი-ხანია აფიქრებს აქაურს მთავრობას და, რომელსაც დღეს აქამომდე ბოლო არ უჩანს. ეს საქმე დასახლებაა შავი-ზღვისპირებისა, საიდამაც წინანდელი მკვიდრნი გაიკრიბნენ და ადგილები მათ შემდეგ დაცარიელდა. ამ დასახლებაზედ დიდი ხანია ზრუნავს და ჰღონობს მთავრობა და დღეს აქამომდე გათავებული არ არის,-რა რა თესლის ხალხს გაუხსნას გზა ამ დასახლებისათვის. ბევრი აზრი გამოითქვა ამ საგანზედ, ბევრი პროექტი დაიწერა და არც ერთმა იმოდენად არ იხეირა, რომ საქმეს ბოლო მოღებოდა.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ უკანასკნელ ხანებში კომისიაც შესდგა და მიენდო, რომ ამ საგანზე ყოველივე შესაბამი ცნობა შეეკრიბა და გადაწყვეტილი რამ ეთქვა. კომისიამ სამის საზოგადოების წარმომადგენელთაგან შემდგარმა, თავის აზრი უკვე გამოსთქა და იმაზედ დადგა, რომ ყველაზედ უფრო სახერხოა ყაზახები დაასახლოს შავი-ზღვის პირებზე მთავრობამა და ყაზახების წესწყობილება დაუდვას ახალ-შენებსაო.

იმ საზოგადოების კრებაში, რომელსაც ეძახიან «Императорские вольно-экономическое общество»-ს. 4-ს თებერვალს დიდი ,ასი გამართულია ამ საგანზე. თავმჯდომარეს კრებისას ბ-ნს სოვეტოვს, მოუხსენებია რა ისტორია ამ საქმისა და გადაწყვეტილება ხსენებულის კომისიისა — ნება მიუცია, ამ საგანზე ლაპარაკისა ჯერ ბბ-ნთ დუკმასოვისათვის, იურევიჩისა და ეროპკინისათვის, როგორც შავი-ზღვის პირებზე ადგილ-მამულის მოღვაწეთათვის.

ბ-ნს დუკმასოვს წაუმძღვარებია რა პოლიტიკური აზრი, უთქვამს, რომ ამ ადგილებზე უცილობელად და უეჭველად ყაზახები უნდა დაასახლოს მთავრობამაო და მთლად დაუჭერია მხარი ზემოხსენებული კომისიისათვის. ბ-ნს იურიევიჩს სულ სხვა აზრი წარმოუთქვამს: ყაზახებს არავითარი უნარი არა აქვთ ახალ-შენობის მისიის აღსრულებისათვისო, იგინი ამისათვის ყოვლად გამოუსადეგარნი არიანო, რადგანაც არც ჩვეულება, არც მათის ცხოვრების წეს-წყობილება არ შეესაბამება ამისთანა საკულტურო საქმესაო. შავი-ზღის პირების ადგილები ჰავით და მიწის მოცემულობით იმისთანანი არიან, რომ ყურძენი, თამბაქო და სხვა ამგვარი სამეურნეო საგანი ხეირობსო და ამიტომაც უკეთესი იქნებოდა, რომ მთავრობამ მოიწვიოს დასასახლებლად ქართველები, იმერლები და მეგრელები იმ ადგილებიდან, საცა ვენახების ხელი იციანო და ბერძნები, საცა თამბაქოს მოყვანა გავრცელებულიაო. ბ-ნი ეროპკინი დაეთანხმა ბ-ნს იურიევიჩს, რომ ყაზახები ამ საქმისათვის არ ვარგანან და დაუმატებია, რომ რუსები-კი ძალიან კარგად გამოდგებიანო.

მათ შემდეგ ულაპარაკნია ბ-ნს ეგუნოვს. ამას ვრცლად მოუყვანია ყოველივე, რაც ამ საგანზე ჰო და არა თქმულა ოდესმე. ბოლოს თავის საკუთარი აზრი ასე დაუსკვნია, რომ რასაკვირველია თუ სახეში მივიღებთ მარტო პოლიტიკურ საჭიროებასო, სასურველია აფხაზეთი განსაკუთრებით რუსებით იყოს დასახლებულიო. ხოლო თუ ჰავისა და ეკონომიურის მხრით დავუწყებთ ყურებას ამ საქმეს, ეს აზრი და ნამეტნავად კომისიისა — ყაზახები დავასახლოთო — მცირეოდენს კრიტიკასაც ვერ გაუმაგრდება და ვერ გაუძლებსო. ყაზახების წინააღმდეგ ილაპარაკეს ბევრმა სხვებმაც და სხვათა-შორის ბ-ნმა კოტელნიკოვმაც.

ბ-ნმა ერმოლოვმა, რომელსაც, თუ არა ვცდებით სახელმწიფო და ქონების სამინისტროში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, შენიშნა, რომ ამ საქმეში ორი აზრია ერთმანეთში არეული და გადაბმულიო. პოლიტიკური და ეკონომიურიო. ამასთან ესეც სათქმელია, რომ პირველს საგანს უპირატესობა და უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევაო. ეგ პოლიტიკური აზრი მთლად უნდა ჩამოეცალოს ამ საქმესა, რადგანაც პოლიტიკის თვალით საქმის გასინჯვა ჩვენი საზოგადოების საქმე არ არისო. ჩვენ ამ საქმეს უნდა მოვეკიდნეთ მარტო ეკონომიურის მხრით და მარტო ამ მხრით უნდა გამოვარკვიოთო.

შესდგომია რა ამ მხრით საქმის გამორკვევას, ბ-ნს ერმოლოვს უთქვამს, რომ მე თვითონ მინახავს და მისინჯავს ყაზახების მეურნეობა და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ესენი შავი-ზღვის პირებზე რაშიმე გამოსადეგნი იყვნენო სამეურნეოდ და მიწის სამოქმედოდაო. ერთობ ეჭვი მაქვს, რომ ცარიელი ადგილების დასაშენებლად ამათ ივარგონო და თქვენ ახალ-შენობის საქმემ ამათის დასახლებით იმარჯვოს და იხეიროსო.

თავმჯდომარეს ბ-ნს სოვეტოვს მოუსმენია რა ესე ყოველი, წარმოუთქვამს, რომ ყაზახების უვარგისობა შავი-ზღვის პირის დასახლებისათვის წინათაც არის დანახულიო. ამაზედ ეჭვი გამოითქვა ჯერ კიდევ 1870 წლის შემდეგ ხანებშიო. რაც შეეხება მას, რომ რუსკაცს ერთობ ნიჭი და უნარი აქვს ახალ-შენობისა, ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ბოლოს მთელი ჩვენი ისტორია, თუმცა ზოგიერთნი ამ ნიჭსა და უნარსაც დღესაც უარყოფენ. ამისი ცხოველი და ბრწყინვალე საბუთი ახალი ათონი არის, საცა რუსთა კრებულმა მოკლე ხანში ვერანა ადგილები გააცოცხლა და ააყვავაო. კომისია მეტად ცალ-კერძ მოეკიდა ამ საქმესა, რაკი მარტო ყაზახები იცნა და არა მთელი რუსობა გამოსადეგად ზღვისპირების დასახლებისათვისო. ეს ნაკლი კომისიისა შევავსოთ და ეგრედ შევსებული დასკვნა კომისიისა ჩვენც მივიღოთო. მთელი კრება უკლებლად ამ აზრზე დათანხმებულა.

რა თქმა უნდა, ამისთანა გადაწყვეტილება მოსალოდნელი იყო კრებულისაგან და თუ ჩვენ ეს ამბავი ასე ვრცლად მოვიხსენიეთ მარტო იმისათვის, რომ ჩვენთან ერთად გაიკვირვოს მკითხველმა სად დაიკარგა ხმა: ბ-ნ იურიევიჩისა, ეროპკინისა, კოტელნიკოვისა, ეგუნოვისა და სხვათა?

(„ივერია", 1887 წ., № 37)

კ. ბლუმერი კავკასიაში ავაზაკობის შესახებ

„ნოვოე ვრემია" თავისას არ იშლის: დაუჟინია, თუ გინდათ ავაზაკობა ამოჰკვეთოთ ამიერკავკასიაში, იქაურები სულ გამოყარეთ პოლიციის სამსახურიდანო. „ნეტარ არიან მორწმუნენი". და ნეტარ იყოს თვით „ნოვოე ვრემიაც", რომელსაც ამისთანა ადვილი და უებარი წამალი სცოდნია თვისდა სასახელოდ. „ნოვოე ვრემია" არა სჯერდება ამის ქადაგებას თავისის საკუთარის სახელით და დასჭირებია სხვის მიერ მოწმობაცა, უსათუოდ უფრო დიდის ავტორიტეტის და მცოდნე კაცისა. ამისთანა ძლიერ მოწამედ გამოსჩენია ბ-ნ კ. ბლუმერი, რომლის წერილი დაბეჭდილია „ნოვოე ვრემიას" № 7803-ში, ამ ხმამაღალ სათაურით: „ავაზაკობის შესახებ კავკასიაში".

ბ-ნი ბლუმერი უფრო ხერხიანად მოქცეულა ამ საქმეში, რომ უცაბედად ნათქვამობა არ შესწამონ მის წერილს, ბ-ნ ბლუმერი ჯერ იმასა სცდილობს დააჯეროს მკითხველი, რომ მე ამ საქმეში გაწაფული, გაჩარხული კაცი ვარო, ყოველივე შიგნითი ტიკი კავკასიაში ავაზაკობისა კარგად ვიციო, მისი ალიან-ჩალიანი კარგად შეტყობილი მაქვსო და სხვანი და სხვანი. ამისი უტყუარი საბუთებიც მოჰყავს. მაგალითებრ, იგი გვიამბობს, რომ შვიდნახევარი წელიწადი სპარსეთში ვემსახურებოდი და იქ შემხვედრია ზოგიერთნი კავკასიის ავაზაკნი, თვით სახელ-განთქმული ქარიმაც — კი გავიცანიო. გვიამბობს, რომ დიდ პატივშია ქარიმა სპარსეთში. დიდის ამალით დასეირნობს და ღენერლის ხარისხს იჩემებსო. ერთხელ ქარიმამ მთელის ამალით გამაცილა თავაზიანად და ცოტა შანძილი რომ გავიარეთ, თავაზიანადვე გამომეთხოვაო. ბევრი რამ მიამბო ქარიმამ თავისი თავ-გადასავალი კავკასიაში და სხვათაშორის მითხრა, ერთი ამბავიო. ერთხელ უთქვამს ქარიმას, ყაზახებმა ერთს ადგილას მომამწყვდიეს, მე გავუძვერი ხელიდან და ერთის ბოქაულის სახლს მივატანეო. კარებში იარაღი ავიყარეო და თამამად და უშიშრად სტუმრად ვეწვიე ბოქაულსაო. ბოქაულმა ვერ გაბედა დაჭერა ქარიმასი, რადგანაც ამით უღალატებდა ჩვეულებას აღმოსავლეთის ხალხისას, რომელსაც სტუმარი ხელშეუხებელ კაცად მიაჩნიაო. უმატებს თვითონ ბ-ნი ბლუმერი.

რამოდენად დასაჯერია ეს დაუჯერებელი და უცნაური ამბავი — ეგ ბ-ნმა ბლუმერმა და „ნოვოე ვრემიამ" ჩვენზე კარგად უნდა იცოდეს და თუ მართალია, მართლა, რომ დიდი ბოღაზი უპოვნია ბ-ნ ბლუმერს ავაზაკობის საქმის ცოდნისა ჩვენში, თუ თქვენც იტყვით მკითხველო, და მოდით და ამის შემდეგ ნუ იტყვით. რომ ბ-ნი ბლუმერი ზედ-მიწევნილი ცოდნეა აქაური ავაზაკობისა. თუმცა მარტო ეს ამბავიც საკმაოდ გვარწმუნებს ჩვენ, რომ ბ-ნი ბლუმერი შიგ გულ-ღვიძლში ჩასწვდენია ჩვენებურ ავაზაკობას, მაგრამ უფრო მეტის დარწმუნებისათვის სხვა ამბავიც მოჰყავს, რომელიც არა ნაკლებ პირველ ამბავზე გვამცნევს — რომ ბ-ნ ბლუმერს ჭა სიბრძნისა ავაზაკობის შესახებ სრულად ამოუწურავს.

იგი გვიამბობს, რომ ჩემს დროსაო სპარსეთის ჯარში განწესდა ვიღაც მირზა კ-ევიო. ეს ვიღაც მირზა წინად კავკასიაში მსახურებდა ბოქაულად, თუ ბოქაულის თანაშემწედა, დაბადებულა და მთელი თავისი სიცოცხლე რუსეთში გაუტარებიაო. ამისდამიუხედავად, იგი მუსულმანის ცხარე ფანატიკოსად დარჩაო. მე რომ სპარსეთიდან წამოვედიო, სამ წელიწადს შემდეგ იგი მირზა გარდაიცვალაო. ერთხელ როგორღაც სასაუბროდ შევხვდიო, ლაპარაკი კავკასიაში ავაზაკობის შესახებ დავიწყეთო და მე ვუთხარიო: პოლიცია რად არის ასე უღონო კავკასიაში, რომ აი რვა წელიწადია, რაც იბრძვის და ვერას გამხდარა ქარიმასთან ამ ერთად-ერთს კაცთანაო.

აი, უპასუხნია ხსენებულ მირზას: „საქმე ხომ წასულია, მე რუსეთში აღარ დავბრუნდები, თუმცა არავინ დამიშლისო, რადგანაც იქიდამ გამოქცეული არა ვარო. თქვენ მეკითხებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარიმას რატომ ვერა აუტეხე რა, მაშ ყური მიგდეთ: როცა ქარიმა მეგულებოდა ერთს სადმე ადგილას, მე სხვა ადგილისაკენ გავქანდებოდი ხოლმე, ის მარჯვნივ წავიდოდა, მე განგებ მარცხნივ გავრბოდი. აბა რად გავცემდი ჩემ რჯულის კაცს და თქვენ სხვა რჯულის კაცს ხელში რად ჩავუგდებდიო. თქვენ ვინა გთხოვათ, რომ მოხვედით და ჩვენი ქვეყანა ძალით დაიჭირეთ. ჩვენ უთქვენოდ უფრო კარგად გვეცხოვრებოდაო".

ამისთანა აბდა-უბდები არა ღირდა, რომ ასე ვრცლად ამოგვეწერა, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რა გზით ცნობილობენ აქაურობას ზოგიერთნი პუბლიცისტები „ნოვოე ვრემიას" ლილიხანისანი და რა ჭკუის საგზალით ეკიდებიან იმისთანა რთულს და მწვავე საჭირ-ბოროტო საქვეყნო საქმეს, როგორიც თუნდ ავაზაკობაა სხვა რომ არა ვთქვათ რა.

ახლა იკითხავთ: ბ-ნი ბლუმერი რად გარჯილა, რომ ეს აბდა-უბდა გვიამბო? უსათუოდ ჯერ იმიტომ, რომ გვანიშნებს, აი რა უტყუარი და ჭეშმარიტი გზით შემისწავლია კავკასიის ავაზაკობის საქმე სპარსეთში და მერე იმიტომ, რომ რაკი ასეა, ჩემისთანა მცოდნეს სიზმარიც დაეჯერებაო. რაკი ეს ორივე საქმე შეასრულა, თავისი სიზმარიც გამოგვიცხადა: ყოველი ამის მიხედვით, მეც ვემოწმები „ნოვოე ვრემიას" და თანავუგრძნობო, რომ კავკასიის პოლიციას, ძირეულად შეცვლა უნდაო. როგორ გგონიათ, რა ძირეულ შეცვლას გვირჩევს? იქნება გეგონოთ, რომ აქ ბ-ნი ბლუმერი მართლა და რაიმე ძირეულს ცვლილებას ჩაჰკიდებს ხელსა, თვით პოლიციის აგებულების კარგსა და ავს განიშნებთ, ან ამ და ან იმ საპოლიციო შინაგან სისტემაზე დაგიწყებთ ლაპარაკსა! ნურას უკაცრავად ყოველ ამას მეტის გარჯა უნდა ჭკუისა და გონებისა, მეტი ცოდნა, ვიდრე იგი, რაც გამოუწურავს ბ-ნ ბლუმერს იმ ორის სასაცილო ამბისაგან, რომელიც გაუგონია ქარიმასა და ვიღაც მირზასაგან.

ბ-ნი ბლუმერი ბევრს არას აციებს და აცხელებს, იგი მოკლედ სჭრის და ადვილად სცვლის ძირეულად პოლიციას. რაკი ამისთანა ამბები აუგია ბურჯად თავისის აზრისა, ადვილად გაუთვალისწინებია წამალიც. იგი ამბობს, — მე მთლად თანავუგრძნობ „ნოვოე ვრემიას", რომ კავკასიის პოლიციაში არც ერთი თანამდებობა არ უნდა მიეცეს არც ერთს იქაურ თესლის კაცსაო და ამ სახით კაცების ცვლა პოლიციის ძირეულ ცვლად დაუსახავს. ვთქვათ, ბ-ნი ბლუმერს მიეტევოს, რომ ვერ გაურჩევია, რომ ერთია ძირეული ცვლა დაწესებულებისა, როგორიც, მაგალითებრ პოლიციაა, და სულ სხვა ერთის კაცის მაგიერ მეორის დაყენება, მაგრამ როგორ უნდა ეპატიოს ასეთი უვიცობა დიდს გაზეთს სატახტო ქალაქისას? ან როგორ უნდა შეენდოს ამისთანა გაზეთს, რომ ქარიმასაგან და ვიღაც მირზასაგან დაროშვილ ამბავისაგან გამოადნოს კანონად დადება აქაურების გამოყრა სამსახურიდან? ვითომდა ამიერ-კავკასიის მკვიდრთაგანი თვითეულად ცალკე და ყველანი ერთად ნდობის ღირსნი არ არიან და პატიოსნება და ნამუსი იმათთვის ღმერთს არ გაუჩენია. როგორ იკადრა, რა მართებულებამ მისცა ნება, რომ ასეთი სილა მოუდერა ყოველს აქაურ მკვიდრს საერთოდ და ხელ-აღებით ყველას ერთად განურჩევლად შესწამა ორგულობა, კანონისა, სამსახურის ფიცის გატეხა, მოვალეობის ღალატი, სინიდისის დახშვა, ნამუსის ახდა და სხვა ამისი მსგავსნი უკადრისნი და შემაჩვენებელი ბოროტებანი. ესეთი გაუპატიურება მთელის ამიერ-კავკასიისა დიდი თავგასულობაა, სხვა რომ არა ვთქვათ-რა. მერე რა საბუთით? ვიღაც მირზას, სპარსეთში რუსეთიდან გადახვეწილს, რაღაც წამოურაოშავს და დაუყბედნია — მეტი საბუთი-და გნებავთ! ოღონდ დამჯერი იყოს, თორემ ამისთანა საბუთიან საბუთს კაცი დღეში ათას გამოაცხობს ცხელ-ცხელად ისე, რომ ამისათვის სპარსეთშიაც კი წასვლა არ დასჭირდება.

რა თქმა უნდა, ამისთანა ბოროტებანი არც ერთს თესლის ცალკე კაცს ქვეყანაზედ არ დაეფიცება. ავი კაცი ყველგან მოიპოვება კერძოდ. გარნა საერთოდ მთელის ერის მოხვეტა და ერთს ამისთანა მაფრაშაში მოქცევა, ცოტა არ იყოს საგიუეთის მომასწავებელია. თუ ამისთანა საქციელი ეპატიება ბ-ნ ბლუმერს, რომელსაც კავკასიის ავაზაკობა სპარსეთში უკვლევია, სამარცხვინოა იმისთანა კაცთათვის, რომელნიც ჩემულობენ ქვეყნის წვრთნასა ბეჭდური სიტყვითა და მოძღვრებითა. ბეჭდური სიტყვის ასეთი გაფუჭსავატება და გაცულლუტება თავისთავად დიდი დანაშაულია.

(„ივერია", 1897 წ., № 243).

ჰეგელის დაბადების 200 წლისთავისათვის

გ. ჰეგელის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ

გ. ნადარეიშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

მიმდინარე წელს მთელი მოაზროვნე, პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს გ. ჰეგელის დაბადების ორასი წლისთავს. ჰეგელის ენციკლოპედიურმა ცოდნამ, როგორც ცნობილია, მარქსიზმის კლასიკოსების თხზულებებში მაღალი შეფასება დაიმსახურა. მაგრამ მარქსსა და ენგელსს არც ჰეგელის ფილოსოფიის ზოგიერთი რეაქციული მხარე დარჩენიათ შეუმჩნეველი. ეს უკანასკნელი მათ მიერ სასტიკად იქნა გაკრიტიკებული. მაგრამ ძირითადად ჰეგელის ფილოსოფია პროგრესული მოძღვრება იყო.

როგორც ცნობილია გ. ფ. ჰეგელმა პირველად თავის „სამართლის ფილოსოფიაში" წამოაყენა ფილოსოფიური დებულება: „ყოველივე რაც გონიერია, ნამდვილია და ყოველივე რაც ნამდვილია გონიერია"-ო. ჰეგელის ზემოხსენებული დებულება ფ. ენგელსის სიტყვით ჭკუამოკლე მთავრობებმა და ჭკუამოკლე ლიბერალებმა მიიჩნიეს ყოველივე არსებულის გამართლებად, პოლიციური სახელმწიფოს და დესპოტიზმის, მეფის ბრძანებულებას დაქვემდებარებული სამართლისა და ცენზურის ფილოსოფიურ კურთხევად.[1] მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირად იყო ჰეგელის აზრით, ყოველივე, რაც არსებობს, სრულიად არ არის უეჭველად „ნამდვილი". სინამდვილის ატრიბუტი მისი აზრით მხოლოდ იმას ეკუთვნის, რაც ამასთანავე აუცილებელიცაა. „სინამდვილე თავის გაშლაში თავს იჩენს, როგორც აუცილებლობა". მაშასადამე გონიერია ის სინამდვილე, რომელიც ამასთანავე აუცილებელიც არის. ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა გონიერია ანუ გონებას შეესატყვისება იმდენად, რამდენადაც იგი აუცილებელია. არანამდვილია ის საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც განძარცულია ყოველივე აუცილებლობისაგან. არააუცილებელი სინამდვილე მომაკვდავი სინამდვილეა და მის ადგილს ახალი, ცხოველმყოფელი სინამდვილე იჭერს. ჰეგელის აზრით „ყოველივე, რაც კაცობრიობის ისტორიის დარგში ნამდვილია, დროის განმავლობაში უგუნური ხდება, მაშასადამე, იგი უგუნურია თავისი ბუნებით. წინდაწინვე უგუნურებითაა აღბეჭდილი". ფ. ენგელსის მართებული აზრით „თეზისი, რომელიც ყოველივე სინამდვილის გონიერებას აღიარებს, ჰეგელის აზროვნების მეთოდის ყველა წესის მიხედვით მეორე თეზისში გადადის: განადგურების ღირსია ყოველივე, რაც კი არსებობს"[2].

ადამიანთა საზოგადოების დაუსრულებელი განვითარების პროცესში მისი ყოველი საფეხური აუცილებელია და მაშასადამე, ნამდვილიც და გონივრულიც — იმ დროსა და პირობებში, რომლის ნაყოფსაც იგი წარმოადგენს. როდესაც უფრო მაღალ საფეხურს აღწევს საზოგადოების განვითარება ძველი აღარ არის უკვე ნამდვილი, ძველი კვდება და ახალი ხდება „ნამდვილი" ე. ი. აუცილებელი. ჰეგელი სცნობს განსაზღვრული შემეცნებისა და საზოგადოების საფეხურების მართებულობას მოცემულ დროსა და პირობებში. ასე რომ ადამიანის ნააზრევის და მოქმედების შედეგებს მისთვის საბოლოო მნიშვნელობა არა აქვთ. მართალია, ზემოხსენებული დებულებები ჰეგელს ყოველთვის მკაფიოდ როდი აქვს გამოთქმული, მაგრამ ისინი წარმოადგენენ მისი მეთოდის აუცილებელ დასკვნას.

„ჰეგელმა, — წერდა ფ. ენგელსი, — მთელი ბუნებრივი, ისტორიული და სულიერი სამყარო პირველად გამოსახა, როგორც პროცესი, ე. ი. როგორც მუდმივ განვითარებაში მყოფი და შეეცადა ამ მოძრაობასა და განვითარებაში შინაგანი კავშირი გამოემჟღავნებინა"[3]. ცხადია, ჰეგელს მიუხედავად თავისი გენიალობისა და ღრმა ენციკლოპედიური ცოდნისა, არ შეეძლო ბუნებისმეცნიერებისა და საზოგადოებათმეცნიერების წინაშე მდგომ ყველა კითხვაზე ზუსტი პასუხი გაეცა. ჰეგელის უდავო დამსახურება იყო ის გარემოება, რომ მან მოხსნა თავისუფლებისა და აუცილებლობის ანტინომია და მიუთითა, რომ თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა და რომ თავისუფლება საზოგადოების განსაზღვრული განვითარების პროდუქტია, რომ მონობას სათანადო ისტორიულ სიმაღლეზე თავისუფლება შეცვლის. ჰეგელის აზრით ბუნებით და საზოგადოებით განსაზღვ-

---

[1] ფ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. II. თბილისი. 1950. გვ. 434—435.

[2] იხ. ფ. ენგელსი, ციტ. თხზ., გვ. 435.

[3] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი. თბ. 1952, გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ ადამიანში მაინც არის რაღაც განუსაზღვრელი. ადამიანი უსაზღვროების შესაძლებლობაა.

ჰეგელის მიხედვით მსოფლიო ისტორია არის იმ პრინციპის განვითარება, რომლის შინაარსსაც წარმოადგენს თავისუფლების შეგნება[4].

მარქსი და ენგელსი მაღალ შეფასებას აძლევდნენ ჰეგელის დებულებას იმის შესახებ, რომ მსოფლიო ისტორია არის პროგრესი თავისუფლების განვითარებისა, თავისუფლების თანდათანობითი და განუხრელი განხორციელება.

თავისუფლება ისტორიის ისეთი საბოლოო მიზანია, რომლის განსახორციელებლად ადამიანთა გარდა სხვა მასალა არ არსებობს. ადამიანები კი თავისუფლებას აღწევენ სახელმწიფოს, როგორც ღვთაებრივი იდეის (როგორადაც ის არსებობს მიწაზე), ფარგლებში. ხოლო სამართალი არის თავისუფლების რეალური ყოფა, მისი მუნარსი[5].

ჰეგელმა წამოაყენა რა თავისი შეხედულება სახელმწიფოს რაობის შესახებ, მტკიცედ გაილაშქრა ჟ. რუსოს მიერ წამოყენებულ სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულებითი თეორიის წინააღმდეგ.

სახელმწიფო არ არის სახელშეკრულებო ურთიერთობის პროდუქტი. ადამიანების შეგნებული მოქმედების შედეგად სახელმწიფო არ წარმოიშობოდა. ჰეგელის აზრით სახელმწიფოს და სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობა ბუნებრივ-ისტორიული პროცესია. „ნამდვილი სახელმწიფო და ნამდვილი მთავრობა, — ამბობს ჰეგელი, — წარმოიშობა მხოლოდ იქ, სადაც უკვე სახეზეა წოდებრივი განსხვავებულობა", სადაც დიდი სიმდიდრის გვერდით დიდი სიღარიბეც არსებობს და სადაც წარმოიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ უმრავლესობას უკვე აღარ შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები მისთვის ჩვეული ხერხებით[6]. ასე, რომ სახელმწიფო, რომელსაც ჰეგელი ზნეობრივი იდეის და ზნეობრივი სულის განხორციელებად თვლიდა, ნამდვილად სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროდუქტი ყოფილა.

ასევე ქორწინებას თვლის რა ისტორიულ კატეგორიად, ჰეგელი მის წარმოშობას მტკიცედ უკავშირებს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობას. ცხადია, ჰეგელი ქორწინების წარმოშობაში ე. წ. მონოგამური ქორწინების წარმოქმნას გულისხმობს. მისი აზრით მიწათმოქმედებას საგანთა ლოგიკით კერძო საკუთრების წარმოშობამდე მივყავართ. ველური, რომელიც მიწათმოქმედების მეშვეობით ტოვებს მომთაბარე ცხოვრებას, თანდათან მესაკუთრედ იქცევა და მშვიდობას კერძო სამართლის საფარველ ქვეშ ჰპოვებს.

სლავი ხალხების მისამართით ჰეგელი შენიშნავს, რომ ისინი იყვნენ მიწათმოქმედი ხალხები, ხოლო მიწათმოქმედება ბატონებისა და ყმების გაჩენას იწვევსო. ამასთანავე მიწათმოქმედებაში მთავარი როლი ბუნებას ეკუთვნის, ხოლო სუბიექტის მოქმედების და მოხერხებულობის გამოვლენის სფერო აქ შეზღუდულიაო.

ჰეგელის მიხედვით გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს არამარტო ადამიანთა ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიაზე, არამედ მათ საწარმოო საქმიანობაზედაც და ამ უკანასკნელის მეშვეობით ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებზეც. გეოგრაფიული გარემო ერთიანობაშია ხალხის სულთან.

„ისტორიის ფილოსოფიაში" და „სამართლის ფილოსოფიაშიც" ჰეგელი თავის თანამედროვე ეკონომისტებზე უფრო ნათლად მიხვდა იმ გარემოებას, რომ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ქონების ზრდა საზოგადოების ერთი ნაწილის ხელში იწვევს სიღარიბეს მისი სხვა ნაწილისათვის[7].

ჰეგელის აზრით სახელმწიფო წარმოადგენს ადამიანის უმაღლეს მიღწევას, მის მიზანს, და ყველაფერი, რასაც ადამიანი ცდილობს მიაღწიოს თავისი საქმიანობის და მოღვაწეობის სხვა სფეროებში, გამოიყენება ამ მაღალი მიზნის მისაღწევად.

სახელმწიფო, ჰეგელის მიხედვით, წარმოადგენს „ზნეობის" განვითარების დასასრულს, რომელიც იწყება ოჯახიდან და გრძელდება სამოქალაქო საზოგადოებაში.

„ისტორიის ფილოსოფიაში" ჰეგელი ყურადღებას ამახვილებს კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლის საკითხებზე ძველ ბერძნულ სახელმწიფოში, პარტიათა ბრძოლაზე პოლისების შიგნით და მიუთითებს, რომ ეს ბრძოლა იყო საბერძნეთის ეკონომიური განვითარების პროდუქტი. პოლიტიკური პარტიების ბრძოლის სარჩული იყო ეკონომიური. საბერძნეთისა და სპარტის დაცემის მიზეზებს ჰეგელი მათ ეკონომიურ ისტორიაში ეძებს. ლაკედემონის დაცემა ჰეგელის აზრით, ქონებრივმა უთანასწორობამ განაპირობა.

ჰეგელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოს სიდიდეს და მიუთითებდა, რომ კანონები და სახელმწიფოებრივი წყობა „რაღაც სხვად" იქცევიან, როდესაც უზომოდ იზრდება სახელმწიფოს ტერიტორია და მოსახლეობის რიცხვი. სახელმწიფოს სიდიდისათვის არსებობს გარკვეული საზღვარი და

---

[4] Гегель, Сочин., т. VIII, М.-Л., 1935, გვ. 51.

[5] «Das Recht ist das Dasein der Freiheit» იხ. Hegels Leben. Werke und Lehre. Von Kuno Fischer. Zweiter Teil. Heidelberg. 1911. გვ. 690.

[6] Гегель, Сочин., т. VIII, გვ. 82.

[7] იხ. Плеханов. Избранные философские произведения, т. I, Л., 1956, გვ. 437.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცილდება რა ამ ზღვარს, სახელმწიფო შეიძლება დაიშალოს.

სახელმწიფო წყობილება და სახელმწიფოს სივრცე, მოქალაქეთა რიცხვი ერთმანეთის მიმართ შესაბამისობაში უნდა იყვნენ. თითოეული სახელმწიფო ჰეგელის მიხედვით წარმოადგენს განსაკუთრებულ დამოუკიდებელ ინდივიდუალობას. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა წარმოადგენს „ხალხის პირველ თავისუფლებას და ერის უდიდეს ღირსებას". სახელმწიფოს არსებობას, ჰეგელის მიხედვით, უფრო მაღალი დანიშნულება აქვს, ვიდრე პიროვნების არსებობას.

ჰეგელისთვის სახელმწიფო არის „სრული რეალიზაცია სულისა ყოფიერებაში", იგი წარმოგვიდგება, როგორც ზოგადი სუბსტანციონალური საშუალო, რომელშიც ინდივიდები და მათი დაკმაყოფილება ჰპოვებენ და იღებენ თავიანთ აღსრულებულ რეალობას, გაშუალებას და მყარ არსებობას. მისთვის „გონიერია მხოლოდ ის სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფოს იდეას შეესატყვისება". ადამიანს რელიგიურ და ზნეობრივ სფეროში მარტო ავტორიტეტი და ტრადიცია აღარ აკმაყოფილებს. იგი გრძნობს იმის საჭიროებას, რომ შეიცნოს სახელმწიფო, შეიცნოს მისი აზროვნებით გაშუალებული შინაარსი. სახელმწიფო ხელისუფლება ხელოვნურად არ კეთდება, ხოლო ხელოვნურად შექმნილი ხელისუფლება, არ არის სიცოცხლისუნარიანი. ჰეგელის აზრით ისტორიული მხოლოდ ის ხალხები არიან, რომლებიც სახელმწიფოს მქონე იყვნენ. არაისტორიული არიან ის ხალხები, რომელთაც არ ჰქონდათ სახელმწიფო და დამწერლობა. მაგრამ დამწერლობის მქონე, მაგრამ უსახელმწიფო, უკლასო საზოგადოება, ვთქვათ მომავალი კომუნისტური საზოგადოება, ჰეგელის კრიტერიუმის მიხედვით არაისტორიულად უნდა ჩაითვალოს. ჰეგელის მიხედვით მსოფლიო ისტორია სახელმწიფოდან იწყება და სახელმწიფოს გაჭრობასთან ერთად უნდა გაქრეს. მსოფლიო ისტორია არ არის ბედნიერების არენა. ე. წ. ბედნიერების, ჰარმონიის და დაპირისპირებულთა არ არსებობის ეპოქა მსოფლიო ისტორიის ცარიელი ფურცელი იქნებოდა. წინააღმდეგობა ამოძრავებს მსოფლიოს. ჰეგელის აზრით სახელმწიფომ გააერთიანა ოჯახი და სამოქალაქო საზოგადოება. სახელმწიფო ეს არის ნაციონალური ნების ძალა და სიმბოლო.

ჰეგელმა სახელმწიფო გააიდეალა, მაგრამ არა თავისთავად სახელმწიფო, როგორც ასეთი, არამედ მხოლოდ „ეროვნული სახელმწიფო". ეს უკანასკნელი, მისი აზრით, წარმოადგენს ცივილიზაციის „ჭეშმარიტად სულიერ და გონივრულ ელემენტს".

სახელმწიფო ჰეგელის მიხედვით წარმოადგენს სამართლის და მოვალეობის სინთეზს. სახელმწიფო ხელისუფლების უფლებები ამავე დროს მათ მოვალეობებსაც წარმოადგენს.

ჰეგელი სამართალს ათავსებს ობიექტური სულის სფეროში და მის ძირითად განსაზღვრებად დებულობს თავისუფალ ნებისყოფას. თავისუფლება ისეთივე ძირითადი განსაზღვრაა ნებისყოფისა, როგორც სიმძიმე სხეულისა. ამიტომაც სამართალი არის თავისუფალი ნებისყოფის ყოფიერება. ჰეგელისათვის სახელმწიფო და სამართალი, წინააღმდეგ ზოგიერთი ფრანგი განმანათლებლის შეხედულებისა, არ არის ადამიანთა შემთხვევითი ცდომილების შედეგად წარმოშობილი აბსოლუტური ბოროტება. არ შეიძლება აბსტრაქტულად დავუპირისპიროთ ჭეშმარიტება ცდომილებას. ის რაც დღეს ჭეშმარიტებაა, ხვალ ცდომილებად იქცევა. ჰეგელისათვის მოცემული ეპოქის ფილოსოფია, რელიგია და სამართალი, რომელნიც ერთმანეთთანაც იმანენტურად არიან შესისხლხორცებულნი, ცალცალკე და ერთად წარმოადგენენ თავისი დროის ბუნებრივ-ისტორიულ და აუცილებელ პროდუქტს. ჰეგელის მიხედვით მხოლოდ მოცემული რელიგიის დროს შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოებრივი წყობილების მოცემული ფორმა და მხოლოდ მოცემული სახელმწიფოებრივი წყობილების დროს შეიძლება არსებობდეს მოცემული ფილოსოფია და მოცემული ხელოვნება"[8]. დიდ გერმანელ ფილოსოფოსს ეს ურთიერთზემოქმედება ფილოსოფიისა, რელიგიისა და სამართლის, ე. ი. ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეებისა ისე ტრივიალურად არ ესმოდა, როგორც ეს ჩვეულებრივად ესმით საქმეში ჩაუხედავ დილეტანტებს[9]. ცალკეული საზოგადოებრივი მოვლენების ურთიერთზემოქმედება არაფერს არ ხსნის, თუ არ მოინახა ის საერთო წყარო, რაც ხსენებულ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს განაპირობებს. ჰეგელის აზრით „თუ მხოლოდ ურთიერთმოქმედების თვალსაზრისით განიხილავენ შინაარსს და ამაზე შორს არ მიდიან, მაშინ განხილვის ასეთი წესი მართლაც სრულიად მოკლებულია ყოველგვარ ცნებას: მაშინ საქმე გვაქვს მშრალ ფაქტთან. და გაშუალების მოთხოვნა, რომელიც მიზეზობრივი დამოკიდებულების გამოყენების მთავარი მომენტია, კვლავ დაუკმაყოფილებელი რჩება. თუ საკითხს უფრო ახლოს განვიხილავთ, ურთიერთმოქმედების დამოკიდებულების გამოყენების უკმარობა იმით გამოიხატება, რომ ეს დამოკიდებულება იმის მაგიერ, რომ ცნებასათვის ეკვივალენტად იქნას მიჩნეული, თვით, პირიქით, ჯერ გაგებას მოითხოვს".

ხოლო იმისთვის, რომ ეს მოხდეს, ჰეგელის აზრით, ურთიერთმოქმედების დამოკიდებულება, ცალკეული ურთიერთმოქმედი ფაქტორები „უშუალო მოცემულობაში არ უნდა დავტოვოთ", არამედ ვეცადოთ, რომ

---

[8] ფ. ჰეგელი, ისტორიის ფილოსოფია, შესავალი, მესამე გამ. (გერმან.), ბერლინი, 1848, გვ. 66.

[9] გ. პლეხანოვი. ციტ. თხზ. გვ. 425-426.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი საერთო განმსაზღვრელი ფაქტორი — „უმაღლესი მომენტი“ შევიცნოთ, რომელიც „სწორედ ცნებაა“[10]. ჰეგელი მართებულად მიუთითებს, რომ „თუმცა მართალია ურთიერთმოქმედება მიზეზისა და მოქმედების დამოკიდებულების უთუოდ უახლოესი ჭეშმარიტებაა, და იგი, ასე ვთქვათ, ცნების ზღურბლზე დგას, მაგრამ მაინც და სწორედ ამის გამო არ უნდა დავკმაყოფილდეთ ამ დამოკიდებულების გამოყენებით, რამდენადაც საქმე ეხება ცნებებით შემეცნებას“[11].

ჰეგელს მოაქვს ასეთი მაგალითიც: თუ მაგალითად სპარტელი ხალხის ზნე-ჩვეულებას განვიხილავთ როგორც მისი სახელმწიფო წყობილების შედეგს, ხოლო მის სახლემწიფო წყობილებას, პირიქით, როგორც მისი ზნე-ჩვეულების შედეგს, მაშინ განხილვის ეს წესი შეიძლება სწორეც იყოს, მაგრამ „ეს გაგება მაინც არ იძლევა საბოლოო დაკმაყოფილებას, იმიტომ რომ ამით ჩვენ ნამდვილად ვერ შევიცნობთ ამ ხალხის ვერც საეხლმწიფო წყობილებას და ვერც ზნე-ჩვეულებას. დაკმაყოფილებას და ამ შემეცნებას მხოლოდ მაშინ მივიღებთ, როდესაც გავიგებთ, რომ ამ ორ მხარეს, აგრეთვე ყველა სხვა დანარჩენ განსაკუთრებულ მხარეებს, რომელსაც სპარტელი ხალხის ცხოვრება და ისტორია გვიჩვენებს, საფუძვლად უდევს უფრო მნიშვნელოვანი, პირველი მიზეზი და „უმაღლესი მომენტი“. ამ უმაღლესს ჰეგელი ეძებდა, ხალხის სულში. ცხადია, ასეთი პასუხი ვერ დააკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოაზროვნეებს, მაგრამ ერთ რამეში ჰეგელი უთუოდ გენიალური იყო: ზნეობას, სამართალს, პოლიტიკურ წყობილებასა თუ ფილოსოფიას ერთი საერთო წყარო ასაზრდოებს.[12]

ჰეგელს თავისი ეპოქის ფარგლებში მოქცეულს, ჯერ კიდევ არ შეეძლო, მიუხედავად მისი გენიალობისა, ისტორიის განვითარების ნამდვილი მამოძრავებელი კანონების აღმოჩენა. მაგრამ მან გოლიათური ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. მას ბოლომდე არ უთქვამს იმის შესახებ, რომ რევოლუციები ისტორიის მამოძრავებელი ლოკომოტივებიაო, მაგრამ იგი აღტაცებით ლაპარაკობს საფრანგეთის რევოლუციაზე უკვე მოწიფულობის ასაკში. აი რას წერდა ჰეგელი თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“ საფრანგეთში 1789-93 წლების რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებით:

„სამართლის იდეამ, მისმა ცნებამ ერთბაშად მოიპოვა საყოველთაო აღიარება. უუფლებობის ძველ დასაყრდენთ არავითარი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო მისთვის. სამართლის იდეა საფუძვლად დაედო კონსტიტუციას, და ამიერიდან ყოველივე ამ საფუძველს უნდა დაყრდნობოდა. მას შემდეგ, რაც ცაზე მზე ანათებს და მის გარშემო ტრიალებენ პლანეტები, ჯერ არავის უნახავს, რომ ადამიანი თავით დამდგარიყო, ე. ი. აზრს დამყარებოდა, და მისი მიხედვით აეგო სინამდვილე. ანაქსაგორამ პირველმა თქვა, რომ „ნუს“, ე. ი. გონება განაგებს სამყაროსო, მაგრამ პირველად მხოლოდ ახლა მივიდა ადამიანი იმის აღიარებამდე, რომ აზრი უნდა მართავდეს სულიერ სინამდვილეს. ეს იყო მზის დიდებული ამოსვლა. ყველა მოაზროვნე არსება დღესასწაულობდა ახალი ეპოქის დადგომას. უაღრესი აღტაცება მბრძანებლობდა ამ დროს, და მთელი მსოფლიო გაიმსჭვალა სულის ენთუზიაზმით, თითქოს პირველად მოხდა ღვთაებრივი საწყისის შერიგება მსოფლიოსთან“[13].

ასეთი გაბედული აზრის გამოთქმა გასული საუკუნის ოციანი წლების გერმანიაში ჰეგელისაგან მოქალაქეობრივ გაბედულებასაც მოითხოვდა. რაც მთავარია, ფეოდალურ-რეაქციული პრუსიის პირობებში საფრანგეთის რევოლუციისათვის ასეთი მაღალი შეფასება ჰეგელის პოლიტიკური მსოფლმხედველობის პროგრესულ მხარეზე მიუთითებს.

ჰეგელის ფილოსოფიის ნოვატორულ ბირთვს წარმოადგენს მისი დებულება იმის შესახებ, რომ გონიერი და აუცილებელი სინამდვილედ იქცევა. ისტორია საზოგადოებრივი ფორმების გონივრული ცვლილებაა. ისტორიული განვითარების პროცესში სიკეთე ბოროტებად იქცევა და პირიქით. გონება შეიძლება გადაიქცეს თავის საკუთარ წინააღმდეგობად. ასეთ შემთხვევაში საკუთარ წინააღმდეგობად გადაქცეული მოვლენა უნდა მოიხსნას. „რეალობას და იდეალობას ხშირად განიხილავენ როგორც ორ ისეთ განსაზღვრებას, რომლებიც ერთიმეორეს ერთნაირი დამოუკიდებლობით უპირისპირდებიან და ამის შესაბამისად ამბობენ, რომ გარდა რეალობისა, არსებობს აგრეთვე

---

[10] გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია. ნარკვევი. პირველი ნაწილი. ლოგიკის მეცნიერება. თარგმანი გერმანულიდან შ. პაპუაშვილისა. გამოც. „საბჭ. საქართველო“, თბილისი, 1962, § 156, გვ. 336—337.

[11] იქვე.

[12] „არასოდეს ჯერ მას შემდეგ, — წერს ენგელსი, — რაც ადამიანები აზრონვებენ, არ ყოფილა ფილოსოფიის ისეთი ყოვლისმომცველი სისტემა, როგორც ჰეგელის სისტემა. ლოგიკა, მეტაფიზიკა, ბუნების ფილოსოფია, სულის ფილოსოფია, სამართლის, რელიგიის, ისტორიის ფილოსოფია — ყველაფერი თავმოყრილი იყო ერთ სისტემაში, ყველაფერი დაყვანილი იყო ერთ ძირითად პრინციპამდე“. მარქსი და ენგელსი. თხზ. ტ. II, I გამ. გვ. 405—406.

[13] Hegel. Philosophie der Geschichte 1840, გვ. 535. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 129—130.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც იდეალობაც. მაგრამ იდეალობა არის არა ისეთი რაღაც, რომელიც რეალობის გარეთ და გვერდით არსებობს, არამედ იდეალობის ცნება გარკვეული ის არის, რომ იგი არის რეალობის ჭეშმარიტება, ე. ი. რეალობა, დადგენილი იმ სახით, როგორც იგი თავისთავად არის, თვითონაც იდეალობა აღმოჩნდება". ჰეგელის აზრით შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იდეალობას სათანადო პატივს მივაგებთ, თუ ვაღიარებთ მხოლოდ იმას, რომ რეალობით არ თავდება ყველაფერი და მის გარდა კიდევ იდეალობაც ვცნოთ. „ამგვარი იდეალობა, რეალობის გვერდით ან თუგინდაც მასზე მაღლა მდგომი, ფაქტიურად მხოლოდ ცარიელი სახელწოდება იქნებოდა"[14]. ჰეგელს მოაქვს ასეთი მაგალითიც: როდესაც ცეზარმა ხელთ იგდო სახელმწიფო ხელისუფლება, ამით მან დაარღვია რომის ძირითადი კანონები. ასეთი მოქმედება, ცხადია, რომის კანონებით დანაშაულობად ითვლებოდა. ცეზარის მოწინააღმდეგეები კი პირიქით კანონის ნიადაგზე იდგნენ. მაგრამ კანონი, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავდნენ ისინი, ჰეგელის სიტყვით იყო „მხოლოდ ფორმალური სამართალი, მოკლებული ცოცხალს სულს და ღმერთების მიერ მიტოვებული". დრო მოითხოვდა რომში რესპუბლიკური მმართველობის მოხსნას. ცეზარს სურდა ყოფილიყო რომის ერთმმართველი. ეს იყო მისი პირადი, ეგოისტური მიზანი, მაგრამ ასეთი იყო აგრეთვე ისტორიული აუცილებლობაც: რესპუბლიკა პრინციპატს უნდა შეეცვალა. ცეზარის გენიალური პატრიოტიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ მისი პირადი ინტერესები რომის სახელმწიფოს ინტერესებს ემთხვეოდა.

ისტორიული გმირები ჰეგელისათვის არიან სახელმწიფოსა და საზოგადოების ძველი სუბსტანციურ საწყისებზე ხელის ამმართველნი. ისინი ცხადდებიან დანაშაულებად და იღუპებიან ახალი იდეების განხორციელებისთვის ბრძოლაში. რამდენადაც ახალი პრინციპები ძველს ეწინააღმდეგებიან და ამ უკანასკნელის დანგრევას გულისხმობენ, ხსენებული გმირები წარმოგვიდგებიან კანონების დამრღვევებად. ინდივიდუალურად ისინი იღუპებიან სასჯელის მახვილით, მაგრამ სასჯელს შეუძლია მოსპოს ინდივიდუმი და არა პრინციპი. ეს უკანასკნელი მოგვიანებით ისევ განაგრძობს თავის გზას, სანამ სხვა ფორმით არ იპოვის თავისი მიზნის განხორციელების გზას. ისტორიულად აუცილებელი მიზნის და პრინციპის განხორციელება მხოლოდ მაშინ შეიძლება რომელიმე საშუალებით, როდესაც მიზნის განხორციელებამდე თვითონ საშუალება მთლიანად გაჟღენთილი იქნება მიზნით. სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ ჰეგელისათვის მიზანი და საშუალება ერთიანია.

ჰეგელის აზრით კერძო საკუთრება ისტორიაში პროგრესის წყაროა. საერთო საკუთრება საზოგადოებას მხოლოდ ზიანს მოუტანს და ადამიანთა ქონებრივი თანასწორობაც არ იქნებოდა სიკეთის წყარო. კერძო საკუთრებასა და საერთო საკუთრებას შორის ბრძოლა რომში ჰეგელისათვის კარგად არის ცნობილი და მისი აზრით კერძო საკუთრება უფრო გონივრულ მომენტებს შეიცავს ვიდრე საერთო. ჰეგელი საკუთრებას განიხილავს, როგორც აბსოლუტურ მიზანს, ვინაიდან მისი აზრით, — ადამიანი, როგორც პიროვნება მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, როდესაც მას საკუთრება გააჩნია[15]. ჰეგელი, ისევე როგორც 1793 წლის „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის" ავტორები, თვლის, რომ საკუთრება ადამიანის, როგორც პიროვნების, განუსხვისებელი უფლებაა. ამიტომაც იგი მორალური ღირებულებაცაა, მიწების ან საერთოდ ქონების თანაბაოი ოდენობით განაწილება ჰეგელს არ მიაჩნია რომელიმე პრობლემის გადაწყვეტად. ასეთი აქცია მისი აზრით იქნებოდა „ცარიელი და ზედაპირული განსაჯადობის" პროდუქტი. ჰეგელის ეპოქის გერმანიაში ფეოდალიზმი ჯერ კიდევ ძლიერი ძალა იყო და ამიტომაც ფილოსოფოსი ენერგიულად გამოდის შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ. იბრძვის რა საკუთრების ფეოდალური ფორმების წინააღმდეგ და კაპიტალისტურ კერძო საკუთრების განსამტკიცებლად, ჰეგელმა ბურჟუაზიული საკუთრების უარყოფითი მხარეების დანახვა ვერ შეძლო. მაგრამ მოცემული მომენტისათვის ბურჟუაზიული კერძო საკუთრება უთუოდ პროგრესული იყო დრომოჭმულ ფეოდალურ საკუთრებასთან შედარებით. იხილავდა რა საფრანგეთის რევოლუციის მნიშვნელობას, ჰეგელმა კარგად შენიშნა, რომ ძველი რეჟიმის კრახი საფრანგეთში გამოწვეული იყო ფეოდალურ ურთიერთობათა მთელი სისტემით, რომელიც თავისუფალ კერძო საკუთრებას განვითარების საშუალებას არ აძლევდა. საკუთრების ისტორიულად უფრო მაღალმა ფორმამ მოხსნა უფრო დაბალი.[16]

თვით ჰეგელისავე სიტყვებით ფილოსოფიას ხომ ყოველთვის აგვიანდება გვასწავლოს, თუ როგორი უნდა იყოს მსოფლიო. როდესაც იღვიძებს რეფლექ-

---

[14] ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, § 96.

[15] Гегель, Сочинения, т. VII, Философия права, М.-Л., 1934, გვ. 76-77.

[16] „მოხსნა" aufheben ჰეგელთან ძველის მთლიანად მოსპობას არ ნიშნავს. იგი არის ძველის დაცვაც ახალში. ამ უკანასკნელში ძველი დაცულია მოხსნილი სახით. გერმანულ ენაშიც მას ასეთი ორმაგი მნიშვნელობა აქვს: მოსპობისა და დაცვის ამ გარემოებაში ჰეგელი ხედავს გერმანული ენის „სპეკულატურ სულს", რომელმაც მარტოოდენ განსჯის „ან-ან" ფარგლები დასტოვა". ჰეგელი. ლოგიკის მეცნიერება. § 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია, ეს იმის ნიშანია, რომ განსაზღვრულმა ისტორიულმა ფორმამ უკვე მოსჭამა თავისი დღენი. მინერვას ჭოტები მხოლოდ მიმწუხრზე გამოჩნდებიან ხოლმე. ამიტომაც ვერც ჰეგელი გვაძლევს მისი დროისათვის პროგრესული, მაგრამ საერთოდ მომაკვდავი ბურჟუაზიული წყობილების და კაპიტალისტური კერძო საკუთრების კრიტიკას. ფეოდალურ საოჯახო საგვარეულო საკუთრებაში ფილოსოფოსი ხედავს პრინციპს, რომელიც საერთოდ პიროვნების უფლებას ეწინააღმდეგება. ჰეგელი ემხრობა უპირობო, სრულ ბურჟუაზიულ კერძო საკუთრებას. მისი ფილოსოფიის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე ჰეგელს შეეძლო ეთქვა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება თავის წიაღში წარმოშობს თავის საკუთარ წინააღმდეგობასო[17]. მაგრამ ეს მას არ გაუკეთებია. მან ამ შემთხვევაში თავისი დიალექტიკა მიმართა არა მომავლისაკენ, არამედ წარსულისაკენ. ეს განსაკუთრებით ითქმის ჰეგელის მოღვაწეობის ბოლო წლებზე, როდესაც ფილოსოფოსმა გადასინჯა თავისი ადრინდელი რევოლუციური პოლიტიკური შეხედულებები.

ერთხანს ჰეგელი აღტაცებულიც კი იყო საფრანგეთის რევოლუციით. იგი მას ახალი ისტორიის ცენტრალურ მოვლენადაც კი თვლიდა. უფრო მოგვიანებით ჰეგელი საფრანგეთის რევოლუციასთან შედარებით უპირატესობას აძლევდა რეფორმაციას, რომელმაც გერმანიას ააცილა რევოლუციის უკიდურესობანი. ჰეგელი, როდესაც იგი ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, ილაშქრებდა პრუსიის სამეფოში არსებული წესწყობილების წინააღმდეგ და თვლიდა, რომ გერმანია „უკვე აღარაა სახელმწიფო“-ო. ყოყოჩა პრუსიელებზე კი ამბობდა, რომ მათ სხვა ხალხები „ისტორიის ირონიით“ დასჯიანო. ჰეგელი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი პრუსიის სახელმწიფოს უკვე გონებრივ საწყისებზე აგებულად თვლის, ხოლო ფრიდრიხ II-ს დროის კონსტიტუციურ მონარქიას ნამდვილად და გონივრულად. ჰეგელის იდეალი სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც არ ბატონობს მონარქის ან მისი სატრაპების თვითნებობა. დესპოტი თვითონაც არ შეიძლება იყოს თავისუფალი ადამიანი. რა თქმა უნდა, თეორიულად ჰეგელი უშვებს, რომ პრუსიის სახელმწიფოც შეიძლება დროთა ვითარებაში გახდეს „არანამდვილი“ და არაგონივრული. ხოლო „არანამდვილი“ და არაგონივრული აუცილებელმა და გონივრულმა უნდა შესცვალოს. როდესაც პიროვნება და სახელმწიფოს მოცემული ფორმა ერთმანეთთან ჰარმონიაში მოდიან, ისინი თავიანთ თავს მუდმივად წარმოიდგენენ, მაგრამ აბსოლუტური იდეა თავის წინსვლას არ აჩერებს. ჰეგელი სახელმწიფოზედაც ავრცელებს დებულებას, რომ თავისუფლებას ხანგრძლივი შრომით უნდა მოპოვება. მართალია სახელმწიფო ღვთაებრივი იდეის ამქვეყნიური სახეა, მაგრამ იგი ყოველთვის როდია ამ იდეის სრულყოფილი გამოხატულება.

ჰეგელმა კონსტიტუციურ მონარქიაში ჰპოვა ახალი დროის პოლიტიკური სიბრძნის ნაწარმოები და თანაც ისეთი, სადაც სახელმწიფოს იდეამ თითქოს მიიღო თავისი აბსოლუტური ფორმა. ამის შესახებ ჰეგელი ლაპარაკობს თავისი „სამართლის ფილოსოფიის“ 273-ე და 274-ე პარაგრაფებში.

შეიძლება თუ არა ამის საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნა, რომ ჰეგელმა წამოაყენა კონკრეტული და განსაზღვრული იდეალი სახელმწიფო წეს-წყობილებისა? თვითონ ფილოსოფოსი მისი დებულების ასეთი გაგების წინააღმდეგი იქნებოდა. ლიტერატურაში ჰეგელის შესახებ ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ და ჰეგელიც დაუმსახურებელი კრიტიკისა და განქიქვების საგანი ხდებოდა.

ჰეგელის აზრით კი კონსტიტუციური მონარქია არის აბსოლუტური, უსაზღვრო ფორმა ხელისუფლებისა, რომელმაც რეალურ ცხოვრებაში შეიძლება მიიღოს სულ სხვადასხვა შინაარსი. ამიტომაც a priori შეუძლებელია აბსოლუტურად იდეალური კონსტიტუციის დაწერა. აბსოლუტურად ვარგისი ე. ი. ყველა ხალხისა და ყველა დროისათვის გამოსადეგი კონსტიტუცია არ არსებობს. თითოეული ცალკე აღებული კონსტიტუცია ხალხის ცხოვრების, ხალხის თვითშეგნებისა და სულის ნაყოფია.

ამიტომაც ნაპოლეონ I მიერ დაპყრობილი ხალხებისთვის შეთითხნილ კონსტიტუციას არავითარი წარმატება არ ჰქონია ცხოვრებაში.

კონსტიტუციური მონარქია, როგორც უსაზღვრო ფორმა სახელმწიფო წესწყობილებისა, გამორიცხავს სახელმწიფოს მმართველობის ფორმების მონარქიად, არისტოკრატიად და დემოკრატიად დაყოფას. ამ უკანასკნელს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ანტიურ საბერძნეთსა და რომში, სადაც ხელისუფლება წარმოდგენილი ჰქონდათ მხოლოდ თავის სუბსტანციონალურ ერთობაში და მისი შინაარსობრივი მომენტები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შემეცნებული.

ამიტომაც მათ ხელისუფლების ცალკეულ სახეებს შორის განსხვავება მხოლოდ გარეგნულად ესმოდათ იმის და მიხედვით, თუ რა რაოდენობის მოქალაქეების ხელში იყო ძალაუფლება. თუ მთელი ძალაუფლება ერთს ეკუთვნოდა მონარქია იყო, თუ რამდენიმეს — არისტოკრატია, თუ მრავალს — დემოკრატია. ჰეგელის აზრით მის თანამედროვე კონსტიტუციურ მონარქიაში ანტიური სახელმწიფოთა სამივე ფორმა ერთი სახელმწიფოს

[17] ახალგაზრდა ფრ. ენგელსი გრებერისადმი მიწერილ წერილში წერდა: „მე ვიზეპირებ ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიას“, ამ კოლოსალურ ნაწარმოებს; ყოველ საღამოს მე სისტემატურად ვკითხულობ მას. მისი ტიტანური იდეები უცნაურად მიზიდავენ მე. (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. II), გვ. 550—551 (I გამოც.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესწყობილების მომენტებად იქცა. მონარქი — ერთია. ადმინისტრაციული აპარატი — რამოდენიმე, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლებაში მრავალნი მონაწილეობენ. ამასთანავე კონსტიტუციურ მონარქიაში გარდა ხელისუფლების მქონეთა რაოდენობრივი მხარისა ძალაუფლება შეცნობილია და განსხვავებულია მის თვისობრივ მომენტებშიც. ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა შორის არა მარტო ის განსხვავებაა, რომ ისინი სხვადასხვა რაოდენობის პირთა მეშვეობით ხორციელდება, არამედ თვისობრივიც: ისინი ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციას ახორციელებენ.

კონსტიტუციურ მონარქიაში ჰეგელის აზრით, სახეზეა ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმა წყობილებისა, სადაც ხელისუფლება სრულ ფუნქციონალურად დანაწილებას და ერთობასაც აღწევს. კონსტიტუციური მონარქია ჰეგელისათვის აუცილებელი და „ნამდვილი" სახელმწიფოებრივი ორგანიზმია[18].

ჰეგელი აბსოლუტური იდეის კონკრეტიზაციას ხედავდა ხალხის სულში, რომელშიაც პოულობდა კანონების, სახელმწიფო დაწესებულებების, რელიგიის, ხელოვნების და ფილოსოფიის ერთიანობას. მისი აზრით აბსოლუტური არის სული და ამასთან სული დიალექტიკური, რომელიც მუდმივი განვითარების პროცესშია. ეს მუდმივი განვითარების პროცესის იდეა იყო პროგრესული ჰეგელის ფილოსოფიაში.

ჰეგელი შეეცადა გამოენახა პარალელი და შინაგანი კავშირი ლიგოკასა და ისტორიას შორის ე. ი. საგნის თეორიასა და საგნის განვითარების პროცესს შორის, ხოლო ცნების დიალექტიკაში გენიალურად შეამჩნია განვითარებადი სამყაროს რეალური სურათი. მიუხედავად ჰეგელის პოლიტიკური ფილოსოფიის წინააღმდეგობისა და მისი კონსერვატული მხარეებისა საერთოდ აღებული ჰეგელის ფილოსოფია იყო ახალი და უფრო პროგრესული ეტაპი ჭეშმარიტების შემეცნების პროცესში.

---

[18] H. Klenner. Hegel und Klassencharakter des Staates. Deutsche Zeitschrift für philocophie. 1956, à 5-6, S. 642–648.

А. Градовский. Гегель. ЖМНП, 1870, № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წიგნი მუშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მ. ბაღათურიას წიგნი ადგილობრივი საბჭოების შესახებ.[1]

აღნიშნულ წიგნში მ. ბაღთურიამ თავი მოუყარა და სისტემაში მოიყვანა უამრავი ფაქტობრივი მასალა და საკანონმდებლო აქტი ადგილობრივი საბჭოების უფლება-მოვალეობისა და პრაქტიკული მოღვაწეობის შესახებ.

სარეცენზიო წიგნი შედგება ათი თავისა და 19 პარაგრაფისაგან. აქ განხილულია ადგილობრივი საბჭოების ყველა საკითხი, მათი შექმნის პრინციპები, სტრუქტურა და ფუნქციები, მუშაობის ფორმები და მეთოდები, დეპუტატისა და მუდმივი კომისიების უფლება — მოვალეობანი, არჩევნების ჩატარების ორგანიზაცია და სხვ.

ყველა საკითხი შესწავლილია ღრმად, მეცნიერების დღევანდელ დონეზე, პარტიისა და მთავრობის ახალ გადაწყვეტილებათა გათვალისწინებითა და მოქმედი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

წიგნში მოტანილია მრავალი ფაქტი ადგილობრივი საბჭოების დადებით და უარყოფით მუშაობაზე; ფორმულირებულია საყურადღებო წინადადებები არსებული ნაკლის გამოსასწორებლად და მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის.

მოვიტანთ მხოლოდ ორ მაგალითს: ავტორი აღნიშნავს თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაყოფიერ მუშაობას, რომლებიც დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ადგილობრივ საბჭოებს. აქვე ავტორი წერს: „ზოგიერთი აღმასკომი ქმნის ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთაც არავითარი პრაქტიკული სარგებლობა არ მოაქვთ. დროა სათანადოდ გავერკვეთ საბჭოების „საზოგადოებრივ მეურნეობაში“, „უკუვაგდოთ ზედმეტი, მოდის სასარგებლოდ შექმნილი, მხარი დავუჭიროთ ყოველივე ახალს, რომელიც, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, მართლა „კომუნისტურია“. ნათლად უნდა განისაზღვროს ადგილობრივი საბჭოების შტატგარეშე განყოფილების შექმნის წესი, მათი წახალისებისა და პასუხისმგებლობის ფორმები. საჭიროა რესპუბლიკური დებულებები მოსახლეობის ახალი თვითმოქმედი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ მათ უფლებებს, მოქმედების სფეროს“ (გვ. 169).

წიგნში ცალკე თავი აქვს დათმობილი ადგილობრივი საბჭოების სესიებს. ეს გასაგებია, რადგან სესია საბჭოს მუშაობის ძირითადი ფორმაა, მხოლოდ სესიებზე მიიღება გადაწყვეტილებანი საბჭოების სახელით. პარტია მოითხოვს სესიების მოწვევის ვადების ზუსტად დაცვას, სესიებზე განსახილველი საკითხების წრის გაფართოებას. საბჭოებმა სისტემატურად უნდა განიხილონ სესიაზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები.

საბჭოების მუშაობაში უნდა დაიცვათ საჯაროობის ლენინური პრინციპი. საბჭოები, ამბობდა ლენინი, — „ეს არის ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს მასის თვალწინ აკეთებს, მასისათვის ხელმისაწვდომია, უშუალოდ მასიდან არის გამოსული, ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანოა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 287). საბჭოს აღმასკომმა, ამბობს მ. ბაღათურია, უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ მარტო დეპუტატებმა კი არა, მოსახლეობის ფართო წრეებმაც იცოდნენ რა საკითხებს განიხილავენ და რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ მათ მიერ არჩეული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. აღმასკომები მოუწოდებენ ამომრჩეველს გამოთქვან შენიშვნები და შეიტანონ წინადადებები სესიაზე განსახილველ საკითხებზე.

ავტორს მაგალითად მოაქვს გეგეჭკორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის მეშვიდე სესიის მუშაობა. ამ სესიამ (1968 წლის 29 მარტი) განიხილა საკითხი „რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონების გატარების ღონისძიებათა შესახებ“. რაიონული საბჭოს აღმასკომმა 25 დღით ადრე აცნობა ამომრჩეველს სესიის დღის წესრიგი და სთხოვა მათ თავიანთი წინადადებებისა და შენიშვნების შემოტანა. შემოვიდა 81 საქმიანი წინადადება, სესიის მომზადებასა და საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის იუნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სა-

---

[1] **მ. ბაღათურია**, „ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზაცია“, თბილისი, 1969 წ., 280 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმა პროფესორმა (ვ. აბაშმაძე, გ. ერემოვი, ნ. ლომსაძე), რომლებმაც სესიის გახსნის წინა დღეში სასოფლო საბჭოებში ჩაატარეს საუბრები, მოაწყვეს კითხვა-პასუხის საღამოები, რაიონულ გაზეთში მოათავსეს ვრცელი სტატია „სოციალისტური კანონიერება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის საწინდარია“, მონაწილეობა მიიღეს ლეხაინდრაოს სასოფლო ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში.

მუშაობის ასეთი მეთოდი, ამბობს ავტორი, ფართოდ არის დანერგილი მახარაძის, მაიაკოვსკის, ქუთაისის, გორის, რუსთავისა და რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონსა და ქალაქში. მაგრამ „ზოგიერთ შემთხვევაში სასოფლო საბჭოს სესიაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება საკითხის ყოველგვარი განხილვის გარეშე“ (გვ. 43). გვხვდება მაგალითები, როცა დეპუტატები ნაკლებ ინიციატივას იჩენენ საკითხის განხილვაში. ზოგიერთ შემთხვევაში დეპუტატის სიტყვა სესიაზე თვითანგარიშის ხასიათს ატარებს.

არის შემთხვევები, როდესაც სესიაზე ერთი და იგივე დეპუტატები გამოდიან. ეს იმას მოწმობს, რომ ყველა დეპუტატი სათანადოდ არ ემზადება სესიისათვის. დეპუტატი, როცა სესიისათვის ემზადება, აუცილებლად უნდა ეწვიოს თავის ამომრჩევლებს, რჩევა ჰკითხოს მათ, გაიგოს მათი აზრი განსახილველ საკითხებზე, რა შენიშვნები და წინადადებები აქვთ და ა. შ.

თუ დეპუტატი სესიაზე სიტყვით ვერ გამოვა (როცა სიტყვაში ჩაწერილთა რიცხვი ძალიან დიდია), მას შეუძლია თავისი შენიშვნები და წინადადებები წერილობით შეიტანოს. ასეთივე შესაძლებლობა აქვს ყველა დეპუტატს, რომელიც არ ჩაწერილა კამათში.

მ. ბაღათურიას წიგნი იძლევა გარკვეულ პასუხს თუ როგორ უნდა იმუშაოს ადგილობრივი საბჭოების ორგანოებმა თავიანთი მოღვაწეობის ყველა დარგში. წიგნს დამხმარე სახელმძღვანელოს მნიშვნელობა აქვს.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს, აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკებს, საბჭოების მუდმივი კომისიების წევრებსა და ფართო აქტივს.

წიგნში გვხვდება ზოგიერთი უზუსტობანი. მაგალითად, ავტორი წერს: „კომუნიზმის მშენებლობა წარმოებს სახელმწიფოს გაძლიერების გზით, რომლის პარალელურად შეიქმნება საზოგადოებრივი, კომუნისტური თვითმმართველობა“ (გვ. 4).

ასეთი აზრი სხვა საბჭოთა ავტორებმაც გამოთქვეს, მაგრამ ის არ არის ზუსტი. კომუნისტური თვითმმართველობა შეიქმნება და იარსებებს არა სოციალისტური სახელმწიფოს პარალელურად, არამედ უაღრესად ძლიერი სოციალისტური სახელმწიფო თვით გადაიზრდება კომუნისტურ თვითმმართველობად სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების შედეგად.

არც შემდეგი ფორმულირება არის ზუსტი: „ფაქტია, სრული კომუნისტური საზოგადოების აგებას გაცილებით მეტი სიძნელეები ეღობება, ვიდრე სოციალიზმის აგებას“ (გვ. 17). გამოდის, რომ კომუნიზმის პირველი ფაზის აშენება უფრო ადვილია, ვიდრე მეორე ფაზის, რომელიც შენდება გამარჯვებულ სოციალიზმის საფუძველზე.

ავტორი იმეორებს პროფ. გ. ერემოვისა და სხვების არასწორ შეხედულებას, რომ „რევოლუციური კომიტეტები საქართველოს სსრ-ში იყო პროლეტარიატის დიქტატურის დროებითი, გარდამავალი სახელმწიფოებრივი ფორმა, რასაც სხვა სოციალისტურ რესპუბლიკაში ადგილი არ ჰქონდა“ (გვ. 13—14). ეს მოსაზრება საფუძვლიანად გაკრიტიკებულია საბჭოთა ავტორების მიერ (იხ. ვ. მერკველაძის და ლ. თოიძის წერილი, ჟურ. „საბჭოთა სამართალი“, № 4, 1967 წ.).

სარეცენზიო კარგი წიგნის დამძიმება ასეთი არაზუსტი შეხედულებებით, რასაკვირველია, საჭირო არ იყო.

აკ. მენაბდე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, დოცენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო წიგნი[1]

სარეცენზიო შრომა შედგება შესავლისა და ხუთი თავისაგან. მასში განხილულია სოციალისტური სახელმწიფოს არსი, მისი ადგილი და მნიშვნელობა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემაში, მისი მოღვაწეობის მთავარი მიმართულებანი.

წიგნში თანმიმდევრულად და გაშლილად ნაჩვენებია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი საბჭოთა სახელმწიფოში, მისი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მოღვაწეობის ფორმები და მეთოდები სახელმწიფოსადმი ხელმძღვანელობაში, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პარტიის და სახელმწიფოს როლის ზრდას კომუნისტური მშენებლობის პროცესში.

საკითხები განხილულია მარქსისტულ-ლენინური დებულებების, სკკპ დადგენილებების, საბჭოთა კანონმდებლობის და პრაქტიკული მასალების ანალიზის საფუძველზე. თეორიული დებულებები ილუსტრირებულია სათანადო კონკრეტული მაგალითებით.

წიგნში განხილულია სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის რიგი საკითხები, რომლებიც დავას იწვევს ან სათანადოდ არ არის დამუშავებული იურიდიულ ლიტერატურაში. ასე მაგალითად, სამართლებრივ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა განსაზღვრული სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები. ნაშრომში გარკვეულია აღნიშნული ფუნქციის არსი, მისი მოცულობა და მხარეები, მისი ადგილი სახელმწიფოს მოღვაწეობის სისტემაში, ნათლად არის ნაჩვენები, რომ ის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფოებრივ ფუნქციას როგორც სოციალიზმის, ისე კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში. სამართლებრივ ლიტერატურაში (კერძოდ ადმინისტრაციული სახელმწიფოს სახელმძღვანელოში) გვხვდება საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის ცნების ისეთი განმარტება, სადაც ასეთ მმართველობად ითვლება საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების მოღვაწეობა. სარეცენზიო ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული ასეთი შეხედულება და მოცემულია ავტორისეული განმარტება, რომელიც სწორად მიგვაჩნია. საბჭოთა სახელმწიფო მმართველობა განსაზღვრულია როგორც საბჭოების და მისი აღმასრულებელ-განმაკარგულებელი ორგანოების ანუ საბჭოების მთელი სისტემის, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი მექანიზმის მუშაობა. ზოგიერთი ავტორის მიერ გამოთქმულია მოსაზრებანი, თითქოსდა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლებასთან დაკავშირებით და მათზე სახელმწიფო ორგანოების ზოგიერთი ფუნქციების გადმოცემის დროს სახელმწიფო აპარატი ავიწროვებს თავისი მოღვაწეობის სფეროს კულტურის, მშრომელთა მომსახურებისა და იდეოლოგიის დარგში. ასეთი თეორიული მსჯელობის წინააღმდეგ წიგნში გამოთქმულია პრინციპულად საწინააღმდეგო შენიშვნა, გარკვეულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთმოქმედების განვითარების კანონზომიერება. ნაჩვენებია, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება არ ხდება სახელმწიფო აპარატის მუშაობის შემცირების ხარჯზე, რომ ყველა მათი როლი და მნიშვნელობა იზრდება კომუნისტური მშენებლობის მასშტაბების ზრდისა და ამოცანების სირთულესთან დაკავშირებით.

სოციალისტური სახელმწიფოს მმართველობის პრინციპების, მეთოდების და მათი შემდგომი გაძლიერების საკითხების განხილვასთან ერთად წიგნში სათანადოდ გაკრიტიკებულია რევიზიონისტური კონცეფციები სოციალისტურ სახელმწიფოს განვითარების კანონზომიერების, როლისა და მნიშვნელობის შესახებ, ნაჩვენებია მათი უსაფუძვლობა.

სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა მხარესა და სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთმოქმედების განხილვისას ავტორი ყურადღებას აქცევს მუშაობაში არსებულ ამა თუ იმ ნაკლოვანებას და რიგ შემთხვევაში აყენებს საყურადღებო წინადადებებს მათი გამოსწორების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ მონოგრაფიის თემა ავ-

---

* **ხ. ვ. როვავა,** საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966, 242 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორის მიერ აღებულია ძალიან ფართო გეგმით. იგი მოიცავს სახელმწიფო და სამართლის, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციების მრავალ საკითხს, რომლებიც კომპლექსურად არის განხილული.

ნაშრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნები.

საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის, შრომისა და მოხმარების საზომისადმი კონტროლის ფუნქცია ძალიან მოკლედაა განხილული. მას მეტი ადგილი უნდა დათმობოდა.

არასაკმარისად მიგვაჩნია აგრეთვე მსჯელობა საბჭოთა სახელმწიფოს გადაზრდაზე პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოდან საერთო-სახალხო სახელმწიფოში.

ნაშრომის ზოგიერთ გვერდზე ძველი ციფრობრივი მონაცემებია, მიზანშეწონილი კი იყო უკანასკნელი წლების მონაცემების მოტანა. (გვ. 80, 100, 109, 157, 158).

რამდენადმე სადავოდ ვთვლით ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მეურნეობის სახელმწიფოებრივ მმართველობის სფეროდან გამორიცხულია რაიმე იძულებითი მეთოდის გამოყენება (გვ. 64). განსაზღვრული მომენტი ასეთი მეთოდისა არის აქაც. მაგალითად, ცნობილია, რომ ასეთი მმართველობის განხორციელება გულისხმობს სათანადო ორგანოების და საწარმოების მიერ გეგმური მონაცემების შესრულების უზრუნველყოფას. არასაპატიო მიზეზის გარეშე გეგმის შეუსრულებლობის გამო, გეგმიური დისციპლინის დარღვევისათვის ამა თუ იმ სამეურნეო მუშაკის მიმართ მიიღება სათანადო სახელმწიფო სამართლებრივი ზეგავლენითი ზომები.

საფუძვლიანად არ მიგვაჩნია ავტორის მოსაზრება თითქოსდა, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებებს სჭირდებოდეს საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცება. ვთქვათ, რომ საწარმოო თათბირის დადგენილება, როდესაც მას ეთანხმება საწარმოს ხელმძღვანელი, ისედაც სავალდებულოა შესასრულებლად საწარმოს ყველა მუშაკისათვის.

მე-60 გვერდზე ნათქვამია — სამეურნეო საქმიანობა არ მოიცავს საზოგადოებრივ წარმოების ყველა მხარეს. მიგვაჩნია, რომ ამ ფორმულირებას სჭირდება დაზუსტება. აქ სათანადოდ არ არის მხედველობაში მიღებული ის გარემოება, რომ წარმოების მმართველობა განუყოფელია განაწილების მმართველობისაგან. წიგნში ნათქვამია წარმოებრივ მმართველობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის განვითარებისა და საწარმოების უფლების გაფართოებაზე. მაგრამ, ვთვლით, რომ ეს უფლებები საკმარისად არ არის ნაჩვენები. კარგი იქნებოდა დაწვრილებით ყოფილიყო ნაჩვენები საწარმოების უფლებები დაგეგმვის, კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის; ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსების, შრომისა და ხელფასის დარგში.

ნაშრომში ლაპარაკია წარმოების მმართველობაში ეკონომიური მეთოდების შემდგომ სრულყოფასა და მუშაკთა მორალური წახალისების მნიშვნელობაზე, მაგრამ საკმაოდ არ არის ნაჩვენები მათი კონკრეტული სახეები, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმები.

ავტორი განიხილავს საბჭოთა მოქალაქეების უფლების დაცვის იურიდიულ გარანტირებს და მართებულად წერს, რომ საბჭოთა სახელმწიფო ატარებს დიდ ღონისძიებებს მოქალაქეთა უფლებების ინსტიტუტის განვითარების საქმეში, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებებთან ერთად ფართოვდება მშრომელთა უფლებები, მაგრამ ამ უფლებების გაფართოების მაჩვენებელი კონკრეტული მაგალითები ნაშრომის ამ ნაწილში საკმარისად არ არის მოცემული.

საბჭოების როლის ამაღლების საკითხების გაშუქებისას ავტორი აღნიშნავს, რომ ადგილობრივმა საბჭოებმა მიიღეს დამატებითი უფლებები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგების ხელმძღვანელი მუშაკების დანიშვნის საქმეში, მაგრამ არ არის მოტანილი კონკრეტული ფაქტი ამის საილუსტრაციოდ. ვფიქრობთ, რომ ასეთი საჭირო იყო.

ნაშრომში განხილულია და პირველად არის მიჩნეული საერთო საკუთრების დაცვა და შრომისა და მოხმარების საზომისადმი კონტროლი, როგორც ერთი მთლიანი ფუნქცია, რაც ნიშნავს სახელმწიფოს ფუნქციების კლასიფიკაციის ცნებაში მნიშვნელოვანი საკითხის ახლებურად დაყენებას. მაგრამ აქ არ გვხვდება იმ ავტორების თვალსაზრისის მიმოხილვა, რომლებიც სოციალისტური საკუთრების დაცვას თვლიან ცალკე, ერთ-ერთ ძირითად სახელმწიფოებრივ ფუნქციად ან აერთიანებენ მას კანონიერების დაცვის სხვადასხვა მხარეებთან.

გამოთქმული შენიშვნები არ ამცირებენ საარეცენზიო ნაშრომის დადებით ღირსებას.

დოც. ს. სვანიძე

ოფიციალური ფასი 1 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები და ძალაში შევიდეს 1971 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლის წესი და სსრ კავშირის კანონმდებლობა შეუსაბამოს საფუძვლებს.

მუხლი 3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1970 წ. 15 ივლისი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წყობილება. პირველად ექსპლოატატორებისათვის საუკუნეობრივი მონური შრომის შემდეგ მშრომელებმა მიიღეს შესაძლებლობა იმუშაონ თავიანთთვის, თავიანთი საზოგადოებისათვის.

სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირში მთლიანად და სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. სსრ კავშირში შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველია სოციალისტური საკუთრება, რომლითაც დაიწყო მშრომელი ადამიანის უკეთესი ცხოვრებისათვის თავისუფალი შრომის ეპოქა. შრომის განთავისუფლება ექსპლოატაციისაგან, რის გარანტიასაც სოციალისტური წყობილება იძლევა, პიროვნების ნამდვილი თავისუფლების ძირითადი პირობაა.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც არ არიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი, საზოგადოების ყველა შრომისუნარიანი წევრისათვის და ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია შრომის შესაძლებლობა. სსრ კავშირში მოქმედებს სოციალიზმის პრინციპი: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით“, შრომა თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და მორალური ვალია პრინციპით: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“.

სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება ქმნის ადამიანთა მატერიალურ და მორალურ დაინტერესებას ჰქონდეთ შრომის უკეთესი შედეგები, განუწყვეტლივ ავითარებდნენ და სრულყოფდნენ საზოგადოებრივ წარმოებას. სოციალისტური წარმოების ზრდა უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის მტკიცე ბაზას. საბჭოთა სახელმწიფო სრულყოფს შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმებს და ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს მშრომელთა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარებას.

კომუნიზმის აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა მივაღწიოთ უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას, გავზარდოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას მთელ სახალხო მეურნეობაში, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური მომზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განუხრელ ზრდას, მათი შრომის ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის დონის ამაღლებას.

სსრ კავშირში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შეხამებულია მოსახლეობის მთლიან დასაქმებასთან და ხელს უწყობს შრომის ძირეულ შემსუბუქებას, სამუშაო კვირის შემცირებას, მძიმე ფიზიკური და ყოველნაირი არაკვალიფიციური შრომის ლიკვიდაციას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების კვალობაზე საწარმოო საქმიანობაში თანდათან ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ადამიანთა გონებრივი და ფიზიკური შრომა.

უფასო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური განათლება, რომელიც ფართო მასშტაბით ხორციელდება, უზრუნველყოფს სამუშაოსა და პროფესიის თავისუფალ არჩევას საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, შრომის უსაშიშროების პირობების, პროფესიულ დაავადებათა და საწარმოო ტრავმატიზმის ლიკვიდაციის უზრუნველყოფა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.

საბჭოთა საზოგადოებაში მშრომელები მართავენ საწარმოებს, რომლებიც საყოველთაო-სახალხო (სახელმწიფო) საკუთრებაა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და მათ მიერ შექმნილი სახელმწიფო მართვის ორგანოების საშუალებით. წარმოების მართვაში მუშათა და მოსამსახურეთა ჩაბმის საქმეში უდიდეს როლს ასრულებენ პროფესიული კავშირები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად მოქალაქეებს უზრუნველყოფილი აქვთ შრომის თანასწორუფლებიანობა ეროვნებისა და რასის მიუხედავად. სსრ კავშირში ქალს აქვს შრომის, შრომის ანაზღაურების, დასვენებისა და სოციალური უზრუნველყოფის მამაკაცთან თანაბარი უფლებები.

მოქალაქეთა შრომის უფლებებს იცავს კანონი. შრომის უფლებების დაცვას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

კარი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა შრომის კანონმდებლობის ამოცანები

საბჭოთა შრომის კანონმდებლობა აწესრიგებს ყველა მუშისა და მოსამსახურის შრომითს ურთიერთობას, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებასა და ამ საფუძველზე მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განმტკიცებასა და იმას, რომ საზოგადოების საკეთილდღეო შრომა თანდათან გადაიქცეს თვითეული შრომისუნარიანი ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

შრომის კანონმდებლობა ადგენს შრომის პირობების მაღალ დონეს, მუშათა და მოსამსახურეთა შრომის უფლებების ყოველნაირ დაცვას.

მუხლი 2. მუშათა და მოსამსახურეთა ძირითადი შრომის უფლებანი და მოვალეობანი

სსრ კავშირის მოქალაქეთა შრომის უფლება უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდით, სამეურნეო კრიზისების შესაძლებლობის აღკვეთით და უმუშევრობის ლიკვიდაციით.

მუშები და მოსამსახურეები შრომის უფლებას იყენებენ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის შესახებ შრომის ხელშეკრულების დადების გზით. მუშებსა და მოსამსახურეებს აქვთ უფლება დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად მიიღონ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ხელფასი, აქვთ უფლება დაისვენონ სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის განსაზღვრისა და ყოველწლიური ხელფასიანი შვებულების კანონების შესაბამისად, ჯანმრთელობისა და შრომის უსაშიშროების პირობების, უფასო პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის უფასო ამაღლების, პროფესიულ კავშირებში გაერთიანების, წარმოების მართვაში მონაწილეობის უფლება, მოხუცებულობის დროს, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფისა სახელმწიფო სახსრების ხარჯზე სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით.

ყველა მუშა და მოსამსახურე მოვალეა დაიცვას შრომის დისციპლინა, გაუფრთხილდეს სახალხო დოვლათს, შეასრულოს შრომის ნორმები, რომლებსაც ადგენს სახელმწიფო პროფესიული კავშირების მონაწილეობით.

მუხლი 3. კოლმეურნეობათა წევრების შრომის მოწესრიგება

კოლმეურნეობათა წევრების შრომას აწესრიგებენ კოლმეურნეობათა წესდებები, რომლებსაც იღებენ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების საფუძველზე და შესაბამისად, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა, რომელიც კოლმეურნეობებს ეხება.

მუხლი 4. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობაში შედის ეს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის შრომის კანონმდებლობის სხვა აქტები, მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსები და შრომის კანონმდებლობის სხვა აქტები.

ამ საფუძვლებით გათვალისწინებულ საკითხებში მუშათა და მოსამსახურეთა შრომას აწესრიგებს:

სსრ კავშირის კანონმდებლობა;

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა;

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას მუშათა და მოსამსახურეთა შრომის რეგულირების დარგში განსაზღვრავენ ამ საფუძვლების 107-ე მუხლი და სხვა მუხლები.

მუშათა და მოსამსახურეთა შრომის საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ საფუძვლებით, აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 5. შრომის ხელშეკრულებათა იმ პირობების ბათილობა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შრომის კანონმდებლობას

შრომის ხელშეკრულებათა პირობები, რომლებიც აუარესებენ მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობასთან შედარებით, ან სხვაგვარად ეწინააღმდეგებიან ამ კანონმდებლობას, ბათილია.

კარი II
კოლექტიური ხელშეკრულება

მუხლი 6. კოლექტიური ხელშეკრულების დადება და მისი მოქმედება

კოლექტიურ ხელშეკრულებას მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივის სახელით საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან დებს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი.

კოლექტიური ხელშეკრულების დადებას წინ უნდა უძღოდეს მისი პროექტის განხილვა და მოწონება მუშათა და მოსამსახურეთა კრებებზე (კონფერენციებზე).

კოლექტიური ხელშეკრულება ვრცელდება საწარმოს, ორგანიზაციის ყველა მუშასა და მოსამსახურეზე — იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი პროფესიული კავშირის წევრები.

მუხლი 7. კოლექტიური ხელშეკრულების შინაარსი

კოლექტიური ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მოცემული საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულ ძირითად დებულებებს შრომისა და ხელფასის საკითხებში, აგრეთვე ნორმატიული ხასიათის დებულებებს სამუშაო დროის, დასვენების დროის, შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების, შრომის დაცვის შესახებ, რომლებიც შეიმუშავეს ადმინისტრაციამ და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივმა კომიტეტმა მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

კოლექტიური ხელშეკრულება ადგენს ადმინისტრაციისა და მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივის ისეთ ურთიერთ ვალდებულებებს, როგორიც არის საწარმოო გეგმების შესრულება წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, ახალი ტექნიკის დანერგვა და შრომის ნაყოფიერების გაზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, სოციალისტური შეჯიბრების განვითარება, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცება, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და მომზადება უშუალოდ წარმოებაში.

კოლექტიური ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ისეთ ვალდებულებებს, როგორიც არის მუშათა და მოსამსახურეთა ჩაბმა წარმოების მართვაში, შრომის ნორმირების, შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების ფორმების სრულყოფა, შრომის დაცვა, წარმოების მოწინავეთათვის შეღავათებისა და უპირატესობების მინიჭება, მშრომელთა საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის განვითარება.

კარი III
შრომის ხელშეკრულება

მუხლი 8. შრომის ხელშეკრულების მხარეები და შინაარსი

შრომის ხელშეკრულება არის მშრომელთა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შეთანხმება, რომლის შესაბამისად მშრომელი კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს გარკვეული სპეციალობით, კვალიფიკაციითა თუ თანამდებობით სამუშაო, ამასთან დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს, ხოლო საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას მშრომელს გადაუხადოს ხელფასი და უზრუნველყოს შრომის პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებითა და მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 9. გარანტიები სამუშაოზე მიღების დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკრძალულია დაუსაბუთებელი უარი სამუშაოდ მიღებაზე.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად დაუშვებელია სამუშაოზე მიღების დროს უფლებების, როგორიც უნდა იყოს — პირდაპირი თუ არაპირდაპირი, შეზღუდვა ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობის მიცემა სქესის, რასის, ეროვნებისა და რელიგიისადმი დამოკიდებულების გამო.

მუხლი 10. შრომითი ხელშეკრულების ვადა

შრომითი ხელშეკრულებანი დაიდება:

1) განუსაზღვრელი ვადით;

2) განსაზღვრული ვადით არა უმეტეს სამი წლისა;

3) გარკვეული სამუშაოს შესრულებამდე.

მუხლი 11. გამოცდა სამუშაოზე მიღების დროს

შრომის ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დაიდოს პირობა, რომ გამოცდიან მუშასა თუ მოსამსახურეს, რათა შეამოწმონ, შეესაბამება თუ არა იგი სამუშაოს, რომლისთვისაც მოწვეულ უნდა იქნას.

გამოცდის ზღვრულ ვადებს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 12. აკრძალულია შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოს შესრულების მოთხოვნა

ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მოსთხოვოს მუშას ან მოსამსახურეს შეასრულოს სამუშაო, რომელიც გათვალისწინებული არ არის შრომის ხელშეკრულებით.

მუხლი 13. სხვა სამუშაოზე გადაყვანა

იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სხვა სამუშაოზე გადაყვანა, აგრეთვე სამუშაოდ გადაყვანა სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან სხვა ადგილას, თუგინდ საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან ერთად შეიძლება მხოლოდ მუშისა თუ მოსამსახურის თანხმობით, იმ შემთხვევებს გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ საფუძვლების მე-14 და 56-ე მუხლებით.

მუხლი 14. დროებით გადაყვანა სხვა სამუშაოზე საწარმოო საჭიროებისა თუ მოცდენის შემთხვევაში

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას შეექმნა ამის საწარმოო საჭიროება, ადმინისტრაციას უფლება აქვს ერთ თვემდე ვადით გადაიყვანოს მუშები და მოსამსახურეები შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ სამუშაოზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციებში, მავრამ იმავე ადგილას, ამასთან შრომა აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მაგრამ არანაკლებ საშუალო ხელფასისა წინა სამუშაოზე, ასეთი გადაყვანა შეიძლება სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის თავიდან აცილებისა თუ ლიკვიდაციის ან მათი შედეგების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის, უბედური შემთხვევების, მოცდენის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაღუპვისა ან გაფუჭების თავიდან აცილებისათვის და სხვა გამონაკლის შემთხვევებში. აგრეთვე სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშისა თუ მოსამსახურის შესაცვლელად. სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშაკის შესაცვლელად სხვა სამუშაოზე გადაყვანის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს კალენდარული წლის განმავლობაში.

მოცდენის შემთხვევაში მუშები და მოსამსახურეები მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მოცდენის მთელი დროის მანძილზე ან სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, მაგრამ იმავე ადგილას ერთ თვემდე ვადით. მოცდენის შედეგად დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანისას მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ასრულებენ, ენახებათ საშუალო ხელფასი წინანდელი სამუშაოს მიხედვით. ხოლო იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ვერ ასრულებენ ნორმებს ან გადაყვანილი არიან დროებით ხელფასიან სამუშაოზე, ენახებათ მათი სატარიფო განაკვეთი (სარგო).

მოცდენისა ანუ წასული მუშაკის დროებით მონაცვლეობის შემთხვევაში დაუშვებელია კვალიფიციური მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა არაკვალიფიციურ სამუშაოზე.

მუხლი 15. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

1) მხარეების შეთანხმება;

2) ვადის გასვლა (10 მუხლის 2 და 3 პუნქტები), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შრომითი ურთიერთობა ფაქტიურად გრძელდება და არც ერთ მხარეს არ მოუთხოვია მისი შეწყვეტა;

3) მუშის ან მოსამსახურის სამხედრო სამსახურში გაწვევა ან შესვლა;

4) შრომის ხელშეკრულების გაუქმება მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით (მუხლი 16), ადმინისტრაციის ინიციატივით (მუხლი 17) ან პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით (მუხლი 20);

5) მუშაკის გადაყვანა მისი თანხმობით სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოზე ან არჩევით თანამდებობაზე გადასვლა;

6) მუშის ან მოსამსახურის უარი საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან ერთად სხვა ადგილას სამუშაოდ გადასვლაზე;

7) სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომლითაც მუშა ან მოსამსახურე მსჯავრდებულია (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მისჯილი აქვს პირობითი მსჯავრი თავისუფლების აღკვეთის, გამასწორებელი მუშაობა არასამუშაო ადგილას ან სხვა სასჯელი, რომელიც გამორიცხავს ამ სამუშაოზე მუშაობის განგრძობას).

მუხლი 16. შრომის ხელშეკრულების გაუქმება მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ გაუქმონ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, ამასთან ამის შესახებ ადმინისტრაცია წერილობით უნდა გააფრთხილონ ორი კვირით ადრე.

ვადიანი შრომის ხელშეკრულება (10 მუხლის 2 და 3 პუნქტები) უნდა გაუქმდეს ვადამდე მუშაკის მოთხოვნით მისი ავადმყოფობისა თუ ინვალიდობის შემთხვევაში, რომელიც ხელს უშლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას, იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციამ დაარღვია შრომის კანონმდებლობა, კოლექტიური ან შრომის ხელშეკრულება და სხვა საპატიო მიზეზებით.

მუხლი 17. შრომის ხელშეკრულების გაუქმება ადმინისტრაციის ინიციატივით

განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, აგრეთვე ვადიანი შრომის ხელშეკრულება მისი მოქმედების ვადის გასვლამდე შეიძლება გაუქმოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის, მუშაკთა რიცხვისა თუ შტატის შემცირების დროს;

2) თუ აღმოჩნდება, რომ მუშა ან მოსამსახურე არ შეეფერება ამ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციისა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაშო, რაც ხელს უშლის ამ სამუშაოს განგრძობას;

3) თუ მუშა ან მოსამსახურე არასაპატიო მიზეზით სისტემატურად არ ასრულებს შრომის ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით დაკისრებულ ვალდებულებებს, თუ მუშის ან მოსამსახურის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი;

4) არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო (სამ შორის სამუშაოზე ნასვამი მოსვლა);

5) სამუშაოზე გამოუცხადებლობა ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ჩაუთვლელად, თუ სსრ კავშირის კანონმდებლობით არ არის დადგენილი სამუშაო ადგილის (თანამდებობის) შენახვის უფრო ხანგრძლივი ვადა. გარკვეული დაავადების დროს მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც დაკარგეს შრომის უნარი შრომითი დასახიჩრებისა თუ პროფესიული დაავადების გამო, სამუშაო ადგილი (თანამდებობა) ენახებათ შრომის უნარის აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე;

6) იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოზე აღადგენენ იმ მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც ადრე ასრულებდა ამ სამუშაოს.

დათხოვნა ამ მუხლის 1, 2 და 6 პუნქტებში აღნიშნული საფუძვლების მიხედვით დასაშვებია, თუ შეუძლებელია მუშაკის გადაყვანა, მისი თანხმობით, სხვა სამუშაოზე.

მუხლი 18. შრომის ხელშეკრულების გაუქმების აკრძალვა ადმინისტრაციის ინიციატივით პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე

შრომის ხელშეკრულების გაუქმება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ინიციატივით დაუშვებელია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნების დარღვევით შრომის ხელშეკრულების გაუქმება უკანონოა, და დათხოვნილი მუშაკი უნდა აღდგეს თავის სამუშაოზე (მუხლი 91).

მუხლი 19. გასასვლელი დახმარება

ამ საფუძვლების მე-15 მუხლის 3 და 6 პუნქტებში და მე-17 მუხლის 1, 2 და 6 პუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისას, ან თუ ადმინისტრაცია დაარღვევს შრომის კანონმდებლობას, კოლექტიურ ან შრომის ხელშეკრულებას (მე-16 მუხლის მეორე ნაწილი) მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ გასასვლელი დახმარება ორი კვირის საშუალო ხელფასის ოდენობით,

მუხლი 20. პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით შრომის ხელშეკრულების გაუქმება

პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით (არანაკლებ რაიონულისა) ადმინისტრაცია მოვალეა გააუქმოს შრომის ხელშეკრულება ხელმძღვანელ მუშაკთან ან ჩამოაყენოს იგი დაკავებული თანამდებობიდან, თუ იგი არღვევს შრომის კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონმდებლობას, არ ასრულებს კოლექტიური ხელშეკრულების ვალდებულებებს, იჩენს ბიუროკრატიზმს, აბიანურებს საქმეს.

პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნა შეიძლება გაასაჩივროს მუშაკმა ან ადმინისტრაციამ ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

კარი IV
სამუშაო დრო და დასვენების დრო

მუხლი 21. სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობა

საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 41 საათს კვირაში. ეკონომიური და სხვა საჭირო პირობების შექმნის კვალობაზე განხორციელდება უფრო შემცირებულ სამუშაო კვირაზე გადასვლა.

მუხლი 22. შემცირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა

შემცირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა წესდება:

1) 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის მუშა-მოსამსახურეებისათვის — 36 საათი კვირაში, ხოლო 15 წლიდან 16 წლამდე ასაკის პირებისათვის (მუხლი 74) — 24 საათი კვირაში;

2) შრომის მავნე პირობებიან სამუშაოზე დასაქმებულ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, — არაუმეტეს 36 საათისა კვირაში.

გარდა ამისა, სსრ კავშირის კანონმდებლობით დგინდება შემცირებული სამუშაო კვირის ხანგრძლივობა ცალკეული კატეგორიების მუშაკებისათვის (მასწავლებლები, ექიმები და სხვები).

მუხლი 23. ხუთდღიანი და ექვსდღიანი სამუშაო კვირა და ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობა

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შემოღებულია ხუთსამუშაო და ორ დასვენებისდღიანი კვირა. ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს ყოველდღიური მუშაობის (ცვლის) ხანგრძლივობა განისაზღვრება ადმინისტრაციის მიერ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესიან ცვლიანობის გრაფიკებით სამუშაო კვირის დადგენილი ხანგრძლივობის დაცვით (21-ე და 22-ე მუხლები).

იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სადაც წარმოების ხასიათითა და შრომის პირობებით ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღება მიზანშეწონილი არ არის, დგინდება ექვსდღიანი სამუშაო კვირა ერთი დასვენებს დღით. ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს, როცა კვირის ნორმა 41 საათია, 6 საათს, როცა კვირის ნორმა 36 საათია, და 4 საათს, როცა კვირის ნორმა 24 საათია.

მუხლი 24. მუშაობის ხანგრძლივობა უქმე და დასვენების დღეების წინ

უქმე დღეების წინ (მუხლი 31) მუშა-მოსამსახურეთა, ამ საფუძვლების 22-ე მუხლში აღნიშნული მუშა-მოსამსახურეების გარდა, მუშაობის ხანგრძლივობა მცირდება ერთი საათით როგორც ხუთდღიანი, ისე ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს.

დასვენების დღეების წინ მუშაობის ხანგრძლივობა ექვსდღიანი სამუშაო კვირისას არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს.

მუხლი 25. მუშაობის ხანგრძლივობა ღამით

ღამით მუშაობის დროს სამუშაოს (ცვლის) დადგენილი ხანგრძლივობა მცირდება ერთი საათით. ეს წესი არ ვრცელდება მუშებსა და მოსამსახურეებზე, რომლებისთვისაც უკვე გათვალისწინებულია სამუშაო დროის შემცირება 22-ე მუხლით (პირველი ნაწილის მე-2 პუნქტი და მეორე ნაწილი).

ღამის სამუშაოს ხანგრძლივობა გათანაბრებულია დღის სამუშაოსთან იმ შემთხვევებში, როცა ეს საჭიროა წარმოების პირობებით, კერძოდ უწყვეტ საწარმოებში, აგრეთვე ცვლის სამუშაოებში ექვს სამუშაო და ერთ დასვენებისდღიანი კვირის დროს.

ღამის დროდ ითვლება დრო საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე.

მუხლი 26. არასრული სამუშაო დრო

მუშებს, მოსამსახურეებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა, როგორც მიღების დროს, ისე შემდეგ. ამ შემთხვევებში შრომის ანაზღაურება გამომუშავებული დროის პროპორციულია ან დამოკიდებულია გამომუშავებაზე.

მუხლი 27. საზეგანაკვეთო სამუშაოების შეზღუდვა

საზეგანაკვეთო სამუშაოები, როგორც წესი, დაუშვებელია.

ადმინისტრაციას შეუძლია საზეგანაკვეთო სამუშაოები გამოიყენოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ითვალისწინებს. საზეგანაკვეთო სამუშაოები შეიძლება მხოლოდ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ნებართვით.

საზეგანაკვეთო სამუშაო არ უნდა აღემატებოდეს. თითოეული მუშის თუ მოსამსახურისათვის ოთხ საათს ორი დღის განმავლობაში ზედიზედ და 120 საათს წელიწადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 28. სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვა

უწყვეტმოქმედ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, აგრეთვე ცალკეულ წარმოებაში, საამქროებში, უბნებში, განყოფილებებსა და ზოგიერთი სხვა სახეობის სამუშაოზე, სადაც წარმოების (მუშაობის) პირობებით არ შეიძლება ამ კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისათვის დადგენილი ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეიძლება სამუშაო დროის შეჯამებული საღრიცხვო შემოღება იმ მიზნით, რომ სამუშაო დროის ხანგრძლივობა აღრიცხულ პერიოდში არ აღემატებოდეს სამუშაო საათების ნორმალურ რიცხვს (21-ე და 22-ე მუხლები).

მუხლი 29. შესვენება სადილობისათვის და დასვენებისათვის

მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ შესვენება სადილობისა და დასვენებისათვის, რომლის ხანგრძლივობა ორ საათს არ უნდა აღემატებოდეს, შესვენება არ შედის სამუშაო დროში.

იმ სამუშაოებში, სადაც წარმოების პირობებით შესვენების შემოღება არ შეიძლება, მუშას ან მოსამსახურეს შესაძლებლობა უნდა მიეცეს ისადილოს სამუშაო დროის განმავლობაში. ასეთი სამუშაოების ნუსხას, სადილობის წესსა და ადგილს ადგენს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 30. დასვენების დღეები

ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ ორი დასვენების დღე კვირაში, ექვსდღიან სამუშაო კვირაში კი ერთი დასვენების დღე.

ყოველკვირეული უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 42 საათისა.

მუშაობა დასვენების დღეებში აკრძალულია. ცალკეული მუშებისა და მოსამსახურეების მუშაობა ამ დღეებში შეიძლება მხოლოდ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ნებართვით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა განსაზღვრავს, დასვენების დღეს მუშაობისათვის უნდა მიეცეთ სხვა დასვენების დღე უახლოესი ორი კვირის განმავლობაში.

თუ შეუძლებელია სხვა დასვენების დღის მიცემა (მუშის, მოსამსახურის დათხოვნასთან დაკავშირებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში), სამუშაო დასვენების დღეს მუშაობა ორმაგად უნდა ანაზღაურდეს.

მუხლი 31. უქმე დღეები

საწარმოები, დაწესებულებანი, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უქმე დღეებში:

1 იანვარს — ახალ წელს,

8 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღეს,

1 და 2 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს,

9 მაისს — გამარჯვების დღეს,

7 და 8 ნოემბერს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავზე,

5 დეკემბერს — კონსტიტუციის დღეს.

უქმე დღეებში დაიშვება სამუშაოები, რომელთა შეჩერება შეუძლებელია საწარმოო-ტექნიკური პირობებით (უწყვეტად მოქმედი საწარმოები, დაწესებულებანი, ორგანიზაციები), სამუშაოები, რომლებიც გამოწვეულია მოსახლეობის მომსახურების აუცილებლობით, აგრეთვე გადაუდებელი სარემონტო და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები.

მუხლი 32. ყოველწლიური შვებულებანი

ყველა მუშასა და მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულებანი სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და საშუალო ხელფასის შენარჩუნებით (33-ე და 34-ე მუხლები).

შვებულებათა მიცემის რიგისობას აწესებს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

შვებულებათა შეცვლა ფულადი კომპენსაციით არ დაიშვება, გარდა იმ მუშის ან მოსამსახურის დათხოვნის შემთხვევისა, რომელსაც შვებულებით არ უსარგებლია.

მუხლი 33. შვებულების ხანგრძლივობა

მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ ყოველწლიური შვებულება არანაკლებ 15 სამუშაო დღის ხანგრძლივობით ისე, რომ თანდათან მიეცეთ მეტი ხანგრძლივობის შვებულება. ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობის გამოანგარიშების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

თვრამეტი წლისაზე ნაკლები ასაკის მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება ეძლევათ ერთი კალენდარული თვის ხანგრძლივობით.

მუხლი 34. დამატებითი შვებულებანი

ყოველწლიური დამატებითი შვებულებანი ეძლევათ:

1) შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე დასაქმებულ მუშებსა და მოსამსახურეებს;

2) სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებულ მუშებსა და მოსამსახურეებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებსაც მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი აქვთ ერთ საწარმოში, ორგანიზაციაში;

3) მუშაკებს, რომლებსაც არანორმირებული სამუშაო დღე აქვთ;

4) უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე მუშებსა და მოსამსახურეებს;

5) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 35. უხელფასო შვებულებანი

ოჯახური მდგომარეობისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო მუშასა და მოსამსახურეს, მისი განცხადებით, შეიძლება ადმინისტრაციამ მისცეს უხელფასო მოკლევადიანი შვებულება.

კარი V
ხელფასი, გარანტიები და კომპენსაციები

მუხლი 36. შრომის მიხედვით ანაზღაურება. ხელფასის მინიმალური ოდენობა

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად მუშებსა და მოსამსახურეებს შრომა უნაზღაურდებათ მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. აკრძალულია ხელფასის ოდენობის რაიმე შემცირება სქესის, ასაკის, რასისა და კუთვნილების მიხედვით.

მუშისა თუ მოსამსახურის თვიური ხელფასი არ შეიძლება სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები იყოს.

მუხლი 37. ხელფასის ნორმირება. სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების დადგენა

სახელმწიფო ხელფასის ნორმირებას ახორციელებს პროფესიული კავშირების მონაწილეობით.

მუშებს შრომა უნაზღაურდებათ ცენტრალიზებული წესით დამტკიცებული სატარიფო განაკვეთების (სარგოების) საფუძველზე. გარკვეულ სატარიფო განაკვეთებს შესრულებულ სამუშაოებს განაკუთვნებს და მუშებს საკვალიფიკაციო თანრიგებს ანიჭებს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად.

მოსამსახურეებს შრომა უნაზღაურდებათ ცენტრალური წესით განსაზღვრული თანამდებობრივი განაკვეთების სქემების საფუძველზე. თანამდებობრივ ხელფასებს მოსამსახურეებს უწესებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მუშაკის თანამდებობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

მძიმე სამუშაოებზე, შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებსა და მძიმე კლიმატური პირობების ადგილებში სამუშაოებზე წესდება გადიდებული ხელფასი.

მუხლი 38. შრომის ანაზღაურების სისტემები

მუშებსა და მოსამსახურეებს შრომა უნაზღაურდებათ დროებრივად ან ნარდობრივად.

საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში, წარმოების ეფექტიანობისა და რენტაბელობის გადიდებაში, შრომის ნაყოფიერების ზრდაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და რესურსების მომჭირნეობაში მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის შეიძლება შემოღებულ იქნას შრომის ანაზღაურების დროებრივ-პრემიალური და ნარდობრივ-პრემიალური სისტემები.

შრომის ანაზღაურების დროებრივ ან ნარდობრივ სისტემას აწესებს, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეებისათვის პრემიების მიცემის დებულებას ამტკიცებს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

შრომის ანაზღაურების სისტემებისადმი დამატებით შეიძლება დაწესდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების გასამრჯელო წლიური მუშაობის შედეგებით საწარმოს, ორგანიზაციის მიერ მიღებული მოგების ხარჯზე შექმნილი ფონდიდან. გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება მუშის ან მოსამსახურის შრომის შედეგებისა და საწარმოში, ორგანიზაციაში მუშაობის მისი განუწყვეტელი სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

მუხლი 39. გამომუშავების ნორმები (დროის ნორმები), მოსამსახურეების ნორმები, რიცხვის ნორმატივები და ნარდობლივი შეფასება

მუშათა და მოსამსახურეთა გამომუშავების ნორმები (დროის ნორმები), მომსახურების ნორმები და რიცხვის ნორმატივები წესდება ტექნიკის მიღწეული დონის, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციისა და მუშაობის მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით. ეს ნორმები და ნორმატივები ახლით უნდა შეიცვალოს წარმოებაში იმ ტექნიკურ, სამეურნეო და ორგანიზაციულ ღონისძიებათა დანერგვის კვალობაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ნორმებისა და ნორმატივების შემოღებასა და გადასინჯვას ახორციელებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

ერთგვაროვანი სამუშაოებისათვის შეიძლება დაწესდეს ერთიანი ან ტიპობრივი (დარგობრივი, დარგობრივი, უწყებრივი) ნორმები და ნორმატივები.

შრომის ნარდობლივი ანაზღაურების დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფასება განისაზღვრება დადგენილი სამუშაოს თანრიგის, სტატარიფო განაკვეთის (სარგოს) და გამომუშავების ნორმების (დროის ნორმების) მიხედვით.

შრომის დროებრივი ანაზღაურებისას მუშებსა და მოსამსახურეებს გარკვეული პერიოდისათვის უწესებენ მათზე მიმაგრებული ჩარხების, აგრეგატების მომსახურების ნორმებს, ან ნორმირებულ საწარმოო დავალებებს. ცალკეული ფუნქციებისა თუ სამუშაოთა მოცულობების შესრულებისათვის შეიძლება დაწესდეს მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის ნორმატივები.

მუხლი 40. საზეგანაკვეთო დროს მუშაობის ანაზღაურება

შრომის დროებრივი ანაზღაურებისას საზეგანაკვეთო დროს მუშაობა პირველ ორ საათში ნაზღაურდება ერთნახევარი ოდენობით, მომდევნო საათებში კი ორმაგად.

შრომის ნარდობლივი ანაზღაურებისას, აგრეთვე სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, სადაც ნარდად მომუშავე მუშებსა და დროებრივად მომუშავე მუშებს დაწესებული აქვთ ერთიანი სტატარიფო განაკვეთები, საზეგანაკვეთო დროს მუშაობისათვის ეძლევათ დანამატი სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

მუხლი 41. უქმე დღეებში მუშაობის ანაზღაურება

უქმე დღეს მუშაობა (31-ე მუხლის მეორე ნაწილი) ნაზღაურდება ორმაგად.

უქმე დღეს მომუშავე მუშისა თუ მოსამსახურის სურვილით, მას შეიძლება მიეცეს სხვა დასვენების დღე.

მუხლი 42. ღამით მუშაობის ანაზღაურება

ღამით მუშაობა (მუხლი 25) ანაზღაურდება გადიდებული ოდენობით, რომელსაც აწესებს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 43. შრომის ანაზღაურება გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობის, წუნის გამოშვების დროს და გაცდენილი დროის ანაზღაურება

გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობის, წუნდებული პროდუქციის დამზადებისა და მოცდენის შემთხვევაში, რომლებიც მუშისა თუ მოსამსახურის მიზეზით არ მომხდარა, ანაზღაურება ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ერთი თვის ხელფასი არ შეიძლება დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები იყოს (მუხლი 36).

მუშისა თუ მოსამსახურის მიზეზით გამოშვებული მთლიანი წუნი და მათი მიზეზით გაცდენილი დრო არ ნაზღაურდება. მუშისა თუ მოსამსახურის მიზეზით დაშვებული ნაწილობრივი წუნი ნაზღაურდება შემცირებული ოდენობით, დამზადებული პროდუქციის ვარგისობის მიხედვით.

მუხლი 44. ხელფასის შენარჩუნება სხვა მუდმივ დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის დროს

სხვა მუდმივ დაბალხელფასიან სამუშაოზე მუშისა თუ მოსამსახურის გადაყვანის დროს მუშაკს გადაყვანიდან ორი კვირის მანძილზე უნარჩუნდება მისი წინა სამუალო ხელფასი.

მუხლი 45. ხელფასის გაცემის ვადები

ხელფასი გაიცემა სულ ცოტა ყოველ ნახევარ თვეში.

ცალკეული კატეგორიების მუშებსა და მოსამსახურეებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დაუწესდეს ხელფასის გაცემის სხვა ვადები.

მუხლი 46. არჩევით თანამდებობებზე არჩეული მუშებისა და მოსამსახურეების გარანტიები

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც სამუშაოდან განთავისუფლდნენ იმის გამო, რომ არჩეული არიან არჩევით თანამდებობებზე სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მას შემდეგ, რაც ვადა გაუვა მათს რწმუნებებს არჩევით თანამდებობაზე, კვლავ ეძლევათ წინა სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ასეთი არ იქნა, სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) იმავე ან მუშაკის თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

მუხლი 47. მუშათა და მოსამსახურეთა გარანტიები სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების დროს

სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების დროს, თუ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედი კანონმდებლობით ეს მოვალეობანი შეიძლება განხორციელდეს სამუშაო დროს, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გარანტირებულია სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და საშუალო ხელფასის შენარჩუნება. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ასრულებენ სსრ კავშირის საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონით გათვალისწინებულ მოვალეობებს, ეძლევათ გარანტიები და შეღავათები ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 48. გარანტიები და კომპენსაციები მივლინებებისა და სხვა ადგილას სამუშაოდ წასვლის დროს

მუშებსა და მოსამსახურეებს აქვთ სამსახურებრივ მივლინებებთან, სხვა ადგილას სამუშაოზე გადაყვანასთან, მიღებასთან ან გაგზავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურებისა და სხვა კონპენსაციების უფლება

მივლინებულ მუშაკებს მივლინების მთელი დროის მანძილზე უნარჩუნდებათ სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და საშუალო ხელფასი.

მუხლი 49. გარანტიები იმ შემთხვევებში, როცა მუშებსა და მოსამსახურეებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანისათვის.

ზიანისათვის, რომელიც მიაყენეს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთა მიზეზით არის მიყენებული ზიანი, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა პირდაპირი ნამდვილი ზიანის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს თავისი თვიური სატარიფო განაკვეთის (სარგოსი) ერთი მესამედისა.

მატერიალური პასუხისმგებლობა თვიური სატარიფო განაკვეთის (სარგოს) ერთ მესამედზე მეტის, მაგრამ არა უმეტეს მიყენებული ზიანის მთელი ოდენობისა, შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდებლობით აღნიშნულ შემთხვევებში.

ზიანის ანაზღაურება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ოდენობით, მუშაკის წერილობითი თანხმობით და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის განკარგულებით ხდება ხელფასიდან დაქვითვის გზით. ადმინისტრაციას შეუძლია განკარგულება გასცეს დაქვითვის შესახებ არაუგვიანეს ორი კვირისა იმ დღიდან, როცა გამოირკვევა, რომ მუშაკმა მიაყენა ზიანი. თუ არ არის მუშაკის წერილობითი თანხმობა, დაქვითვა არ ხდება და საკითხს ადმინისტრაციის განცხადებით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო.

დანარჩენ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება ხდება ადმინისტრაციის მიერ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სარჩელის წარდგენის წესით.

მუხლი 50. ხელფასიდან დაქვითვის შეზღუდვა

ხელფასიდან დაქვითვა შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ხელფასის ყოველი გაცემის დროს ყველა დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 პროცენტს, ხოლო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში მუშისა თუ მოსამსახურისათვის მისაცემი ხელფასის ორმოცდაათ პროცენტს.

ხელფასიდან რამდენიმე აღმასრულებელი დოკუმენტით დაკავების დროს მუშას ან მოსამსახურეს ყოველ შემთხვევაში უნდა შეუნარჩუნდეს ხელფასის ორმოცდაათი პროცენტი.

ამ მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით დადგენილი შეზღუდვები არ უნდა გავრცელდეს ხელფასიდან დაქვითვაზე, გამასწორებელ სამუშაოთა მოხდის დროს.

დაუშვებელია დაკავება გასასვლელი დახმარებიდან, საკომპენსაციო ან სხვა მისაცემებიდან, რომლებზეც კანონმდებლობის თანახმად გადასახადი არ ვრცელდება.

კარი VI
შრომის დისციპლინა

მუხლი 51. მუშათა და მოსამსახურეთა მოვალეობანი

მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან იმუშაონ პატიოსნად და კეთილსინდისიერად, დაიცვან შრომის დისციპლინა, დროულად და ზუსტად შეასრულონ ადმინისტრაციის განკარგულებანი, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, დაიცვან ტექნოლოგიური დისციპლინა, შრომის დაცვის, უშიშროების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნები, გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ სოციალისტური საკუთრება.

მუხლი 52. შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა

საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში შრომის დისციპლინა უზრუნველყოფილ უნდა იქნას შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულებით, დარწმუნების მეთოდით, აგრეთვე წახალისებით კეთილსინდისიერი შრომისათვის. ცალკეული არაკეთილსინდისიერი მუშაკებისადმი საჭირო შემთხვევებში იყენებენ დისციპლინურ და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს.

მუხლი 53. ადმინისტრაციის მოვალეობანი

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაცია ვალდებულია სწორად მოაწყოს მუშათა და მოსამსახურეთა შრომა, შექმნას შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობები, უზრუნველყოს შრომისა და საწარმოო დისციპლინა, განუხრელად დაიცვას შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები, უყურადღებით მოეკიდოს მუშაკთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, გააუმჯობესოს მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

მუხლი 54. შრომის შინაგანაწესი. წესდებები დისციპლინის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში შრომის განაწესს განსაზღვრავს შრომის შინაგანაწესი, რომელსაც ადმინისტრაცია ადგენს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპობრივი წესების საფუძველზე.

სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში ცალკეული კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მოქმედებს წესდებები დისციპლინის შესახებ.

მუხლი 55. წახალისება მუშაობაში წარმატებებისათვის

შრომითი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის, შრომაში ნოვატორობისა და მუშაობაში სხვა მიღწევებისათვის გამოყენებულია შემდეგი წახალისებანი:

1) მადლობის გამოცხადება;
2) პრემიის მიცემა;
3) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
4) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
5) საპატიო წიგნში, საპატიო დაფაზე შეტანა;

შრომის შინაგანაწესით და დისციპლინის წესდებებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვა წახალისებანიც.

წახალისებას ადმინისტრაცია იყენებს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად ან მასთან შეთანხმებით.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ შრომითს მოვალეობებს, უწინარეს ყოვლისა ეძლევათ უპირატესობანი და შეღავათები სოციალურ-კულტურული და საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში (სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, საბინაო პირობების გაუმჯობესება და სხვ.). ასეთ მუშაკებს ეძლევათ აგრეთვე უპირატესობა სამუშაოზე დაწინაურების დროს.

განსაკუთრებული შრომითი დამსახურებისათვის მუშებსა და მოსამსახურეებს წარადგენენ ზემდგომ ორგანოებში წახალისებისათვის, ორდენებით, მედლებით, საპატიო სიგელებით, სამკერდე ნიშნებით დაჯილდოებისა და საპატიო წოდებებისა და მოცემულ პროფესიაში საუკეთესო მუშაკის წოდების მინიჭებისათვის.

მუხლი 56. სასჯელი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია იყენებს შემდეგ დისციპლინურ სასჯელებს:

1) შენიშვნას;
2) საყვედურს;
3) სასტიკ საყვედურს;
4) დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანას სამ თვემდე ვადით ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენებას იმავე ვადით;
5) დათხოვნას (მე-17 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები).

დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონმდებლობითა და დისციპლინის წესდებებით ცალკეული კატეგორიების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შეიძლება გათვალისწინებული იყოს აგრეთვე სხვა დისციპლინური სასჯელიც.

ადმინისტრაციას უფლება აქვს დისციპლინური სასჯელის გამოყენების ნაცვლად შრომის დისციპლინის დარღვევის საკითხი განსახილველად გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

კარი VII
შრომის დაცვა

მუხლი 57. შრომის ჯანსაღი და უსაშიშრო პირობების უზრუნველყოფა

ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იქმნება შრომის ჯანსაღი და უსაშიშრო პირობები.

შრომის ჯანსაღი და უსაშიშრო პირობების უზრუნველყოფა ეკისრება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას.

ადმინისტრაცია ვალდებულია დანერგოს უსაშიშროების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ საწარმოო ტრავმატიზმს და უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული დაავადებების წარმოშობას.

მუხლი 58. შრომის დაცვის მოთხოვნების შესრულება საწარმოო შენობების, ნაგებობებისა და მოწყობილობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს

საწარმოო შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, ტექნოლოგიური პროცესები უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ჯანსაღ და უსაშიშრო პირობებს.

ეს მოთხოვნები შეიცავენ ტერიტორიისა და საწარმოო შენობების რაციონალურ გამოყენებას, მოწყობილობის სწორ ექსპლუატაციასა და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაციას, მომუშავეთა დაცვას შრომის მავნე პირობების ზემოქმედებისაგან, საწარმოო შენობებისა და სამუშაო ადგილების მოვლას სანიტარიულ-ჰი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიენური ნორმებისა და წესების შესაბამისად, სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სათავსების მოწყობას.

საწარმოო შენობებისა და ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს უნდა შესრულდეს შრომის დაცვის წესები და ნორმები.

მუხლი 59. ისეთ საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემის აკრძალვა, რომლებიც არ შეესაბამებიან შრომის დაცვის მოთხოვნებს

არცერთი საწარმო, საამქრო, უბანი, წარმოება არ უნდა იქნას მიღებული და გადაცემული საექსპლუატაციოდ, თუ იქ არ არის უზრუნველყოფილი შრომის ჯანსაღი და უსაშიშრო პირობები.

საწარმოო დანიშნულების ახალი და რეკონსტრუირებული ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა დაუშვებელია იმ ორგანოების უნებართვოდ, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარიულ და ტექნიკურ ზედამხედველობას, პროფკავშირთა ტექნიკური ინსპექციის (მუხლი 104) და იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უნებართვოდ, რომლებიც გადასცემენ ობიექტს საექსპლუატაციოდ.

მუხლი 60. შრომის დაცვის წესები, რომლებიც სავალდებულოა ადმინისტრაციისათვის

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკური მოწყობა და იქ შრომის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც შეესაბამებიან შრომის დაცვის წესებს (უსაშიშროების ტექნიკის წესებს, სანიტარიულ ნორმებსა და წესებს და სხვ.). ასეთ წესებს (რომლებიც საერთოა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ან დარგთაშორისია) ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან მისი დავალებით, სხვა სახელმწიფო ორგანოები საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად ან მასთან შეთანხმებით.

შრომის დაცვის დარგობრივ წესებსა და ნორმებს დადგენილი წესით ამტკიცებენ სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები (მუხლი 104) შესაბამისი პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტთან ერთად ან მასთან შეთანხმებით.

თუ წესებში არ არის ის მოთხოვნები, რომელთა დაცვა სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაშიშრო პირობების უზრუნველყოფისათვის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის უსაშიშრო პირობებს.

ადმინისტრაციას ეკისრება მოაწყოს მუშათა და მოსამსახურეთა ინსტრუქტაჟი უსაშიშროების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ, აგრეთვე მუდმივი კონტროლი გაუწიოს იმას, თუ როგორ იცავენ მუშაკები შრომის დაცვის ინსტრუქციის ყველა მოთხოვნას.

მუხლი 61. შრომის დაცვის ინსტრუქციები, რომლებიც სავალდებულოა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის

მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან შეასრულონ შრომის დაცვის ინსტრუქციები, რომლებიც ადგენენ სამუშაოთა შესრულების წესებსა და საწარმოო შენობებსა და სამშენებლო მოედნებზე ქცევას. ასეთ ინსტრუქციებს ამუშავებს და ამტკიცებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ადგილობრივ კომიტეტთან ერთად სამინისტროებსა და უწყებებს პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებით, ხოლო საჭიროების შემთხვევებში სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით (მუხლი 104) შეუძლიათ დაამტკიცონ შრომის დაცვის ტიპობრივი ინსტრუქციები ძირითადი პროფესიების მუშებისათვის.

მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან აგრეთვე დაიცვან მანქანებისა და მექანიზმების გამოყენების დადგენილი მოთხოვნები, ისარგებლონ მათთვის მიცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

მუხლი 62. შრომის დაცვის ღონისძიებათა საშუალებანი

შრომის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის დადგენილი წესით გამოიყოფა საშუალებანი და საჭირო მასალები. ამ საშუალებებისა და მასალების ხარჯვა სხვა მიზნებისათვის აკრძალულია.

აღნიშნული საშუალებებისა და მასალების გამოყენების წესი განსაზღვრულია შრომის დაცვის კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში, რომლებსაც დებენ ადმინისტრაცია და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი.

მუხლი 63. სპეციალური ტანსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებათა გაცემა, საპნისა და გაუვნებლების საშუალებათა გაცემა

შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც წარმოებს განსაკუთრებულ ტემპერატურულ პირო-

ბებში ან დაკავშირებულია გაჭუჭყიანებასთან, მუშასა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ სპეციალური ტანსაცმელი, სპეციალური ფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებანი.

სამუშაოებზე, რომლებიც დაკავშირებულია გაჭუჭყიანებასთან, დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ საპონი. იმ სამუშაოებზე, სადაც შესაძლებელია კანზე იმოქმედოს მავნე მოქმედმა ნივთიერებებმა, დადგენილი ნორმით უფასოდ ეძლევათ ჩამოსაბანი და გაუვნებლების საშუალებანი.

მუხლი 64. რძისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების გაცემა

შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ რძე ან სხვა ტოლფასოვანი კვების პროდუქტები.

ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის განსაკუთრებით მავნე პირობებია დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ სამკურნალო-პროფილაქტიკური კვება.

მუხლი 65. ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების სამედიცინო შემოწმება

მძიმე სამუშაოებსა და შრომის მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე ტრანსპორტის მუშაობასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე დასაქმებული მუშები და მოსამსახურეები გადიან სავალდებულო წინასწარ სამედიცინო შემოწმებას სამუშაოზე მიღებისას და პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას მინდობილი სამუშაოსათვის მათი ვარგისიანობის განსაზღვრისა და პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილებისათვის.

კვების მრეწველობის, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოების, წყალსადენის ნაგებობების, სამკურნალო — პროფილაქტიკური და საბავშვო დაწესებულებების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციის მუშაკები გადიან აღნიშნულ სამედიცინო შემოწმებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

მუხლი 66. უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა

ადმინისტრაცია ვალდებულია მუშები და მოსამსახურეები, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ესაჭიროებათ უფრო მსუბუქი სამუშაოს მიცემა, მათი თანხმობით, გადაყვანოს ასეთ სამუშაოზე სამედიცინო დასკვნის შესაბამისად დროებით ან ვადის შეუზღუდავად.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფრო მსუბუქ დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის დროს მუშებსა და მოსამსახურეებს ენარჩუნებათ წინანდელი საშუალო ხელფასი ორი კვირის განმავლობაში გადაყვანის დღიდან, ხოლო იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, უწინდელი საშუალო ხელფასი ენარჩუნებათ დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების მთელი დროის მანძილზე ან დახმარება ეძლევათ სახელმწიფო სოციალური დაზღვევით.

მუხლი 67. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მატერიალური პასუხისმგებლობა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის გამო

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად მატერიალურ პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მოუვათ დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, რომელიც დაკავშირებულია მათი შრომითი მოვალეობის შესრულებასთან.

კარი VIII
ქალთა შრომა

მუხლი 68. სამუშაოები, სადაც აკრძალულია ქალთა შრომის გამოყენება

აკრძალულია ქალთა შრომის გამოყენება მძიმე სამუშაოებსა და შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე, გარდა ზოგიერთი მიწისქვეშა სამუშაოსი (არაფიზიკური მუშაობა ან მუშაობა სანიტარიული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში).

მუხლი 69. ქალთა შრომის შეზღუდვა ღამის, საზეგანაკვეთო სამუშაოებზე და მივლინებაში მათი გაგზავნისას

ქალთა ჩაბმა ღამის სამუშაოებში დაუშვებელია, გარდა სახალხო მეურნეობის იმ დარგებისა, სადაც ეს გამოწვეულია განსაკუთრებული აუცილებლობით და ნებადართულია როგორც დროებითი ღონისძიება.

დაუშვებელია ღამის სამუშაოებში, საზეგანაკვეთო სამუშაოებსა და დასვენების დღეს მუშაობაში ჩაბმა და მივლინებაში ორსული ქალებისა და მეძუძური დედების, აგრეთვე იმ ქალების გაგზავნა, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ.

არ შეიძლება საზეგანაკვეთო სამუშაოებში ჩაბმულ იქნან ან მივლინებაში გაიგზავნონ, მათ უნებართვოდ, ქალები, რომლებსაც ერთი წლიდან რვა წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ.

მუხლი 70. უფრო მსუბუქ სამუშაოზე ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და იმ ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების გადაყვანა, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ

ორსული ქალები საექიმო დასკვნის შესაბამისად ორსულობის გამო დროებით შეიძლება გადაყვანილ იქნან სხვა, უფრო მსუბუქ სამუშაოზე წინანდელ სამუშაოს მიხედვით საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

მეძუძური დედები და ქალები, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, წინანდელი სამუშაოს შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე და მათ უნარჩუნდებათ წინანდელი სამუშაოს მიხედვით საშუალო ხელფასი ბავშვის კვების მთელი დროის მანძილზე ან სანამ ბავშვი ერთი წლისა გახდებოდეს.

მუხლი 71. შვებულებანი ორსულობისა და მშობიარობის გამო

ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულებანი მშობიარობამდე ორმოცდათექვსმეტი კალენდარული დღის ხანგრძლივობით და მშობიარობის შემდეგ ორმოცდათექვსმეტი კალენდარული დღის ხანგრძლივობით, ამასთან ამ პერიოდში ეძლევათ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევით. არანორმალური მშობიარობისა და ორი ან მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში მშობიარობის შემდეგ შვებულება ეძლევათ სამოცდაათი კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

გარდა ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებებისა, ქალს, მისი განცხადებით, ეძლევა დამატებითი უხელფასო შვებულება, სანამ ბავშვი ერთი წლისა გახდებოდეს.

მუხლი 72. შესვენება ბავშვის საკვებად

მეძუძურ დედებსა და ქალებს, რომელებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, გარდა საერთო შესვენებისა ეძლევათ კვებისა და დასვენებისათვის — დამატებითი შესვენებანი ბავშვის გამოსაკვებად.

ეს შესვენება ეძლევათ ყოველ სამ საათში, თვითეული სულ ცოტა 30 წუთის ხანგრძლივობით.

შესვენებანი ბავშვის გამოსაკვებად შედის სამუშაო დროში და ნაზღაურდება საშუალო ხელფასის მიხედვით.

მუხლი 73. გარანტიები სამუშაოზე მიღების დროს და ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და იმ ქალების დათხოვნის აკრძალვა, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ

აკრძალულია სამუშაოზე მიღებისას ქალებს უარი უთხრან და მათ ხელფასი შეუმცირონ ორსულობასთან ან ბავშვის გამოკვებასთან დაკავშირებული მოტივებით.

ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და იმ ქალების დათხოვნა, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, ადმინისტრაციის ინიციატივით დაუშვებელია, გარდა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევისა, როცა დაიშვება დათხოვნა სავალდებულო შრომითი მოწყობით.

კარი IX
ახალგაზრდობის შრომა

მუხლი 74. ასაკი, რომლის შემდეგ დაიშვება სამუშაოზე მიღება

დაუშვებელია სამუშაოზე თექვსმეტ წლისაზე ნაკლები ასაკის ახალგაზრდის მიღება.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, შეიძლება სამუშაოზე მიღებულ იქნან პირნი, რომლებსაც თხუთმეტი წელი შეუსრულდათ.

მუხლი 75. სამუშაოები, რომლებზეც აკრძალულია თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის პირთა შრომის გამოყენება

აკრძალულია თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის პირთა შრომის გამოყენება მძიმე სამუშაოებზე და მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვ მიწისქვეშა სამუშაოებზე.

მუხლი 76. თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის პირთა სამედიცინო შემოწმება

თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის ყველა პირი სამუშაოდ მიიღება მხოლოდ წინასწარი სამედიცინო შემოწმების შემდეგ და შემდგომ, თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე, ყოველწლიურად უნდა გაიარონ სავალდებულო სამედიცინო შემოწმება.

მუხლი 77. თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ყოველდღიური მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობის დროს

თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის მუშებსა და მოსამსახურეებს ხელფასი ყოველდღიური შემცირებული მუშაობის ხანგრძლივობის დროს ეძლევათ ისეთი ოდენობით, როგორიც შესაბამისი კატეგორიის მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველდღიური მუშაობის სრული ხანგრძლივობის დროს.

ნარდობლივ სამუშაოებზე დაშვებულ თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის მუშებისა და მოსამსახურეების შრომა ნაზღაურდება ნარდობლივი შეფასებით, რომელიც დადგენილია მოზრდილი მუშაკებისათვის, სატარიფო განაკვეთის დამატებით დროისათვის, როდესაც მათი ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობა მცირდება მოზრდილი მუშაკების ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობასთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 78. ღამის და საზეგანაკვეთო სამუშაოებზე თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმების აკრძალვა

აკრძალულია ღამის და საზეგანაკვეთო სამუშაოებზე და დასვენების დღეებში სამუშაოებზე თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმება.

მუხლი 79. თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის მუშებისა და მოსამსახურეების შვებულებები

თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება (მუხლი 33) ეძლევათ ზაფხულში ან, მათი სურვილით, წლის ყოველ სხვა დროში.

მუხლი 80. სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე ახალგაზრდების მიღების ჯავშანი

ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის წესდება სამუშაოდ და საწარმოო სწავლებაზე იმ ახალგაზრდების მიღების ჯავშანი, რომლებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები, აგრეთვე თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის სხვა პირებისათვის.

მუხლი 81. სასწავლებელ დამთავრებულ ახალგაზრდა მუშათა და სპეციალისტთა უზრუნველყოფა სამუშაოთი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით

ახალგაზრდა მუშები, რომლებმაც დაამთავრეს პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები, და უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები უზრუნველყოფილ უნდა იქნან სამუშაოთი მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 82. თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნის შეზღუდვა

თვრამეტ წელზე ნაკლები ასაკის მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით დაშვებულია, დათხოვნის საერთო წესის დაცვის გარდა, მხოლოდ არასრულწლოვანების საქმეთა რაიონულ (საქალაქო) კომისიასთან შეთანხმებით. ამასთან დათხოვნა ამ საფუძვლების მე-17 მუხლის 1, 2 და 6 პუნქტებში აღნიშნულ საფუძველზე, ხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და დაუშვებელია შრომითი მოწყობის გარეშე.

კარი X
შეღავათები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც მუშაობასა და სწავლას ახამებენ

მუხლი 83. საწარმოო სწავლების ორგანიზაცია და მუშაობისა და სწავლის შეხამების საჭირო პირობების შექმნა.

მუშებისა და მოსამსახურეების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ადმინისტრაცია აწყობს ინდივიდუალურ, ბრიგადულ, საკურსო და სხვა საწარმოო სწავლებას, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხარჯზე.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც საწარმოო სწავლებას გადიან ან სწავლობენ სასწავლებლებში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, ადმინისტრაცია ვალდებულია შეუქმნას მუშაობისა და სწავლის შეხამების საჭირო პირობები.

საკვალიფიკაციო თანრიგების ამაღლების ან სამუშაოზე დაწინაურების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის, წარმატებით გაიარეს თუ არა მუშებმა და მოსამსახურეებმა საწარმოო სწავლება, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება, აგრეთვე მიიღეს თუ არა უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება.

მუხლი 84. შეღავათები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც წარმოებისაგან გამოუწყვეტლივ სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, წესდება შემცირებული სამუშაო კვირა ან ყოველდღიური მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა დადგენილი წესით ხელფასის შენარჩუნებით; მათ ეძლევათ აგრეთვე სხვა შეღავათები.

მუხლი 85. შეღავათები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლასთან დაკავშირებით.

უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელ გამოცდებზე დაშვებულ მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად.

მუშებსა და მოსამსახურეებს,რომლებიც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე სწავლობენ, ეძლევათ ფასიანი შვებულებანი დადგენილი წესით სწავლასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა შეღავათები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი XI
შრომითი დავა

მუხლი 86. ორგანოები, რომლებიც განიხილავენ შრომითს დავას

შრომითს დავას განიხილავენ:

1) შრომითი დავის კომისიები, რომლებიც საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში იქმნება პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თანაბარი რიცხვით;

2) პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები;

3) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები.

ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შრომითს დავას განიხილავენ ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოები (მუხლი 94).

მუხლი 87. შრომითი დავის კომისიები

შრომითი დავის კომისია იმ შრომითი დავის განხილვის აუცილებელი პირველადი ორგანოა, რომელიც საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში წამოიჭრება, ერთი მხრივ, მუშა-მოსამსახურეებსა და მეორე მხრივ ადმინისტრაციას შორის, გარდა იმ დავისა, რომელიც კანონის თანახმად უშუალოდ უნდა განიხილონ რაიონულმა (საქალაქო) სახალხო სასამართლოებმა და სხვა ორგანოებმა.

კომისიის გადაწყვეტილებანი მიიღება მხარეების შეთანხმებით.

მუხლი 88. შრომითი დავის განხილვა პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების მიერ

პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები შრომითს დავას განიხილავენ მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, როცა შრომითი დავის კომისიებში ვერ მიაღწიეს მხარეთა შეთანხმებას და მაშინ, როდესაც მუშებსა და მოსამსახურეებს საჩივარი შეაქვთ ამ კომისიის გადაწყვეტილების გამო. საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს შეუძლია კომისიის გადაწყვეტილება ძალაში დატოვოს ან გააუქმოს და გამოიტანოს დადგენილება დავის არსის გამო.

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი საკუთარი ინიციატივით, ან პროკურორის პროტესტით აუქმებს კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და გამოაქვს დადგენილება დავის არსის გამო.

მუხლი 89. შრომითი დავის განხილვა რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები შრომითს დავას განიხილავენ:

1) მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, როცა ისინი არ ეთანხმებიან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას, ან ადმინისტრაციის განცხადებით, როცა მას მიაჩნია, რომ საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

2) მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, როცა ისინი არ ეთანხმებიან შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებას, რომლის შემადგენლობაში შედიან პროფკავშირული ორგანიზატორი და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ან როცა ამ კომისიამ ვერ შეათანხმა მხარეები, აგრეთვე როცა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში არ არის პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი და პროფკავშირული ორგანიზატორი.

გარდა ამისა, უშუალოდ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები, შრომითი დავის კომისიისათვის და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისათვის მიუმართავად, განიხილავენ შრომითს დავას:

1) სამუშაოზე იმ მუშათა და მოსამსახურეთა აღდგენის შესახებ განცხადებით, რომლებიც დათხოვნილი არიან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ინიციატივით, გარდა იმ მუშაკთა დავისა, რომლებსაც უჭირავთ საგანგებო ნუსხაში გათვალისწინებული თანამდებობანი (მუხლი 94);

2) ადმინისტრაციის განცხადებით, რომ მუშებმა და მოსამსახურეებმა აუნაზღაურონ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას მიყენებული ზარალი.

მუხლი 90. შრომითი დავის გადაწყვეტისათვის მიმართვის ვადების შესახებ

მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ შრომითი დავის კომისიებს ნებისმიერ დროს, რაიმე ხანდაზმულობის ვადით შეუზღუდავად, ხოლო დათხოვნის საქმეთა გამო — რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

მუშაკის მიერ საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხებზე ადმინისტრაციას შეუძლია სასამართლოს მიმართოს შემდეგ ვადებში:

1) იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია 49-ე მუხლის პირველი ნაწილით, — ერთი თვე მუშაკის მიერ მიყენებული ზარალის აღმოჩენის დღიდან;

2) იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებულია 49-ე მუხლის მეორე ნაწილით, — ერთი წელი მუშაკის მიერ მიყენებული ზარალის აღმოჩენიდან.

ამ მუხლით დადგენილი ვადების საპატიო მიზეზით გადაცდენის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია აღადგინოს ეს ვადები.

მუხლი 91. სამუშაოზე აღდგენა

კანონიერი საფუძვლის გარეშე ან დადგენილი წესის დარღვევით დათხოვნისას, ან სხვა სამუშაოზე უკანონოდ გადაყვანისას, მუშა თუ მოსამსახურე წინანდელ სამუშაოზე უნდა აღადგინოს ორგანომ, რომელიც განიხილავს შრომითს დავას.

მუხლი 92. ანაზღაურება იძულებითი გაცდენის დროისათვის ან დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროს

მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც უკანონოდ დაითხოვეს სამუშაოდან და აღადგინეს წინანდელ სამუშაოზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა აუნაზღაურდეს საშუალო ხელფასი იძულებითი გაცდენის დროისათვის, დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვის ხელფასისა.

მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც უკანონოდ გადაიყვანეს სხვა სამუშაოზე და აღადგინეს წინანდელ სამუშაოზე, შრომითი დავის განხილვის ორგანოს გადაწყვეტილებით თუ დადგენილებით ეძლევა საშუალო ხელფასი იძულებითი გაცდენის დროისათვის ან სხვაობა დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს სამი თვის ხელფასისა.

გადაწყვეტილება ან დადგენილება, რომელიც შრომითი დავის განხილვის ორგანომ მიიღო უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. თუ ადმინისტრაცია დააყოვნებს ასეთი გადაწყვეტილების თუ დადგენილების შესრულებას, გადაწყვეტილების თუ დადგენილების გამოტანის დღიდან შესრულების დღემდე დაყოვნებისათვის მუშაკს ეძლევა საშუალო ხელფასი ან ხელფასის სხვაობა.

მუხლი 93. მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება თანამდებობის პირისათვის, რომელსაც ბრალად ედება უკანონო დათხოვნა ან გადაყვანა

სასამართლო აკისრებს თანამდებობის პირს, რომელიც დამნაშავეა მუშაკის უკანონო დათხოვნასა ან სხვა სამუშაოზე გადაყვანაში, აანაზღაუროს საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალი იძულებითი გაცდენის ან დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ზარალის ასეთი ანაზღაურების დაკისრება ხდება მაშინ, თუ დათხოვნა ან გადაყვანა მოხდა კანონის აშკარა დარღვევით, ან ადმინისტრაციამ დააყოვნა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება. ზარალის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობის პირის სამი თვის ხელფასს.

მუხლი 94. ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნისა და სხვა სამუშაოზე გადაყვანის საკითხებზე დავის განხილვისა და მათთვის დისციპლინური სასჯელის დადების წესი

განსაკუთრებულ ნუსხაში ჩამოთვლილ თანამდებობის მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნისა და სხვა სამუშაოზე გადაყვანის საკითხებზე, აგრეთვე მათთვის დისციპლინური სასჯელის დადების საკითხებზე დავას განიხილავენ ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოები. ამავე წესით განიხილავენ დავას იმ მუშაკებისათვის დისციპლინური სასჯელის დადების საკითხებზე, რომლებსაც ეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა დისციპლინის წესდებით.

წინანდელ სამუშაოზე მუშაკის აღდგენის შემთხვევაში ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით მუშაკს უნაზღაურდება სამუშაოდან დათხოვნის დღიდან იძულებითი გაცდენის დრო ან დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დრო, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა. ამის შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნას ამ საფუძვლების 92-ე და 93-ე მუხლები.

კარი XII
პროფესიული კავშირები, მუშათა და მოსამსახურეთა მონაწილეობა წარმოების მართვაში

მუხლი 95. მუშათა და მოსამსახურეთა უფლება გაერთიანდნენ პროფესიულ კავშირებში

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად მუშებსა და მოსამსახურეებს უზრუნველყოფილი აქვთ პროფესიულ კავშირებში გაერთიანების უფლება.

პროფესიული კავშირები მოქმედებენ მათ მიერ მიღებულ წესდებათა შესაბამისად და არ საჭიროებენ რეგისტრაციას სახელმწიფო ორგანოებში.

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი პროფესიული კავშირების საქმიანობას.

მუხლი 96. პროფესიული კავშირების უფლებები

პროფესიული კავშირები წარმოადგენენ მუშათა და მოსამსახურეთა ინტერესებს წარმოების, შრომის, ყოფაცხოვრებისა და კულტურის დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიული კავშირები მონაწილეობენ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შემუშავებასა და რეალიზაციაში, მატერიალური და ფინანსური რესურსების განაწილებისა და გამოყენების საკითხთა გადაწყვეტაში, მუშებსა და მოსამსახურეებს აბამენ წარმოების მართვაში, აწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მასობრივ ტექნიკურ შემოქმედებას, ხელს უწყობენ საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მათი ზემდგომი ორგანოები პროფესიულ კავშირებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით ადგენენ შრომის პირობებსა და ხელფასს, იყენებენ შრომის კანონმდებლობას, მოხმარების საზოგადოებრივ ფონდებს იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით.

პროფესიული კავშირები ზედამხედველობასა და კონტროლს უწევენ შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების შესრულებას, კონტროლს უწევენ მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

პროფესიული კავშირები განაგებენ სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას, აგრეთვე მათს გამგებლობაში მყოფ სანატორიუმებს, პროფილაქტორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს, კულტურულ-საგანმანათლებლო, ტურისტულ და სპორტულ დაწესებულებებს.

პროფესიულ კავშირებს საკავშირო პროფსაბჭოს სახით აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მუხლი 97. მუშათა და მოსამსახურეთა უფლება მონაწილეობდნენ წარმოების მართვაში

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ მონაწილეობდნენ წარმოების განვითარების საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში, შეჰქონდეთ წინადადებანი საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე სოციალურ-კულტურულ და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე.

მუშები და მოსამსახურეები წარმოების მართვაში მონაწილეობენ პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის ორგანოების, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებების, საწარმოო თათბირების, კონფერენციებისა და სხვადასხვა ფორმის საზოგადოებრივი თვითმოქმედების საშუალებით.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაცია მოვალეა შექმნას პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშათა და მოსამსახურეთა მონაწილეობას წარმოების მართვაში. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა თანამდებობის პირნი ვალდებული არიან დროულად განიხილონ მუშათა და მოსამსახურეთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი და შეატყობინონ მათ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

მუხლი 98. პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ურთიერთობა ადმინისტრაციასთან

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ურთიერთობას ააწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონი პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ.

საწარმოები და ორგანიზაციები ვალდებული არიან ფულადი სახსრები გადაურიცხონ პროფკავშირულ ორგანოებს კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობისათვის.

მუხლი 99. არჩევითი პროფკავშირული მუშაკების დამატებითი გარანტიები

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც არჩეული არიან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი, საამქრო კომიტეტის შემადგენლობაში და გათავისუფლებული არ არიან თავიანთი საწარმოო სამუშაოსაგან, არ შეიძლება გადაიყვანონ სხვა სამუშაოზე ან დაადონ დისციპლინური სასჯელი პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე, ხოლო ამ კომიტეტების თავმჯდომარეებსა და პროფკავშირულ ორგანიზატორებს — ზემდგომი პროფკავშირული ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე.

პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების იმ თავმჯდომარეებისა და წევრების დათხოვნა, რომლებიც არ არიან საწარმოო სამუშაოდან გათავისუფლებული, ადმინისტრაციის ინიციატივით შეიძლება სამუშაოდან დათხოვნის საერთო წესის გარდა, მხოლოდ ზემდგომი პროფკავშირული ორგანოს თანხმობით. პროფკავშირული ორგანიზატორების სამუშაოდან დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით შეიძლება მხოლოდ ზემდგომი პროფკავშირული ორგანოს თანხმობით.

კარი XIII
სახელმწიფო სოციალური დაზღვევა

მუხლი 100. სოციალური დაზღვევის გავრცელება ყველა მუშასა და მოსამსახურეზე. სოციალური დაზღვევის სახსრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სოციალური დაზღვევა სავალდებულოა ყველა მუშისა და მოსამსახურისათვის.

მუშათა და მოსამსახურეთა სახელმწიფო სოციალური დაზღვევა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე. სოციალური დაზღვევის შესატანებს იხდიან საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები ისე, რომ არაფერს არ ქვითავენ მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასიდან. დაზღვევის შესატანის გადაუხდელობა საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მიერ მუშებსა და მოსამსახურეებს არ ართმევს სახელმწიფო სოციალური დაზღვევით უზრუნველყოფის უფლებას.

მუხლი 101. სოციალური დაზღვევით უზრუნველყოფის სახეობანი

მუშები და მოსამსახურეები, შესაბამის შემთხვევებში კი მათი ოჯახების წევრებიც სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფილი არიან:

1) დახმარებით დროებითი შრომისუუნარობის გამო, ქალები კი, გარდა ამისა, დახმარებით ორსულობისა და მშობიარობის გამო;

2) დახმარებით ბავშვის დაბადების გამო; დახმარებით დასაფლავებისათვის;

3) პენსიებით მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის გამო, აგრეთვე პენსიებით ნამსახურობის გამო, რომლებიც დაწესებულია ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისათვის.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებს იყენებენ აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის, პროფილაქტორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მათი მომსახურებისათვის, სამკურნალო კვებისათვის, პიონერთა ბანაკების შენახვისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სხვა ღონისძიებებისათვის.

მუხლი 102. დახმარება დროებითი შრომისუუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის გამო

დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო მთლიანი ხელფასის ოდენობით მუშაკს ეძლევა ავადმყოფობის, დასახიჩრების, ავადმყოფობასთან დაკავშირებით სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანის, ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლის, კარანტინის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და პროთეზირების შემთხვევებში. ავადმყოფობისა თუ დასახიჩრების შემთხვევებში დახმარება გაიცემა შრომისუნარიანობის აღდგენამდე თუ ინვალიდობის დადგენამდე.

დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო მუშაკს ეძლევა ორსულობის და მშობიარობის გამო აღებული მთელი შვებულების მანძილზე ხელფასის ორი მესამედის ან მთელი ოდენობით.

მუხლი 103. პენსიები მოხუცებულობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო

პენსიები მუშებსა და მოსამსახურეებს მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო და პენსიები მათი ოჯახების წევრებს მარჩენალის დაკარგვის გამო ენიშნებათ სსრ კავშირის სახელმწიფო პენსიების კანონის შესაბამისად.

კარი XIV
შრომის კანონმდებლობის შესრულებისადმი ზედამხედველობა და კონტროლი

მუხლი 104. შრომის კანონმდებლობის შესრულებისადმი ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანოები

შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების შესრულებისადმი ზედამხედველობასა და კონტროლს აწორციელებენ:

1) სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები და ინსპექციები, რომელთა საქმიანობა დამოკიდებული არ არის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაციისაგან და მათი ზემდგომი ორგანოებისაგან;

2) პროფესიული კავშირები, აგრეთვე მათ გამგებლობაში მყოფი შრომის ტექნიკური და სამართლებრივი ინსპექცია — ამ ინსპექციების დებულებათა შესაბამისად, რომლებსაც საკავშირო პროფსაბჭო ამტკიცებს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები კონტროლს უწევენ შრომის კანონმდებლობის შესრულებას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სამინისტროები და უწყებები აწორციელებენ შიდაუწყებრივ კონტროლს შრომის კანონმდებლობის შესრულებისადმი მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მიმართ.

უმაღლესი ზედამხედველობა ყველა სამინისტროსა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისა და მათი თანამდებობის პირების მიერ შრომის კანონების ზუსტი შესრულებისადმი ევალება სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

მუხლი 105. პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის

თანამდებობის პირებს, რომლებიც დამნაშავენი არიან შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევაში, კოლექტიურ ხელშეკრულებათა ვალდებულებებისა და შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დაცვის შეთანხმებათა შეუსრულებლობაში ან პროფესიული კავშირების საქმიანობისათვის ხელის შეშლაში, ეკისრებათ პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კარი XV
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 106. ზოგიერთი კატეგორიების მუშათა და მოსამსახურეთა შრომის მოწესრიგების თავისებურებანი

სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს:

1) შეღავათები შრომის დარგში უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა კატეგორიების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის;

2) სამუშაო დროისა და დასვენების დროის მოწესრიგების თავისებურებანი ტრანსპორტზე, და კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციებში — ამ საფუძვლებით დაწესებული ნორმების ფარგლებში;

3) სეზონურ სამუშაოებზე ან ხე-ტყის მრეწველობასა და სატყეო მეურნეობაში სამუშაოებზე დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა, დროებით მუშათა და მოსამსახურეთა, აგრეთვე იმ პირთა შრომის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც მუშაობენ მოქალაქეებთან ხელშეკრულებებით (შინამოსამსახურეები და სხვ.). საფუძვლების ცალკეული გამონაკლისებით სამუშაო დროისა და დასვენების დროის რეჟიმის, საზეგანაკვეთო დროს და არა სამუშაო დღეებში მუშაობაში ჩაბმის, ამ სამუშაოს კომპენსაციის, სხვა სამუშაოზე დროებითი გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ;

4). დამატებითი საფუძვლები, გარკვეულ პირობებში ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებთან და მოსამსახურეებთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის (როცა ერთხელ უხეშად დაარღვია შრომითი მოვალეობა მუშაკმა, რომელსაც დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება, ხელქვეითობის წესით, როცა ბრალეული მოქმედება მიუძღვის მუშაკს, რომელსაც უშუალოდ აბარია ფულადი და სასაქონლო ფასეულობანი, თუ ეს მოქმედება საფუძველს იძლევა, რომ ადმინისტრაცია აღარ ენდოს მას: როცა მუშაკმა, რომელიც აღმზრდელობითს ფუნქციას ასრულებს, ჩაიდინა მუშაობის გაგრძელებასთან შეუთავსებელი ამორალური საქციელი; როცა მუშაკი სასამართლოს დადგენილებით იგზავნება სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში; როცა ირღვევა სამუშაოზე მიღების დადგენილი წესები და სხვ.).

მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის ფარგლები ზიანის გამო, რაც მიაყენეს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, იმ შემთხვევებში, როცა ზიანის ფაქტიური ოდენობა აღემატება მის ნომინალურ ოდენობას, წესდება სსრ კავშირის კანონებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით.

ცალკეულ საკითხებში ზოგიერთი კატეგორიის მუშათა და მოსამსახურეთა შრომის რეგულირების სხვა თავისებურებანი შეიძლება დაწესდეს მხოლოდ სსრ კავშირის კანონებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით.

მუხლი 107. საფუძვლებით გათვალისწინებულ საკითხებში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის განსაზღვრა

სსრ კავშირის გამგებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელნიც გათვალისწინებულია საფუძვლების ცალკეული მუხლებით, განეკუთვნება იმ წესების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ: არაკვალიფიციურ სამუშაოებს, რომლებზეც არ შეიძლება მუშების გადაყვანა მოცდენასთან დაკავშირებით (მე-14 მუხლის მესამე ნაწილი); ღამის სამუშაოს ხანგრძლივობას (25-ე მუხლის მეორე ნაწილი); თვიური ხელფასის მინიმალურ ოდენობას (36-ე მუხლის მეორე ნაწილი); ნაწილობრივი წუნისათვის ანაზღაურების ოდენობა (43-ე მუხლის მესამე ნაწილი); კომპენსაციებს სასამსახურო მივლინებებთან და სხვა ადგილას სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით (48-ე მუხლის პირველი ნაწილი); ღამის სამუშაოებზე ქალთა შრომის შეზღუდვას (69-ე მუხლის პირველი ნაწილი); მუშაკთა კატეგორიებს, რომელთა შრომითი დავა განიხილება ხელქვეითობის წესით (94-ე მუხლის პირველი ნაწილი); კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობის განსახორციელებლად პროფკავშირული ორგანოებისათვის ანარიცხების წესსა და ოდენობას (98-ე მუხლის მეორე ნაწილი);

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფის წესსა და ოდენობას (მუხლები 100, 101, 102, 103).

სსრ კავშირის გამგებლობას და, მის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში, მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობას განეკუთვნება იმ წესების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ: ცალკეულ კატეგორიათა მუშაკებისათვის სამუშაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის შემცირებას (22-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე პუნქტი), ექვსდღიანი სამუშაო კვირის გამოყენებას (23-ე მუხლის მეორე ნაწილი); იმ შემთხვევებს, როცა შეუძლებელია დღემაგიერის მიცემა დასვენების დღეებში მუშაობისათვის (30-ე მუხლის მეოთხე ნაწილი); სადღესასწაულო დღეებში წარმოებულ სამუშაოებს (31-ე მუხლის მეორე ნაწილი); ყოველწლიური დამატებითი შვებულებების მიცემასა და ხანგრძლივობას (მუხლი 34); ხელფასის ნორმირებას (მუხლი 37); შრომის ანაზღაურების საპრემიო სისტემას (38-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები); მუშაობის წლიური შედეგებისათვის ჯილდოს გაცემას (38-ე მუხლის მეოთხე ნაწილი); გამომუშავების ერთიან თუ ტიპობრივ ნორმებს (39-ე მუხლის მეორე ნაწილი); სადღესასწაულო დღეებში მუშაობისათვის დღემაგიერის მიცემას (41-ე მუხლის მეორე ნაწილი); ხელფასიდან გამოქვითვის შეზღუდვას (50-ე მუხლის მეხუთე ნაწილი); შინაგანი შრომითი განრიგის ტიპობრივ წესებსა და დისციპლინის წესდებებს (მუხლი 54, 55-ე მუხლის მეორე ნაწილი, 56-ე მუხლის მეორე ნაწილი); შრომის დაცვის წესებს (მე-60 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები); შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის სახსრების გამოყოფასა და ხარჯვას (62-ე მუხლის პირველი ნაწილი); სპეცტანსაცმლის, რძისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების გაცემის წესს (მუხლები 63, 64); სამედიცინო შემოწმებას (მუხლი 65); სამუშაოებს, რომლებზეც არ დაიშვება ქალებისა და არასრულწლოვანების შრომა (მუხლები 68, 75); ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღების ჯავშანს (მუხლი 80); ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების სამუშაოთი უზრუნველყოფას (მუხლი 81); შეღავათებს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოსწავლეთათვის (მუხლები 84, 85); პროფესიული კავშირების უფლებებს (მუხლი 96); შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანოებს (104-ე მუხლის პირველი პუნქტი); ზოგიერთი კატეგორიის მუშათა და მოსამსახურეთა შრომის მოწესრიგების თავისებურებებს (106-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობას განეკუთვნება იმ წესების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ: საზეგანაკვეთო სამუშაოთა გამოყენების შემთხვევებს (27-ე მუხლის მეორე ნაწილი); დასვენების დღეებში სამუშაოზე გამოძახების შემთხვევებს (30-ე მუხლის მესამე ნაწილი); ხელფასის გაცემის ვადებს (45-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 234. სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა.

სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო მაწანწალობის ან მათხოვრობისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე“.

2. დაემატოს სისხლის სამართლის კოდექსს მუხლი 234[1] შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 234[1]. პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება

პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება იმ პირის მიერ, რომელიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო ამავე მუხლის პირველი ნაწილით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

3. დადგინდეს, რომ იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234[1] მუხლით, წარმოებს მოკვლევა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ან პროკურორი საჭიროდ მიიჩნევს — წინასწარი გამოძიება.

ამის შესაბამისად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის პირველ ნაწილს ციფრის 234 შემდეგ დაემატოს ციფრი 234[1].

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
თბილისი, 1970 წლის 14 მაისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯისა და შრომითს საქმიანობაში მსჯავრდებულის სავალდებულო ჩაბმის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ იმ სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელსაც პირველად მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლიდან სამ წლამდე ვადით, გარდა ამ ბრძანებულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილი პირებისა, სასამართლოს საქმის გეთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, ავრეთვე საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, მაგრამ მის მიმართ მეთვალყურეობის განხორციელების პირობებში მისი ხელახლა აღზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით, შეუძლია გამოიტანოს დადგენილება ამ პირისათვის პირობით თავისუფლების აღკვეთის შესახებ დანიშნული სასჯელით ვადით შრომაში სავალდებულო ჩაბმით იმ ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში, რომლებიც განაგებენ განაჩენის აღსრულებას, განაჩენში ასეთი გადაწყვეტილების აღნიშვნით.

2. მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთა არ ვრცელდება:

ა) მსჯავრდებულებზე, რომლებმაც ჩაიდინეს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული: ბანდიტიზმი, მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში; მასობრივი არეულობა; ყალბი ფულის ან ფასიან ქაღალდების დამზადება ან გასაღება დამამძიმებელ მდგომარეობაში; სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა დამამძიმებელ მდგომარეობაში; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება განსაკუთრებით დიდი ოდენობით; ყაჩაღობა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით დამამძიმებელ მდგომარეობაში; განზრახი მკვლელობა (გარდა მკვლელობისა, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას ან ძლიერი სულიერი მღელვარების მდგომარეობაში, აგრეთვე დედის მიერ თავის ახალშობილი ბავშვის მკვლელობისა); განზრახ სხეულის მძიმე დაშავება (გარდა სხეულის მძიმე დაშავებისა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას ან ძლიერი სულიერი მღელვარების მდგომარეობაში), გაუპატიურება, რაც ჩაიდინა პირთა ჯგუფმა ან რამაც გამოიწვია განსაკუთრებით მძიმე შედეგები, ასევე არასრულწლოვანის გაუპატიურება; ქრთამის აღებისა, მიცემისა ან მექრთამეობაში შუამავლობისა დამამძიმებელ მდგომარეობაში; გავრცელება შეგნებულად ცრუ მონაჭორისა, რომელიც ჩირქს სცხებს საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოებრივ წყობილებას; ისეთი ჯგუფური მოქმედების ორგანიზაცია ან ამ მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს; მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხაზით მათს სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; განსაკუთრებული ბოროტი ხულიგნობა; ცეცხლმსროლელი იარაღის, საბრძოლო მარაგისა და ფეთქებადი ნივთიერებების გატაცება ყაჩაღური თავდასხმით;

ბ) პირებზე, რომლებიც ხელმეორედ არიან მსჯავრდებულნი ყაჩაღობისათვის დამამძიმებელი მდგომარეობის გარეშე, ძარცვის ან ქურდობისათვის (ნებისმიერი თანამიმდევრობით).

გ) პირებზე, რომლებსაც ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელთან ერთად ენიშნებათ ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიისაგან იძულებითი მკურნალობის ზომები;

დ) დანაშაულის ჩამდენ ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებზე;

ე) მსჯავრდებულ უცხოელებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

3. თუ მსჯავრდებულმა თავისი სამაგალითო მოქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავის გამოსწორება, მაშინ მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიისა და შინაგან საქმეთა ორგანოს ერთობლივი წარდგინებით სასამართლოს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით შეუძლია გავრცელოს მასზე პირობით — ვადამდე განთავისუფლება იმ წესებით, რომლებსაც ითვალისწინებს სასჯელისაგან პირობით — ვადამდე განთავისუფლების კანონმდებლობა.

4. თუ მსჯავრდადებული თავს არიდებს მუშაობას განაჩენის აღსრულების გამგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილზე ან სისტემატურად ან ბოროტად არღვევს შრომით დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან მისთვის დადგენილ ცხოვრების წესებს, მას სასამართლოს განჩინებით გადაგზავნიან განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად. ამასთან მუშაობისათვის თავის არიდების დრო არ ჩაითვლება, ხოლო დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული მუშაობდა, შეიძლება სასამართლომ ჩათვალოს ნაწილობრივ ან მთლიანად სასჯელის მოხდის ვადაში.

თუ მსჯავრდებულმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთის ვადის განმავლობაში ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მას დასჯიან თავისუფლების აღკვეთით, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს იმ წესების მიხედვით, რომლებსაც ითვალისწინებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე მუხლი.

5. დაწესდეს, რომ პირები, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ამ ბრძანებულების საფუძველზე, განაჩენით განსაზღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული შრომაში სავალდებულო ჩაბმის ვადის გასვლის შემდეგ, ითვლებიან პირებად, რომლებსაც არ ჰქონიათ ნასამართლობა, თუ ამ ვადის განმავლობაში ისინი არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს.

6. დაეკალოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებს მოამზადონ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წამოროადგინონ წინადადებები სსრ კავშირის კანონმდებლობაში ამ ბრძანებულების შესაბამისად საჭირო ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე
მოსკოვი, კრემლი, 1970 წლის 12 ივნისი.

დადგენილება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯისა და შრომითს საქმიანობაში მსჯავრდებულის სავალდებულო ჩაბმის შესახებ“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების გამოყენების წესის შესახებ

„თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯისა და შრომითს საქმიანობაში მსჯავრდებულის სავალდებულო ჩაბმის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება გავრცელდეს პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით ცნობილი არიან პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდებად; ორსულ ქალებზე, ქალებზე, რომლებსაც თავიანთ კმაყოფაზე ჰყავთ ორ წლამდე ასაკის ბავშვები, აგრეთვე ქალებზე 55 წლის ზემოთ და მამაკაცებზე — 60 წლის ზემოთ.

2. მსჯავრდადებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთისას სასამართლოს შეუძლია მას დაუნიშნოს აგრეთვე სასჯელის დამატებითი ზომები იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომლებსაც ითვალისწინებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის წესები ამ მსჯავრდებულთა მიმართ არ გამოიყენება.

3. ის პირები, რომლებსაც პირობითად მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, სარგებლობენ სსრ კავშირის მოქალაქეთა ყველა უფლებით შემდეგი შეზღუდვების გათვალისწინებით:

ა) ისინი ვალდებული არიან სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მთელი ვადის განმავლობაში იმუშაონ იქ, სადაც მათ გაგზავნიან ორგანოები, რომლებიც განაგებენ განაჩენის უფლებას, ხოლო საწარმოო საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მათი თანხმობის გარეშე გადაიყვანონ სხვა სამუშაოზე, მათ შორის სხვა ადგილას სამუშაოზე;

ბ) ისინი ვალდებული არიან გამოცხადდენ შინაგან საქმეთა ორგანოებში თვეში ერთი-ოთხჯერ რეგისტრაციისათვის. რეგისტრაციის პერიოდულობას აწესებს დადგენილებით შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსი, რომელიც ახორციელებს მეთვალყურეობას მსჯავრდებულთა მიმართ;

გ) მათ ეკრძალებათ ამ პერიოდში დატოვონ ადმინისტრაციული რაიონის საზღვრები მათი სამუშაო ადგილის მიხედვით მეთვალყურეობის განმახორციელებელი შინაგან საქმეთა ორგანოს სათანადო სპეციალური ნებართვის გარეშე.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, სამაგალითო მოქცევისას და შრომისადმი პატიოსნური დამოკიდებულებისას, საწარმოს ადმინისტრაციისა და შინაგან საქმეთა ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილებით ამ პირებს ნება ეძლევათ გაემგზავრონ ადმინისტრაციული რაიონის საზღვრებიდან მივლინებით, შვებულებით ან სხვა საპატიო მიზეზით.

4. პირობით მსჯავრდებულებს სამუშაოდ გაგზავნიან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილი წესით. იმ პირებს, რომლებიც განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე თავისუფლად იმყოფებიან, პატიმრობაში აიყვანს შინაგან საქმეთა ორგანო განაჩენის გამოტანის ადგილის მიხედვით და ერთი თვის განმავლობაში ისინი უნდა გაგზავნონ სამუშაოდ.

იმ პირებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს თანამონაწილეობით, როგორც წესი, სამუშაოდ გაგზავნიან სხვადასხვა საწარმოში.

5. სამუშაო ადგილზე მისვლის შემდეგ პირობით მსჯავრდებულნი თავისუფლდებიან პატიმრობისაგან, მათ აღრიცხვაზე აიყვანენ შინაგან საქმეთა ორგანოში, რომელიც განახორციელებს მეთვალყურეობას მათ მიმართ, და მათ მიამაგრებენ სამუშაოდ მუშებად, მოსამსახურეებად ან ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებად.

პირობით მსჯავრდებულთა მოქცევისადმი მეთვალყურეობის განხორციელება ევალებათ შინაგან საქმეთა ორგანოებს. მეთვალყურეობის განხორციელების წესს ადგენს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირის პროკურატურასთან შეთანხმებით.

6. საწარმოთა ადმინისტრაციებს ეკრძალებათ დაითხოვონ პირობით მსჯავრდებულნი სამუშაოდან სასამართლოს განაჩენით დადგენილი სასჯელის ვადის განმავლობაში. გარდა პირობითვადამდე განთავისუფლების, სხვა საწარმოში გადაყვანის, სასჯელის მოსახდელად თავისუფლების აღკვეთის ადგილზე გადაყვანის ან დადგენილი წესით პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდად ცნობის შემთხვევაში.

მსჯავრდებულთა სხვა ადგილზე სამუშაოდ გადაყვანა შეიძლება განახორციელოს ადმინისტრაციამ მხოლოდ მეთვალყურეობის განმახორციელებელ შინაგან საქმეთა ორგანოსთან შეთანხმებით.

თუ პირობით მსჯავრდებული არ გამოცხადდება სამუშაოზე სამ დღეღამეზე მეტი ხნის შემდეგ გაურკვეველი მიზეზით ან ასეთი პირი არ დაბრუნდება სამუშაო ადგილზე დადგენილ ვადაში შვებულებიდან ან მივლინებიდან, ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოს.

7. იმ შემთხვევებში, რომლებსაც ითვალისწინებენ ბრძანებულების მე-3, მე-4 და მე-5 მუხლები, დრო, რომლის განმავლობაშიც პირობით მსჯავრდებული მუშაობდა, აგრეთვე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაითვლება სასამართლოს განაჩენით დადგენილი სასჯელის ვადაში დღეზე დღის გაანგარიშებით.

8. ბრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობით-ვადამდე განთავისუფლება ხდება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის მუშაობის ადგილის მიხედვით.

მსჯავრდებულს ვადამდე ათავისუფლებს სასამართლო სასჯელისაგან იმ შემთხვევაში, თუ მას დადგენილი წესით ცნობენ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდად, თუ ინვალიდობა მიღებულია საწარმოო ტრამვის შედეგად ან დაავადებასთან დაკავშირებით.

თუ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა პირს მიღებული აქვს იმ მიზეზებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მის საწარმოო საქმიანობასთან, სასამართლოს შეუძლია ან ვადამდე გაათავისუფლოს მსჯავრდებული სასჯელისაგან, ან გაგზავნოს იგი თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად.

9. მსჯავრდებულის მიერ შრომითი დისციპლინის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა იწვევს დისციპლინარული ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბრძანებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნის შესახებ განჩინება სასამართლოს გამოაქვს მსჯავრდებულის მუშაობის ადგილის მიხედვით.

სასამართლოს ეს განჩინება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება მისი გაპროტესტება ზედამხედველობის წესით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორთა საყურადღებოდ!

1. მასალები რედაქციაში წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ეგზემპლარად, მანქანაზე დაბეჭდილი ორ ინტერვალზე, ხელმოწერილი ავტორის მიერ. სტატიას, წერილს, კორესპონდენციას აუცილებელია დაერთოს შემდეგი ცნობები, ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშაობის ადგილი, მისამართი, ტელეფონის ნომერი.

ჟურნალის რედაქცია მკითხველებს აწვდის მოკლე ცნობებს ავტორებზე. ამიტომ მასალასთან ერთად რედაქციამ უნდა მიიღოს საჭირო დემოგრაფიული ცნობები ავტორის შესახებ (დაბადების წელი, როდის მიიღო სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, რამდენი შრომა აქვს გამოქვეყნებული, სად ეწევა სამეცნიერო-კვლევით, პედაგოგიურ ან პრაქტიკულ საქმიანობას).

2. თეორიული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 12 გვერდს, სხვა მასალისა 8 გვერდს. რედაქცია დაინტერესებულია მიიღოს მოკლე ცნობები და შენიშვნები ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკულ საქმიანობაზე.

3. ყველა ციტატა, რომელიც გამოქვეყნებულია მასალაში, აუცილებელია გულდასმით შედარდეს პირველწყაროებს და ვიზირებულ იქნას სტატიის ავტორის მიერ. სქოლიოში წიგნის ავტორის დასახელებასთან ერთად, უნდა აღინიშნოს მისი გამოცემის წელი, აგრეთვე ციტირებული მასალის გვერდი.

4. აუცილებელია მასალა დამუშავებული იყოს ლიტერატურულად. თან დაერთოს სათაური და რეზიუმე რუსულ ენაზე.

5. რედაქციაში შემოსული მასალები, როგორც წესი, ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

6. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხები წერილობით არ ეგზავნებათ.

7. იმ ნაშრომზე, რომელიც შესრულებულია სამეცნიერო-კვლევითი გეგმის შესაბამისად ჰონორარი არ გაიცემა.

8. სტატიები, რომლებიც გამოქვეყნებულია ან გადაგზავნილია სხვა პერიოდულ გამოცემაში, არ გამოქვეყნდება.

9. ამ პირობების დაცვის გარეშე გამოგზავნილი მასალა არ გამოქვეყნდება.

Б 68/185

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76185

ფასი 50 კაპ.

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР